ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის დეპარტამენტი

ლანა ბურკაძე

რომაული სამხედრო დასახლებები კოლხეთში

არქეოლოგიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

სპეციალობა: არქეოლოგია

სამეცნიერო
ხელმძღვანელი:
ისტორიის დოქტორი,
ასოც.პროფ: ე. კახიძე

ბათუმი

2021

სარჩევი

შესავალი----------4

1. ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა----------7

2. წყაროები და ისტორიოგრაფია----------12

3. ნივთიერი მასალა----------26

4. სამხედრო ორგანიზაციის საკითხი----------51

5. ფორტიფიკაცია----------67

დასკვნა----------118

ბიბლიოგრაფია ----------122

კატალოგი----------131

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სახელი, გვარი ..... (ხელმოწერა)

თარიღი:

შესავალი

საკითხი, რომელსაც დისერტაციაში ვეხებით, წარმოადგენს, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პერიოდს კოლხეთის ისტორიისათვის. ანტიკური პერიოდი რომელიც კოლხეთში საკმაოდ აქტიური და მრავალფეროვანი ჩანს, წერილობითი წყაროებითა და არქეოლოგიური მასალით, უფრო მეტად იწყვევს ჩვენს დაინტერესებას, ჯერ კიდევ ბერძნული კოლონიზაციიდან მოყოლებული, როდესაც ერთმანეთის გვერდით თანაცხოვრობენ ბერძნები და კოლხები. რომაელებმა ძვ.წ. I საუკუნიდან დაიწყეს დაინტერესება კავკასიით, მათ შორის კოლხეთით, რომელიც მათთვის მიმზიდველი იყო, როგორც ტერიტორიით, რომელიც წარმოადგენდა დამცავ ბარიერს/საზღვარს ჩრდილოეთიდან შემომავალი ტომებისაგან, ასევე მათთვის ეს იყო სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისითაც მიმზიდველი ტერიტორია. ისევე როგორც სხვა, რომაელების მიერ დაპყრობილ ქვეყნებში, მათ კოლხეთშიც დაიწყეს თავიანთი გარნიზონების ჩაყენება, რათა მათთვის უფრო გამარტივებულიყო იმ დროს კოლხეთში გაბატონებული მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლა და ამავდროულად უფრო მარტივი იქნებოდა გაეკონტროლებინათ ჩრდილოეთი საზღვარი.

ფაქტია, რომ პროცესი, რომელიც რომალელების გარნიზონების განლაგებას და ახალი ტერიტორიების ათვისებას ისახავდა მიზნათ, დაიწყო ახ.წ. I საუკუნიდან და გაგრძლედა III საუკუნემდე, სანამ რომაელებმა კოლხეთში არ დაარსეს იმ დროისათვის მათთვის უკიდურესი პუნქტი ბიჭვინთაში. შესაძლოა, ტერიტორიების ,,ათვისების'' პროცესი უფრო ღრმად შუაგულ კოლხეთშიც გავრცელებულიყო, ისევე როგორც სხვა აღმოსავლურ პროვინციებში, რომ არა რომის იმპერიის პრობლემები, რამაც საბოლოოდ მისი გაყოფა გამოიწია.

წერილობითი წყაროების დადასტურებად შეგვიძლია მოვიყვანოთ ის არქეოლოგიური აღმოჩენები, რომელიც XIX საუკუნიდან დღემდე გრძელდება, და ყოველ წელს ახალი აღმოჩენები ფიქსირდება, რაც ავსებს არა მხოლოდ

საქართველოს/კოლხეთის ისტორიას და არქეოლგიას, არამედ რომის და ზოგადად მსოფლიო ისტორიას.

საკვლევი თემის აქტუალობა: დისერტაცია აქტუალურია იმ მხრივ რომ ის წარმოადგენს იმ წყაროების, ისტორიოგრაფიისა და არქეოლოგიური მასალების ერთობლიობას, რომელიც დაგროვდა საკითხის ირგვლივ. ნაშრომში წარმოდგენილია რომაელი და ბიზანტიური მწერლების ნაშრომები, რომლებიც გადმოგვცემენ იმ დროს არსებულ პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და ეკონომიკურ მდგომარეობას კოლხეთში, ადგილობრივი ტომების და მათი მმართველების ურთიერთობას.

განხილულია პროცესები, რომელიც თან ერთვოდა რომაელების ინტერესებს კოლხეთში და მათ მიერ ციხეების დაარსებას. ამასთანავე, ნაშრომში მოცემულია არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალები, არქიტექტურული კომპლექსები, რომლებიც, თავის მხრივ, ავსებს წერილობით წყაროებს და ერთიანობაში გვაქვს შესაძლებლობა აღვადგინოთ ჩვენთვის საინტერესო პერიოდი კოლხეთის ტერიტორიაზე.

კვლევის მიზანია დასავლეთ საქართველოს, კოლხეთში რომაული გარნიზონების-გონიო-აფსაროსის[1], ფაზისის, სებასტოპოლისისა და ბიჭვინთის განვითარების და დაარსების მიზეზების, ისტორიის, დაკნინების მიზეზების შესწავლა. რომალები კოლხეთში ძვ.წ. I საუკუნეში გამოჩდნენ, რასაც მოჰყვა მათი დაპყრობითი პოლიტიკის გატარება კოლხეთში, ისევე როგორც სხვა რომის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე. ნაშრომში განვიხილათ მიზეზებს, თუ რამ გამოიწვია რომელების მიერ კოლხეთით დაინტერესება, რა იყო კოლხეთში რომაული გარნიზონების ჩაყენების მიზეზი, რა ფაქტორბმა იქონია გავლენა. გავნიხილავთ რომაულ და ბიზანტიურ წყაროებს, რომელიც კოლხეთში რომაელების შემოსვლისა და რომაული გარნიზონების დაარსების საკითხებს ეხება. ნაშრომში წარმოდგენილია როგორც წერილობითი წყაროები ახლებური ინტერპრეტაციით, ასევე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები, რომელიც მკითხველს მისცემს საშუალებას მიიღოს სრულყოფილი

[1] რომაულ წყარობეში გონიო-აფსაროსი მოხსენიებულია, როგორც მხოლოდ აფსაროსი, აფსარო ხოლო სახელწოდება გონიო უკვე დაემატა XIV საუკუნიდან, დღეს ციხის აღსანიშნავად მკვლევარები იყენებენ გონიო-აფსაროსს.

ინფორმაცია კოლხეთში რომაელების პოლიტიკასა და გარნიზონების დაარსებისა და ფუნქციონირების შესახებ.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე: წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს შესწავლილი მასალების ახლებული ინტერპრეტაციის ცდას უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენებისა და გამოკვლევების გათვალისწინებით. ნაშრომში განხილული ციხეები წარმოადგენდა Pontos limes-ის თავდაცვითი სისტემის ხაზს. ნაშრომში წარმოდგენილი ციხეების შიდა და გარე ტერიტორიაზე მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალები, რომელიც გადმოგვცემს რომაელებისათივს ჩვენი საკვლევი ციხეების მნიშვნელობას. აღნიშნული მასალების საფუძვლეზე გვაქვს საშუალება დავადგინოთ რომაული სამხედრო დასახლებების მნიშვნელობა და არსი კოლხეთის ტერიტორიაზე.

1. ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

როდესაც ვსაუბრობთ ძველ კოლხეთზე, მასში მოვიაზრებთ დასავლეთ საქართველოს. რთულია ზუსტი განსაზღვრა თუ საიდან სადამდე ვრცელდებოდა კოლხეთის ტერიტორია. საკითხთან დაკავშირებით არსებობს რამოდენიმე მოსაზრება. მეცნიერთა ერთი ნაწილის ამ რეგიონს დასავლეთით სინოპემდე და უფრო შორს ათავსებს, მეორენი - კი ქართული ტომის განსახლების არეალით შემოიფარგლებიან. ასევე პრობლემურია აღმოსავლეთის საზღვარიც, კრასნოვი კოლხეთს სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილებად ჰყოფდა და მათ საზღვრად მდინარე ჩოლოქს ასახელებდა (Краснов, 1915:5). ინგოროყვას მიხედვით კი, სამხრეთი კოლხეთის უკიდურესი ნაწილი გონიო-აფსაროსის სანაპირო უბანია, რომელიც მისი თქმით ცენტრალურ-შიდა კოლხეთნ გარდამავალ ზონას წარმოადგენდა, თუმცა ასევე ის აღნიშნავს, რომ სამხრეთ კოლხიდაში სამეგრელოსა და ჭანეთს შორის შუა ზოლად არის შეჭრილი მესხური ტომის შტო, გურულები და ქობულელ-აჭარლები.

მკვლევართა ნაწილი კოლხეთს თავისი რეგიონებისა და ცენტრების მიხედვით ყოფენ რამოდენიმე ნაწილად: 1. სამხრეთ-დასავლეთი კოლხეთი – ეკონომიკური ცენტრი ფიჭვნარი. ამ რეგიონში მოიაზრებენ თანამედროვე აჭარას (როგორც სანაპირო ზოლით, ასევე მთიანი რაიონებით) და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სანაპირო ზოლს, რომელიც ვრცელდება გონიოდან ურეკამდე; 2. კოლხეთის ცენტრალური სანაპირო ზოლი – ეკონომიკური ცენტრი ფასისი, რომელიც მოიცავს თანამედროვე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სანაპირო ზოლს, ქ. ფოთსა და მის მიდამოებს, ხობის, ზუგდიდისა და გალის მუნიციპალიტეტებს; 3. ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთი – ეკონომიკური ცენტრი დიოსკურია. რეგიონი მოიცავს თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიას, როგორც სანაპირო ზოლს, ასევე შიდა რაიონებს, გალის გამოკლებით; 4. ცენტრალური კოლხეთი, მდ. რიონის სამხრეთით – ცენტრით ძველი ვანი. მოიცავს ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების შიდა ტერიტორიას, ჩოხატაურის

მუნიციპალიტეტს, სენაკის, აბაშის და სამტრედიის მუნიციპალიტეტების იმ ნაწილს, რომლებიც მდ.რიონის სამხრეთით მდებარეობს, ასევე ვანისა და ბაღდადის მუნიციპალიტეტებს. 5. ცენტრალური კოლხეთი, მდ. რიონის ჩრდილოეთით. რეგიონი ძვ.წ. V-I სს-ში გამოკვეთილი ცენტრის უქონლობის გამო, ვარაუდობენ, რომ ძველ ვანს ექვემდებარებოდა (თოლორდავა, 1980; გვინჩიძე, 2003:23-28). 6. აღმოსავლეთი კოლხეთის რეგიონიც, ისევე როგორც წინამორბედი, შეიძლება ძველ ვანს იყო დაქვემდებარებული. 7. ჩრდილო-აღმოსავლეთი კოლხეთი – ცენტრი საირხე. რეგიონი მოიცავს ძირითადად თანამედროვე საჩხერისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტებს. 8. კოლხეთის მთიანი ზოლი - ძეგლები, რომლებიც ამ რეგიონის არქეოლოგიურ კულტურას გამოხატავს, ძირითადად, მესტიისა და ონის მუნიციპალიტეტებშია აღმოჩენილი კოლხეთის მთიან ზოლს არ გააჩნია ცენტრი (უფრ. ვრცლად იხ. ახვლედიანი, 2005:65-71; ახვლედიანი, ელაშვილი, კირკიტაძე, ხარაბაძე, ასათიანი, 2017:19-43).

ბერძნულ სამყაროში სახელმა "კოლხეთი" (კოლხიდა) – ადრე მოიპოვა ზოგადი მნიშვნელობა და ხშირად აღნიშნავდა შავიზღვისპირა ქვეყანას კავკასიონის ქედიდან დაწყებულს ვიდრე დღევანდელ ტრაპეზუნტის რაიონებამდე. მაგრამ, ასეთი ფართო მნიშვნელობის გარდა, ეს ტერმინი, ზოგჯერ უფრო ვიწრო – ეთნიკური ან პოლიტიკური ერთეულის მნიშვნელობითაც გამოიყენებოდა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970:273).

კოლხეთი და მისი წინამორბედი გაერთიანება დაიანე, მოხსენიებულია ურარტულ და ასურულ ლურსმულ წარწერებში, რომელიც ძვ.წ. XII-VIII საუკუნით თარიღდება. ძვ. წ. XIII საუკუნიდან ასურეთის მეფეებს ჩრდილოეთით უხდებათ ლაშქრობა, ძირითადად, სამ დიდი დაჯგუფებასთან: სუბართუს ქვეყნებთან, ნაირის ქვეყნებთან და „ზემო ზღვის'' სანაპიროზე მდებარე ქვეყნებთან. „სუბართუ'' მოიცავდა ტერიტორიას ქიშიარის მთასა (დღვანდელი ტურ-აბდინი) და აღმოსავლეთ ევფრატის (დღვანდელი მურად-სუ) დინების შორის; ''ნაირი'' მდებარეობდა ჩრდილოეთით, მდ. ყარა-სუს (დასავლეთ ევფრატის) დინებასა და მურად-სუს დინებათა შორის მდებარე მხარეში, ხოლო ''ზემო ზღვისპირა ქვეყნები'' კიდევ უფრო ჩრდილოეთით შავი ზღვის

სანაპიროზე მდებარე მხარეს გულისხმობდა (Меликишвили, 1963; მელიქიშვილი, 1966; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970:252).

სტრაბონზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახ.წ. I საუკუნის პირველ ნახევარში რომაელების მიერ იმართებოდა ტერიტორია ფაზისიდან ევფრატის ჩათვლით და მათ რომაელების მიერ დანიშნული დინასტები მართავდნენ, თუმცა მათი ქვეშევრდომები საჭირო დროს თუ მოიხერხებდნენ, ,,ჯანყდებოდნენ'' ხოლმე რომაელების მიერ დანიშნულ მმართველთა წინააღმდეგ (ყაუხჩიშვილი, 1957:98).

სტრაბონი აზიის მხარის ქვენებს შორის ასახელებს ჰენიოხებს, კერკეტებს და მაკრონებს, და ამბობს, რომ ჰენიოხების შემდეგ მდებარეობს კოლხიდა, კავკასიისა და მოსხების მთების ქვემოთ და ამის შემდგომ უკვე იწყებს სათითაოდ ,,ქვეყნების'' ჩამოთვლას. ის აღნიშნავს რომ სინდიკესა და გორგიპიას შემდეგ ზღვასთან არის აქეელთა, ზიგთა და ჰენიოხთა სანაპირო, რომლესაც სავარაუდოდ არ აქვს ბევრი ნავსადგური ,,მეტწილად უნავსადგურო'' და ,,მთიანი''. როგორც წყაროდან ჩანს, ისინი ზღვაზე მეკობრეოდნენ, ჰყავდათ პატარა მსუბუქი ნავები (კამარები), რომელშიც 25-30 ადამიანი ეტეოდა. ნავებისგან ქმნიან ფლოტს და ესხმიან საბარგო ხომალდებს, რომელიმე ქალაქს ან ქვეყანას (ყაუხჩიშვილი, 1957:118).

ამ მეკობრე ტომებს შორის ის გამოყოფს ჰენიოხებს, რომლებსაც ე.წ. სკეპტუხები განაგებდნენ (ყაუხჩიშვილი, 1957:194). არტომიდორეს მონაცემებზე დაყრდნობით ის სხვა ტომებსაც ასახელებს: კერკეტებს, აქეელებს, ზიგებს, მოსხებს, კოლხებს, ფთეროფაგებს, სვანებს და სხვ. (ყაუხჩიშვილი, 1957:118).

როგორც სტრაბონის აღწერაში ვკითხულობთ, დიოსკურია მის დროს მნიშვნელოვანი სავაჭრო ადგილი ყოფილა, სადაც თავს იყრიდა 70 , ზოგიერთის აზრით კი 300-მდე ტომი, რომლებიც განსხვავებულ ენაზე საუბრობენ, მათ შორის უმრავლესობას სარმატთა ტომი (ყაუხჩიშვილი, 1957:125). მეორე სავაჭრო ქალაქი სტრაბონის დროს იყო ფაზისი, რომელიც მდებარეობდა მდინარე ფაზისზე, შემოსაზღვრული ამ მდინარით, მთითა და ტბით. ასევე სტრაბონი აღნიშნავს, რომ

ქვეყანა ნაყოფიერია ტყით, ამუშავებენ სელს, კანაფს, ცვილს, ფისს. სელის წარმოება კი განთქმულია არა მხოლოდ ქვეყანაში, არამედ ქვეყნის გარეთაც (ყაუხჩიშვილი, 1957:123).

არიანეზე დაყრდნობით შეიძლება ახ.წ. 132 წ ვითარების რეკონსტრუქცია. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მაშინაც ცხოვრობდა სხვადასხვა ტომი, რომლებსაც თავიანთი მეფეები ჰყავდათ და რომელთა უმრავლესობაც დანიშნული იყო რომაელების მიერ. განსხვავებული მდგომარეობა იყო სამხრეთ შავიზღვისპირეთში, სადაც მხოლოდ ერთ ტომს სანებს არ გააჩნდათ მეფე, რომელიც ამავდროულად ტრაპეზუნტელების მეზობლები და მტრებიც ყოფილან (Arrian, PPE, 1,11).[2] მათ გვერდით ცხოვრობდნენ მაკრონები და ჰენიოხები, რომელთა მეფეც იყო ანქიალე. მათ მოსაზღვრე ტომზე - ძიდრიტებზე, რომლებიც მდ. ჭოროხის ქვედა დინებას იკავებდნე, რომაელების გავლენა არ ვრცელდებოდა, ისინი ფარსმანის ქვეშევრდომები იყვნენ. მათ გვერდით ცხოვრობენ ლაზები, რომელთა მეფეც იყო მალასა, რომელსაც ტახტი ადრიანესგან ჰქონდა მიღებული. კიდევ უფრო ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ აფშილები, რომელთა მეფემ იულიანემ ტახტი ადრიანეს მამისგან მიიღო. აფშილებს ემეზობლებოდნენ აბასკები, რომელთა მეფე რესმაგამაც ტახტი ადრიანესგან მიიღო. ამ უკანსკნელთა მეზობლები იყვნენ სანიგები, რომელთა მეფე სპადაგმაც ასევე ტახტი ადრიანესგან მიიღო და რომელთა ტერიტორიაზეც მდებარეობდა სებასტოპოლისი (Arrian, PPE, 1,11).

არიანეს მონაცემებით ვგებულობთ, რომ იბერია საკმაოდ იყო შემოჭრილი კოლხეთის ტეროტორიაზე, რომის სამმართველო არეალში და ისინი ძიდრიტებს განაგებდნენ. მისივე მონათხრობით ვიგებთ, რომ რომის გავლენის სფერო მთავრდებოდა სებასტოპოლისით, ამის შემდგომ კი მდებარეობდა პიტიუნტი, რომელიც, როგორც ჩანს, ბოსფორის სამეფოს გავლენის ქვეშ იყო (Arrian, PPE, 1,18).

ამიანე მარცელინეზე დაყრდნობით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ახ.წ. IV ს სამხრეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ანტიკური ცენტრებიდან მხოლოდ

[2] სანები არ ემორჩილებოდნენ რომაელებს და წესისამებრ ,,სისტემატიურად'' გადასახადი არ შეჰქონდათ ხაზინაში, რაც არიანეს განრისხებას იწყვევდა და ის იმედოვნებდა, რომ შემდგომში სანები ასე არ გააგრძელებდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ გაძევება ემუქრებოდათ (Arrian, PPE, 1,11).

ტრაპეზუნტი და პიტიუნტი განაგრძობენ სისხლსავსე ცხოვრებას (Amm.Marc. 12, 16). მარცელინე ასევე მოიხსენიებს მდინარე ფაზისსა და ფაზისელებს, რომელთაც ეგვიპტელების ,,ძველ მოდგმად'' მოიხსენიებს, რომლის შემდგომაც მდებარეობს დიოსკურია (Amm.Marc. 12, 24).

„ნოტიცია დიგნიტატუმში", რომელიც ახ.წ. V საუკუნის დასაწყისით თარიღდება, მოცემული კოლხეთში მცოხვრები ტომების დასახელება, აბაზგებისა და ჭანების კოჰორტა, რომლებიც იმ დროს რომაული ჯარის შემადგენლობაში იყვნენე და ნილოსის მარჯვენა სანაპიროზე მდგარან (Notitia dignitatum 31).

მეხუთე საუკუნის ანონიმი ავტორი, თავის ნამუშევარში გადმოგვცემს, რომ: ,,მდინარე არქაბიდან მოკიდებული ვიდრე ოფიუნტის წყლამდე წინათ ცხოვრობენ ეგრეთწოდებული ეკხირიელების ტომი, ხოლო ამჟამად ცხოვრობენ მაქელონები და ჰენიოხები. აფსარის წყლიდან ვიდრე მდინარე არქაბემდე წინათ ცხოვრობდნენ ეგრეთწოდებული ბიზერები, ამჟამად ცხოვრობენ ძიდრიტები''. ანონიმის ცნობებით შეგვიძლია განვსაზღვროთ ეკხირიელების ტომის ადგილმდებარეობა, რომელიც შემდგომ უკვე მაქელონებმა და ჰენიოხებმა ჩაანაცვლეს. მდინარე არქაბი დღევანდელი მდ. არხავეა, რომელიც მდებარეობს აფსაროსის სამხეთ-დასავლეთით, ხოლო ,,ოფიუნტის წყალი'' მდებარეობს შავიზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, დღევანდელ ქალაქ ოფთან (ყაუხჩიშვილი, 1965:5). ანონიმისვე ცნობით სებასტოპოლისიდან მოყოლებული აფსაროსის ,,წყლამდე'' ცხოვრობდნენ კოლხები, რომლებსაც შემდგომ სახელწოდება ,,გადაერქვათ'' და ეწოდათ ლაზები. ეს ინფორმაცია მიგვანიშნებს იმაზე, რომ უკვე V საუკუნეში მთლიადან აღმოსავლეთ შვიზღვიპირეთს (კოლხეთის ტერიტორიას) ეწოდა ლაზიკა (ყაუხჩიშვილი, 1965:7).

2. წყაროები და ისტორიოგაფია

წყაროები, როგორც წერილობითი, ასევე მატერიალური მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენი ისტორიისა და არქეოლოგიის შესწავლის პროცესში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩვენს მიერ შესასწავლი მოვლენა თუ პერიოდი შორეული წარსულით თარიღდება.

ჩვენთვის შესწავლის ობიექტს წარმოადგენ რომაული პერიოდი და რომაული დასახლებები კოლხეთში. მოცემული ეპოქის გადმოსაცემად ნაშრომში განვიხილავთ არა მარტო რომაული პერიოდის ავტორებს, რომლებიც ამ დროს მოღვაწეობდნენ, არამედ მოკლედ შევეხებით უფრო ადრეულ და უფრო გვიანი პერიოდის ავტორების ნამუშევრებსაც, რა თქმა უნდა მატერიალურ მონაცემებსაც, რათა უფრო ადვილად აღსაქმელი იყოს ჩვენთვის საინტერესო ხანა და იმ დროს მიმდინარე მოვლენები.

წერილობითი წყაროებიდან პირველი ჩვენთვის საინტერესო ავტორი, რომელიც კოლხეთის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას არის ქსენოფონტე (ძვ.წ. V-IV სს). თავის ნაშრომში ,,ანაბაზისი'' ის აღგვიწერს კოლხეთის ტერიტორიაზე განსახლებულ ტომებს, მათ დამოკიდებულებას ერთმანეთისა და სხვა ტომების მიმართ. ქსენოფოტემ ელადისაკენ მიმავალ გზაზე გაირა ჩვენთვის საინტერესო ტომები: ხალიბები, ტაოხები, მოსინიკები და კოლხები. მისივე აღწერილობაში, ჩანს ამ ტომების ცხოვრების დონე, მათი დამოკიდებულება სხვა ტომების მიმართ, როგორი იყო მათი სავაჭრო ურთიერთობა და ყოფითი ცხოვრება. ქსენოფინტეს ჯარს მოუწია ტაოხების ტომთან შებრძოლება, სადაც გამოჩნდა ამ ტომის სამხედრო ორგანიზებულობა, ქსენოფონტე აღნიშნავს: ,,ხერიოსოფოსი თავს დაესხა მათ. იერიშის დროს როდესაც პირველი რაზმი იღლებოდა მათ ენაცვლებოდა მეორე, მერე კი სხვა, რადგან გარშემო ციცაბო იყო და ერთობლივი გარემოცვა არ ხერხდებოდა''(Xen. 4,1). შებრძოლების მიზეზს კი წარმოადგენდა ელინების მიერ ტაოხების სურსათ-სანოვაგეს დასაკუთრება. ტაოხების შემდეგ ისინი ხალეებების ტერიტორიას მიადგნენ, როგორც ტაოხები ისინიც მათ მსგავსად სიმაგრეებში ცხოვრობდნენ და სურსათიც იქ ქონდათ ატანილი. როდესაც

ელინები ჩაუვლიდნენ მათ, ხალიბებები ბრძოლით ედევნებოდნენ მტერს. ამის გამო ელინებმა ვერ მოახერხეს მათგან საკვების წაღება და იკვებებოდნენ ისევ იმ პირუტყვით, რომელიც ტაოხებს წაართვეს. შემდგომ ელინები მივიდნენ მდინარე ჰარპასოსთან (მდ. ჭოროხთნ), საიდანაც იარეს სკვითინების ქვეყანაში. სკვითინებისა და მაკრონების ტერიტორიების გავლის შემდგომ ელინები მიადგნენ კოლხეთის საზღვარს. აქ ტომებს ზუსტად ჰქონდათ განსაზღვრული თავიანთი საზღვარი, რომელსაც არ არღვევდნენ. სავარაუდოა ისიც, რომ მათ ძალიან კარგად ჰქონდათ განვითარებული საზღვრის დაცვის სისტემა, რაც გამოიხატება მათ საომარ განწყობაში. ასევე აღსანიშნავია მათი ნაწილის მშვდობიანი დამოკიდებულება, რაც მათ მშვიდ ხასიათზე/პოლიტიკაზე მიუთითებს.

კოლხეთის აღწერისთვის მნიშვნელოვანი წყაროა სტრაბონი და მისი ,,გეოგრაფია''. სტრაბონი, რომელიც ძვ. წელთაღრიცხვისა და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე მოღვაწეობდა თავის ,,გეოგრაფიაში'' აღწერს, რომ: ,,მთელი ქვეყანა ფაზისისა და ევფრტის შიგნით გარდა არაბეთის ზოგი ნაწილისა რომაელების გამგებლობაშია და რომაელების მიერ დაყენებული დინასტების ხელშია. არმენიელები და კოლხიდას ზემოთ მცხოვრებნი, ალბანებიცა და იბერებიც, საჭიროებენ მხოლოდ მმართველთა ყოლას და კარგად მორჩილებენ მას. აჯანყდებიან ხოლმე მხოლოდ მაშინ როდესაც რომალები სხვა საქმეებით არიან ხოლმე გართულები''(Strabo, 6.4.2). წყაროს მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ უკვე ახ.წ. I საუკუნის პირველ ნახევარში რომაელების მიერ იმართებოდა ტერიტორია ფაზისიდან ევფრატის ჩათვლით და მათ რომაელების მიერ დანიშნული დინასტები მართავდნენ.

სტრაბონი აზიის მხარის ქვეყნებს შორის ასახელებს ჰენიოხებს, კერკეტებს და მაკრონებს, და ამბობს, რომ ჰენიოხების შემდეგ მდებარეობს კოლხიდა, კავკასიისა და მოსხების მთების ქვემოთ და ამის შემდგომ უკვე იწყებს სათითაოდ ,,ქვეყნების'' ჩამოთვლას. ის აღნიშნავს რომ სანდიკესა და გორგიპიას შემდეგ ზღვასთან არის აქეელთა, ზიგთა და ჰენიოხთა სანაპირო, რომლესაც სავარაუდოდ არ აქვს ბევრი ნავსადგური - ,, მეტწილად უნავსადგურო'' და ,, მთიანი'' (ყაუხჩიშვილი, 1957:118). როგორც წყაროდან ჩანს, ისინი ზღვაზე მეკობრეობდნენ, ჰყავდათ პატარა მსუბუქი

ნავები, კამარები, რომელშიც 25-30 ადამიანამდე ეტეოდა. ამ კამარებისგან ქმნიდნენ ფლოტს და თავს ესხმოდნენ საბარგო ხომალდებს, რომელიმე ქალაქს ან ქვეყანას. აქვე საინტერესოა სტრაბონის მინიშნება, რომ მათ ამ ყველაფერში ბოსფორელები ეხმარებიან - ,,აძლევენ მათ ნავსაყუდებს, ბაზარსა და ნადავლის გაყიდვის საშუალებას'' (ყაუხჩიშვილი, 1957:119). შესაძლებელია, ვიფიქროთ, რომ ეს ურთიერთობა ორმხრივი ყოფილიყო და არც ჰენიოხები დარჩებოდნენ ვალში ბოსფორელებს.

სტრაბონისვე ცნობებიდან ვიგებთ მითრიდატეს მმართველობის შესახებ კოლხეთში და პომპეუსთან ურთიერთობას, მასთან დამარცხებას. მისსავე პერიოდში მოღვაწეობდა პითოდოროსი, რომელსაც ,,ჭკვიან'' და ,,შემძლე საქმეთა გამგებლობის''-სად მოიხსენიებს (ყაუხჩშვილი, 1957:200).

სტრაბონი ჰენიოხების სახელწოდებას იაზონის ლაშქრობას უკაშირებს: ,,ამბობენ, რომ იაზონის ლაშქრიდან ფთიელმა აქაველებმა დაასახლეს აქაური აქაია, ხოლო ლაკონელებმა - ჰენიოხია, რომლებსაც მართავდნენ, რეკასი და ამფისტრატე, დიოსკურიას მეეტლეები, ხოლო ჰენიოხებმა ამათგან მიიღეს სახელი'' (ყაუხჩიშვილი, 1957:119). მართლაც, ბერძნულად მეეტლები ნიშნავს ἡνίοχος, ზოგჯერ გამოყენებულია როგორც: ἁρματηλάτης, διφρευτής, τροχηλάτης, ἡνιοστρόφος. თუმცა, ყველაზე ხშირად გამოყენებულია სიტყვა ἡνίοχος, რომელიც ზუსტად ემთხვევა სტრაბონის ვერსიას/გადმოცემას ჰენიოხების სახელწოდების შესახებ: ,,განაგებენ მათ ეგრეთწოდებული სკეპტუხები, ხოლო თვით ესენი ტირანთა ან მეფეთა გამგებლობაში იმყოფებიან. ჰენიოხებს ოთხი ბასილევსი ჰყავდათ''. მისივე გადმოცემით სანაპირო მიემართება აღმოსავლეთით და მთავრდება პიტიუნტთან და დიოსკურიასთან (ყაუხჩიშვილი, 1957:120).

დიოსკურიის აღწერისას ვკითხულობთ: ,,უჭირავს უკიდურესი აღმოსავლეთი პუნქტი მთელი ზღვისა, ამიტომ ამბობენ მასზე რომ ისაა ევქსინის უშორესი ადგილი და უკიდურესი საცურაოდ ... თვით დიოსკურია არის საწყისი იმ ყელისა, რომელიც კასპიისა და პონტოს შუაშია და საერთოდ სავაჭრო ადგილი მის ზემოთ და მახლობლად მცხოვრების ტომებისთვის. ერთთა აზრით ქალაქში თავს იყრის 70 ტომი, ხოლო

მეორენი ამბობენ, რომ 300-იო, ყველა ტომი განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობს, რადგან დაფანტულობის გამო შეურევლად ცხოვრობენ თავისი სიამაყის და ველურობის მიზნით, უმეტესობა არიან სარმატები, ხოლო ყველანი კავკასიელები არიან ესაა რაც შეეხება დიოსკურიას''(ყაუხჩიშვილი, 1957:122). წყაროდან ვიგებთ, რომ დიოსკურია ეს არის უკიდურესი წერტილი სანაპიროსი, სადაც აქტიური სავაჭრო ურთიერთობებია და თავს იყრის სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ხალხი.

ფაზისის აღწერისას სტრაბონი აღნიშნავს მდინარე ფაზის და მდინარეზე მდებარე ქალაქს და დასძენს, რომ ის არის კოლხთა ,,სავაჭრო ქალაქი'', რომლიც გარშემორტყმულია მდინარით,ზღვით და ტბით (Strabo, 11.2.17).

ახ.წ. 77 წლამდე კოლხეთში რომაელი სამხედროების ყოფნაზე საუბრობს პლინიუსი, რომელიც ერთ Castellum-ს სებასტოპოლისში ასახელებს, დიოსკურიის მახლობლად, მეორეს კი აფსაროსში, შემდგომ უკვე მიუთითებს, რომ სებასტოპოლისის შემდეგ არის ქალაქი პიტიუნტი, ,,უმდიდირესი ქალაქი'' რომელიც გაძარცვულ იქნა ჰენიოხების მიერ (Plin. HN 6,12).

არიანეს ნაშრომი „პერიპლუსი“ ეძღვნება მის მოგზაურობას აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ახ.წ. 132 წელს, რომლის მიზანიც იმპერატორ ადრიანესათვის ინფომრაციის მიწოდება იყო. ნაშრომში აღწერილია იმ დროს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ჩაყენებული რაზმების და ციხეების მდგომარეობა. ციხეებს, რომლებიც წარმოადგენდა რომის მიერ დაქვემდებარებული ტერიტორიების მაკონტროლირებელ ძალას. ის თავის ნაშრომში მოიხსენიებს შემდეგ ციხეებს: აფსაროსს, ფაზისსა და სებასტოპოლისს (კეჭაყმაძე, 1961:15).

აფსროსში, როგორც მისი ჩანაწერებიდან ჩანს, ხუთი კოჰორტა მდგარა, რომლისთვისაც დაურიგებია ხელფასები, დაათვალიერა იარაღი, კედელი, თხრილი, ავადმყოფები და ასევე შეამოწმა პურის მარაგი (კეჭაყმაძე, 1961:35).

შემდგომი ციხე, რომელსაც არიანე აღწერს ეს არის ფაზისი, რომელშიც 400 რჩეული მეომარი თავსდებოდა. ციხე მდებარეობდა ბუნებრივად დაცულ ადგილას, რომელსაც ასევე ორმაგი კედელი ჰქონდა შემორტყმული. მისი აღწერიდან ჩანს, რომ

ციხეს ადრე თიხის კედლები ჰქონია, რომელზედაც ხის კოშკები იდგა, მაგრამ უკვე არიანეს ვიზიტის დროს ის გამომწვარი აგურისაგან იყო ნაგები. ფაზისს გააჩნდა ნავსაყუდელი, რომელისთვისაც, არინეს ბრძანებით, შემოავლეს ორმაგი თხრილი, ამ თხრილის შიგნით მოექცა ასევე ტერიტორია, სადაც დასახლებულნი იყვნენ სამხედრო სამსახურიდან გადამდგარი პირები (კეჭაყმაძე, 1961:39).

სებასტოპოლისში არიანემ ჯარისკაცებს დაურიგა ხელფასი, დაათვალიერა იარაღი, მოინახულა ავადმყოფები, შეამოწმა პურის მარაგი და აქაც, ფაზისის მსგავსად, ციხეს თხრილი შემოავლო. სებასტოპოლისის ციხით მთავრდებოდა რომაელების გავლენის სფერო აღმოსავლეთ შავისზვირპირეთში არიანეს მოგზაურობის დროს. თუმცაღა, ის ასევე გვაწვდის ინფორმაციას ბიჭვინთის შესახებ, რომელიც მისი თქმით ბოსფორის სამეფოშია (კეჭაყმაძე, 1961:41).

ამიანე მარცელინე ქალაქებს შორის აღნიშნავს ფაზისა და დისკურიას, ,,არის მდინარის მიხედვით სახელგანთქმული ქალაქი ფაზისი და ახლაც კარგად ცნობილი დიოსკურია'' (გეორგიკა, 1961:112).

V საუკუნეში მოღვაწე ანონიმი გვაწვდის ინფორმაციას, რომელიც მეტ-ნაკლებად თითქოსოს იმეორებს არიანეს ცნობებს, მაგრამ ამავდროულად მის ცნობებში არის ახალიც, რომელიც ჩვენთვის სანდო და მისაღებია. როგორც ტომების ასევე ციხეების ლოკალიზაციის შესახებ, მაგალითად ის, რომ დიოსკურიიდან (სებასტოპოლისიდან) თუ მიემართებით პირველი ნავსადგური არის პიტიუნტში. არიანესგან განსხვავებით, ანონიმი აფსაროსს უკვე სოფლად მოიხსენიებს (ყაუხჩიშვილი, 1965:9-10).

V საუკუნის ავტორი ზოსიმე აღწერს, სკვითების მიერ ბიჭვინთის აოხრებას, რომელიც ,,უზარმაზარი კედლით იყო შემოსაზღვრული და რომელსაც ჰქონდა კარგად მოწყობილი ნავსადგური'', მაგრამ ეს შემოსევა სკვითების მარცხით დასრულდა ადგილობრივი ჯარის მეთაურის სუკესიანუსის ძალისხმევით. სუკესიანუსის გაწვევის შემდეგ სკვითები კვლავ დაესხნენ ბიჭვინთას და აიღეს კიდეც ციხე. ბიჭვინთის შემდგომ ისინი ასევე თავს დაესხნენ ფაზისს (ყაუხჩიშვილი, 1965:269).

VI საუკუნის ავტორი პროკოფი კესარიელი გადმოგვცემს აფსაროსისათვის სახელის დარქმევის ისტორიას და შემდგომ უკვე აღნიშნავს ქალქის მრავალრიცხოვნებას. ქალაქის ირგვლივ მდებარე თეატრს, ჰიპოდრომს და ,,მრავალი სხვა რამეს'', რომელიც ქალაქს გააჩნდა. ,,ტრაიანეს დროს აქ იყო რომაელთა ჯარი, ხოლო ამჟამად აქ მცხოვრებლები რომაელების ქვეშევრდომები არ არიან, და იმ ციხის და მის ირგვლივ მდებარე შენობიდან მხოლოდ საძირკველია შემორჩენილი''. შემდგომ უკვე პროკოპი ასახელებს სებასტოპოლისსა და ბიჭვინთას. ის აღნიშნავს, რომ ამ ციხეებში რომალებმა თავიდანვე ჩააყენეს რომაელი ჯარისკაცები და რომ მათ მის დრომდე, ანუ პროკოფის დრომდე ჰქონდათ სადარაჯოები: ,,პირველხანებში რომაულ ჯარისკაცთა რაზმებს ეჭირათ მთელი ადგილები ტრაპეზუნტის საზღვრებიდან დაწყებული ვიდრე სანიგების ქვეყნამდე, როგორც ეს ჩემს მიერ უკვე ითქვა: ამჟმად კი მათ დარჩათ მხოლოდ ეს ორი სიმაგრე სადაც ჩვენს დრომდე ჰქონდათ სადარაჯოები, როდესაც ხოსრომ სპარსთა მეფემ, ლაზები რომ წამოუძღვნენ მას პეტრასკენ, გადაწყვიტა იქ სპარსთა ჯარის გაგზავნა ამ სიმაგრეების ასაღებად და იქ სადარაჯოების ჩასადგომად, როდესაც რომალეთა მხედრებმა ეს წინდაწინ გაიგეს გაასწრეს და გადასწვეს სახლები, ძირამდე დაანგრიეს კედლები, დაუყოვნებლივ ჩასხდნენ ხომალდებში, გასწიეს პირდაპირ მდებარე ხმელეთისაკენ და მივიდნენ ქალაქ ტრაპეზუნტში და ამრიგად, თუმცა ზარალი მიაყენეს რომაელთა ძალაუფლებას სიმაგრეების მოსპობით, მაგრამ ამით დიდი სარგებლობაც მოუხვეჭეს იმ მხრივ, რომ იქიდან მტრებმა ვერ დაიპყრეს ეს ქვეყანა'' (გეორგიკა, 1961:105-107). პროკოფი ასევე აღნიშნავს იუსტნიანეს აღმშენებლობით სამუშაოებს კოლხეთის სანაპიროზე (გეორგიკა, 1934:188).

Notitia dignitatum, რომლის სახელიც ასე ითარგმნება ,,ნუსხა ყველა თანამდებობისა და მმართველობისა, როგორც სამოქალაქო ისე სამხედროსი, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეების'', რომელიც V საუკუნის დასაწყისის მიეკუთვნება, მოხსენიებულია პიტიუნტი და სებასტოპოლისი, როგორც ციხეები, რომლებიც დასახელებულნი არიან ფრთეულთა და კოჰორტთა საბინადრო ადგილებად (გეორგიკა, 1961:176).

სებასტოპოლისში, მდგარა ,,კლავდიუსის სახელობის პირველი ცხენოსანი კოჰორტა'' (notitia diginitatum or., XXXVIII), რომელიც იერარქიულად არა კაბადოკიის, არამედ Dux Armenic-ის ,,არმენიის მართველს'' ექვემდებარებოდა. ამავე წყაროს თანახმად პიტიუნტში დაბანაკებულია ერთი ,,ალა ბედნიერი თეოდოსის სახელობის'' (Ala Felix Theodosiana), ანუ სულ ცოტა 500 მხედარი (ლორთქიფანიძე, 1991:57).

იუსტინიანეს ნოველებში, რომელიც VI საუკუნით თარიღდება, მოხესნიებული ჰყავს პეტრა, პიტიუინტი და სებასტოპოლისი, რომელთაც ის მიიჩნევს, როგორც ციხე-სიმაგრეებს, ვიდრე ქალაქებს (გეორგიკა, 1965:37).

ეპიგრაფიული მასალებიდან მნიშვნელოვანია წარწერები იტალიიდან და ეგვიპტიდან. იტალიაში ნაპოვნ მასალაში საუბარია, ვინმე Marcius Plaetorius Celer-ზე, რომელიც იყო Praeposites humerorum tendentiu in Ponto Absaro, რომელიც დაჯილდოებული იქნა იმპერატორ ტრაიანეს მიერ პართიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობისათვის (113-117 წწ), რომელიც ამავდროულად, გარკვეული დროის განმავლობაში ასრულებდა რომაული დამხმარე კოჰორტის ხელმძღვანელის მოვალეობს, რომელიც იმდროისათვის განლაგებული იყო აფსაროსში. მოცემული ინფორმაცია გვაძლევს საშუალებს ვივარაუდოთ/გამოვთქვათ აზრი, რომ ამ დროისთვის ანუ 113-117 წლებში გონიო-აფსაროსში განალგებული იყო დამხმარე კოჰორტა (Мамуладзе, Халваши, Асланишвили, 2002:33).

ეგვიპტეში, ფაიუმში აღმოჩენილია ახ.წ. II საუკუნის პაპირუსი, სადაც დატანილია ინფორმაცია ვინმე მარციალზე, რომელიც გახლდათ Cohorta II Claudina-ას ვეტერანი, კოჰორტის, რომელიც იდგა აფსაროსში. მ. შპაიდელის აზრით, Cohorta II Claudina წარმოადგენდა რომაული იმპერიის დამხმარე კოჰორტას, რომელიც განლაგებული იყო კაბადოკიაში ახ.წ. II საუკუნის შუა ხანებში. ფაქტის დადასტურებად შეგვიძლია მივიჩნიოთ 1995-1998 წლებში არქეოლოგირუი გათხრების დროს აღმოჩენილ აგურებზე დატანილი წარწერა ინიციელბით COH და II,რომლელსაც არქეოლოგები Cohorta II Claudina-ს მიაკუთვნებენ (Speidel, 1984:106; Мамуладзе, Халваши, Асланишвили, 2002:34-35).

ეპიგრფიკული მასალები აღმოჩნდა არქეოლოგიური გათხრების შედეგად გონიო-აფსაროსშიც, რომელიც გვაძლევს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელი კოჰორტა იდგა გონიო-აფსაროსში, განსაკუთრებით მაშინ როდესაც გვაქვს არიანეს ცნობა ხუთი კოჰორტის განთავსების შესახებ აფსაროსში.

COH II [---] მსგავსი წარწერით აღმოჩენილია ოთხი ეგზემპლარი: ორი სახურავის კრამიტზე, ორიც აგურზე (ტაბ.XXI). აგური აღმოჩენილი იქნა ე.წ. „პრინციპიაზე". აღმოჩენილი ფენა ახ.წ. I-III საუკუნეებით თარიღდება. მსგავსი წარწერიანი კრამიტის ფრაგმენტები აღმოჩენილია თერმაში, მაგრამ ფენა, რომლშიც აღმოჩნდა მიუკუთვნება ბიზანტიურ პერიოდს, არქეოლოგთა ვარაუდით, კრამიტი მეორედ იქნა გამოყენებული. მკვლევარები წარწერას განმარტავენ, როგორც: COH II [CLA], კითხილობენ, როგორც Coh(ors) II Cla(udia) ან Cla(udiana) (M.P. Speidel 1984: 106; Mamuladze, Khalvashi, Aslanishvili, 2002:34, სურ.1; Kakhidze, 2008:19; M.A. Speidel, 2009: 613; Mitford, 2018: 412, 550).

I SAGI ან [II]I SAGI წარწერით აღმოჩენილია ორი ეგზემპლარი (ტაბ.XXII), ერთზე მთლიანადაა შემორჩენილი წარწერა, რომლის სავარაუდო რეკონსტრუქცია შემდეგნაირია: (Cohors) I sagi(ttaria) ან (Cohors) [II]I sagi(ttaria) (Mamuladze, Khalvashi, Aslanishvili 2002:35, სურ. 3; Kakhidze, 2008: სურ. 20; M.A. Speidel, 2009:620; Mitford, 2018: 550). დღემდე არსებული ინფორმაციის მიხედვით აქ იყო დამხამრე კოჰორტა, რომელიც წარმოადგენდა კაბადოკიის პროვინციაში მდებარე არმიის ნაწილს, და სავარაუდოა, რომ ეს წარწერაც მათ ეკუთვნოდათ Cohors III Syrorum sagittariorum (Speidel, 2009: 619–620). თუმცა, მკლევარების აზრით, შესაძლებელია, რომ ყოფილიყო სამი მშვილდოსანთა კოჰორტა: Cohors I Bosporanorum milliaria equitata sagittaria (Speidel, 2009: 612) ან Cohors I Ituraeorum milliaria equitata sagittaria (Speidel, 2009: 616) ან Cohors I Numidarum (equitata?) sagittaria (Speidel 2009: 618).

COH ∞ [-] წარწერიანი კრამიტი, აღმოჩენილია რომაულ ფენაში (ტაბ.XXIII) (Khalvashi, Aslanishvili, 2014:336; Karaszewycz-Szypiorski, Mamuladze, Aslanishvili, Daszkiewicz, 2018:500, სურ.11). სავარაუდოდ ბეჭედი დატანილ იქნა Cohors milliaria

equitata civium Romanorum-ის მიერ (Speidel, 2009: 617). იმ შემთხვევაში თუ ეს შეხედულება სწორია მაშინ წარწერა იკითხება, როგორც: COH ∞ CR – Coh(ors) milliaria c(ivium) R(omanorum).

∞ ნიშანი ნაპოვნია გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრეში (ტაბ.XXIV/2). ეს მიუთითებს იმაზე, რომ ამ ჯგუფის ხელმოწერები წარმოადგენენ იმავე სამხედრო ნაწილის წარმოებას, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ ანუ Cohors milliaria equitata civium Romanorum.

X ნიშანი გამოსახულია კერამიკულ მილებზე (ტაბ.XXIV/1), რომლებიც ახ.წ. II საუკუნით თარიღდება (Mamuladze, Khalvashi, Aslanishvili 2002:38; Karaszewycz-Szypiorski, Mamuladze, Aslanishvili, Daszkiewicz, 2018:500, სურ.12). მსგავსი გამოსახულებიანი კერამიკული მასალები აღოჩეჩნდა სათალაში[3] 2004 წელს (Hartmann, 2004:9). აღმოჩენილ იქნა ჰუმუსის ფენაში. ნაპოვნია ასევე კრამიტებზე დატანილი მსგავსი გამოსახულება.

ქვა, რომელზეც ჩანს მხოლოდ ორი ასო, აღმოჩენილი იქნა გასულ, 2020 წელს. ქვაზე იკითხება DM, არქეოლოგები მას განმარტავენ როგორც: Dis Manibus, ამ განმარტების საფუძვლეზე ვარაუდობენ, რომ ის ეკუთვნოდა საფლავის ქვას.

საინტერესოა გონიო-აფსაროსის ეპიგრაფიკული მასალა, რომელიც ჯერ-ჯეროობით არ არის გამოქვეყნებული, მაგრამ შესწავლის პროცეშია[4]. ერთი ასოსგან შემდგარი გრაფიტოები (X, P, Ψ ...) დატანილია რომაული პერიოდის ქვევრების, ამფორების, ლუთერიების ნატეხებზე, ძირითადად ჭურჭლის ყურის, ყელის მიდამოებში (გ.ა. 2018/120; გ.ა. 2016/193,202,224; გ.ა. 2017/164,165; გ.ა. 2018/251...). მათი უმეტესობა ნედლ თიხაზე გამოწვამდეა გაკეთებული, რაც მეტყველებს იმაზე, რომ მეთუნის მიერ გაკეთებული ნიშანი უნდა ყოფილიყო. თუმცა გვხვდება კერამიკის გამოწვის შემდგომ ამოკაწრული გრაფიტოებიც. განსაკუთრებით საინტერესოა ნედლ თიხაზე დატანილი X ასოს სიმრავლე, რაც, თუ გავითვალისწინებთ აქ აღმოჩენილი დამღიანი აგურების

[3] სათალა გახლდათ მნიშვნელოვანი პუნქტი რომის იმპერიის ფორმირების სისტემაში. მდებარეობდა ანატოლიაში (დღვანდელი თურქეთის ტერიტორიაზე). სათალაში განთავსებული იყო XV Apollinaris, რომელიც რომის იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარს საუკუნეების განმავლობაში იცავდა.
[4] მასალაზე მუშაობს არქეოლოგი ნინო ძნელაძე.

ინფორმაციას, მეათე კოჰორტის აღმნიშვნელი უნდა იყოს, ერთი ასეთი ასო კვადრატშია ჩასმული (გ.ა. 2017/165). გამოწვამდეა გაკეთბული გრაფიტო P სოლენის ტიპის რომაულ კვადრატულ ფილაზე (გ.ა. 2018/351). გრაფიტულ ჭურჭელზე დატანილი ასოები საშუალოდ 4-5 სმ სიმაღლისაა.

გონიოში აღმოჩენილ წარწერებს შორის არის ჭრაქის კორპუსზე გამოსახული ლათინური წარწერა: C.COH AVR C.R. არქეოლოგებმა ეს წარწერა შემდეგნარიად განმარტეს: პირველი ასობგერა C - მფლობელის ინიციალია, COH შემდგომი ასობგერები ეკუთვნის AVR (elia) სავარაუდოდ ეკუთვნოდა იმპერატორის შემოკლებული ინიციალებეს Marcius Avrelius (161-180 ახ.წ). ბოლო ორი ასობგერას განმარტავენ, როგორც: C.COH (ors) AVR(elia) c(ivium) R (omanorum) (Мамуладзе, Халваши, Асланишвили, 2002:33, სურ.4).

1896 წელს, სოხუმში ზღვის პირას, სამშენებლო სამუშაოების დროს აღმოჩენილ იქნა ქვა წარწერით. ქვის ერთ მხარეს შენარჩუნდა წითელი ფერი და ლათინური წარწერები. წარწერა სპეციალისტებმა განმარტეს, როგორც: ,,ადრიანემ ააშენა ეს პორტი ფლავიუს არიანეს მეშვეობით''(Куфтин, 1949:154).

სოხუმის ციხის ტერიტორიების სამშენებლო სამუშაოების დროს აღმოჩნდა ლათინურწარწერიანი ფრაგმენტი, რომელიც დაკარგულია. მასზე იკითხებოდა LEG (Леквинадзе, 1969).

1998 წელს, სოხუმის ციხის ტერიტორიაზე არქეოლოგური გათხრების დროს აღმოჩენილი იქნა ძველბერძნული წარწერა, დამზადებულია ადგილობრივი კირქვის ფილაზე. შენარჩუნებულია 5 სტროფი, ასოების სიმაღეა 17 მილიმეტრი, ნიშნები საკმაოდ სიმეტრიულია, მათ შორის დაშორებაც:

1. ხალხის განკარგულება, გამოხატოს აღტაცება, ანაზღაურებადი, აღჭურვილი (თქვენი?) [Triremes] (ქარი?). ასოების განლაგების მიხედვით, თანმიმდევრობით, სტილით და სხვა მინიშნებები არქეოლოგებს აძლევს საშუალებას ივარაუდონ, რომ ძეგლი ეკუთვნის II საუკუნეს (Ветроградова, 2002:385; Габелия, 2014:483; სურ.1).

ვეტროგრადოვას თანახმად, წარწერა უნდა მიეკუთვნოს წერილობითი ძეგლების კატეგორიას, რომელიც ეხება გამოჩენილი პირის დამსახურებას, რომლის სახელიც, სამწუხაროდ, არ არის შემონახული. მისი ვარაუდით, წარწერა გაკეთებულია ადგილზე, ნაკარნახევია რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ეხმიანება ზღვის მოგზაურობას, რომელიც უმეტესწილად სამხედრო ხასიათს ატარებდა (Ветроградова, 2002; Шамба, 2005:87).

1999 წლიდან განახლდა არქეოლოგირი ექსპედიციები სოხუმის ციხეზე. გათხრები მიმდინარეობდა ზღვის სანაპიროსთან ახლოს. აღმოჩენილ მასალებს შორის იყო II-III საუკუნის ამფორის ყელის ფრაგმენტზე გამოხატული რამდენიმე ანბანური სიმბოლო და ნაკვეთი გრაფიტი: ა) A (ალფა) - როგორც ერთი სიმბოლო, ასევე კომბინაცია სხვა სიმბოლოებთან; ამ შემთხვევაში, სხვა სიმბოლოებთან გამოხატვის დროს: ალფა- პირველი ასო სწორი მხარეებით და შუაში ჰორიზონტალური ხაზით. მეორე ნაკაწრი უბრალოა, ერთი გრძელი ხაზით; ბ). ლიგატურა სამი ასობგერისგან შემდგარი (ტაბ.XXV) (Габелия, 2014:452, ტაბ: XXXIX).

ბიჭვინთაში, არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა სამი წარწერიანი ფრაგმენტი. ერთი მათგანი აღმოჩნდა ინკიტის ტბის მახლობლად მდებარე კოშკში, I-II საუკუნის ფენაში. იკითხება LEG . მეორე ფრაგმენტი აღმოჩენილი იქნა პიტიუნტის კასტელუმში, რომელიც II საუკუნის ბოლოთი თარიღდება. ბეჭდის (დამღის) ნაწილი აღმოჩნდა ასევე სამხრეთ ჭიშკართან, შემორჩენილია: G და XV (ტაბ.XXIV/3). II-III საუკუნის ფენებში (Kiguradze 1987:88). მხოლოდ ერთი ასობგერა G შემორჩა კრამიტზე. ანალოგების მიხედვით აღმოჩენილი წარწერას არქეოლოგები განმარტავენ, როგორც: LEG[IO] XV [Apollinaris] (გამყრელიძე, 2014:13; სურ,4).

ციხისძირში აღმოჩნდა ლათინურწარწერიანი აგური VEX.FA. არქეოლოგები ვარაუდობენ, რომ ის ფაზისის სახელოსნოს ეკუთვნოდა. რომელსაც მკვლევარები განმარტავენ როგორც: vex (Illationes Legionum XII] F (ulminatae) et XV A (polinaris), რაც მოწმობს XII და XV ლეგიონების ერთობლივ სამშენებლო საქმიანობას. არ გამოირიცხება vex (Ilatio) Fa (siana)-ას ვარიანტიც (შპაიდელი, 1985:138). ამ შემთხვევაში,

ფიქრობენ, რომ ფაზისის გარნიზონის ჯარისკაცების მიერ რაღაც გარკვეული სამხედრო საინჟინრო სამუშაოების ჩატარებაზე პეტრაზე, რომელიც შპაიდელის აზრით, აფსაროსის ავანპოსტი შეიძლება ყოფილიყო, ვიდრე ფაზისზე დამოკიდებული გამაგრება (ხოშტარია 1962:29; შპაიდელი 1985:138; ლორთქიფანიძე 1991:48).

საქართველოში არქეოლოგია XIX საუკუნეში ჩაისახა, თუმცა არქეოლოგიურ გათხრებს სისტემური ხასიათი არ მიუღია. არქეოლოგიურ ძეგლთა თავმოყრისა და შესწავლის ცდები დაკავშირებულია 1852 წელს დაარსებულ კავკასიის მუზეუმთან (დღევანდელი საქართველოს ეროვნული მუზეუმი) და 1873 წ დ. ბაქრაძის ინიციატივით დაარსებულ კავკასიის არქეოლოგიურ მოყვარულთა საზოგადოებასთან.

ჩვენს მიერ საკვლევი ციხეებისადმი ინტერესი, ძირითადად, XX საუკუნის დასაწყისით განისაზღვრება, თუმცა დაინტერესება XIX საუკუნეშიც იყო, არა მხოლოდ ქართველი არამედ უცხოელი მკვლევარების მხრიდან. მაგალითისთვის, შეგვიძლია ვისაუბროთ ჰეინრიხ შლიმანზე, რომელსაც სურდა ბათუმის ოლქში გათხრების წარმოება. მისი დაინტერესება სანკტ-პეტერბურგში დაცულის დოკუმენტური მასალებთ მტკიცდება, თუმცა მას არ მისცეს ციხის შესწავლის უფლება. მეოცე საუკუნის 1904 და 1917 წლებში ე.წ. ,,ღია ფურცელი'' გაუციათ მეცნიერებისთვის ნ. მარისთვის და თ. უსპენსკისთვის, მაგრამ ეს სამუშაოებიც განუხორციელებელი დარჩა (კახიძე, ე. 2002: 14).

1960-იანი წლებიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაფუძნების შემდეგ გახდა შესაძლებელი გონიო-აფსაროსში მცირე სახის სამეცნიერო სამუშაოების შესრულება. 1994 წელს დაარსდა გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალი. 1995 წლიდან გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალში ყოველწლიურად წარმოებს არქეოლოგირუ კვლევა-ძიება, რომლის საფუძველზეც შეიქმნა მრავალტომეული: ,,გონიო-აფსაროსი''. გონიო-აფსარსის მუდმივმოქმედი ექსპედიცია თანამშრომლობს საეთაშორისო არქეოლოგიურ კვლევით ცენტრებსა და უნივერსიტეტებთან. მათ შორის არიან: გერმანიის იენის ინსტიტუტი, ვარშავის უნივერსიტეტი და იტალიის ფერარას უნივერსიტეტი. ძეგლზე მომუშავე არქეოლგოებს შორის ახსანიშნავია: შ.მამულაძის,

ნ.ინაიშვილის, გ.თავამაიშვილის, ი.ჩავლეიშვილის, მ.ხალვაშის, ე.კახიძის, ტ.ებრალიძის, ლ.ასლანიშვილის, თ. შალიკაძის, ი.ვარშალომიძის, კ.ქამადაძის, რ. კარაშევიჩ-შჩიპიორსკის, მ.შპაიდელის და სხვათა მიერ ერთობლივად თუ ინდივიდუალურად შესრულებული სტატიები. ამსთანავე ციხის ტერიტორიაზე მიმდინარე არქეოლოგიური აღმოჩენების ანგარიში და სტატიები იბეჭდება.

ფოთი-ფასისის მიდამოების ,,დაზვერვა'' ჯერ კიდევ 1834 წ ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ მოახერხა, როდესაც მან ფოთის აღმოსავლეთით (დღევანდელი აეროდრომის ტერიტორიაზე), ადგილ "ნაჯიხურთან" ციხე-სიმაგრის ნაშთები აღმოაჩინა, რომელიც არიანესდროინდელ ფასისად მიიჩნია. მანვე შეადგინა მის მიერ დათვალირერებული ციხის ნახაზიც (Dubois, 1839:63-80). ქ. ფოთის მიდამოებში 1953 წ ნინო ხოშტარიამ მცირე არქეოლოგიური დაზვერვები ჩაატარა (ხოშტარია,1972:30-33). 1961-65 და 1971-80 წწ კი ფოთის შემოგარენის არქეოლგოირუ კვლევა ჩატარდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგირ ინსტიტუტის მიერ. 1985 წ-დან ფოთში კვლევა-ძიებას აწარმოებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის შავიზღვისპირეთის ჰიდროარქეოლოგიური ექსპედიცია გელა გამყრელიძის ხელმძღვნალეობით. ბოლო ათწლეულის განამვლობაში ფაზისი ლოკალიზაციის განსაზღვრისა და დადგენის შესახებ მიმდინარეობს საერთაშორისო კვლევები, რომელშიც ჩრთულია როგროც ქართული, ასევე გერმანული მხარე. ძეგლზე მომუშვე არქეოლოგობეს შორის აღსანიშნავია: ვ. ლიჩელი, მ. ბერძენიშვილი, გ. გამყრელიძე, გ. გრიგოლია, დ. ნასყიდაშვლი, ნ. ხოშტარია, ჯ. კეკელიძე, ოთ. ლორთქიფანიზე, თ. მიქელაძე, ს. ჯანაშია, რომელთა პუბლიკაციები გამოქვეყნებულია უმეტესწილად ინდივიდუალური სტატიების სახით.

სოხუმის ციხე-სიმაგრის მიდამოებში არქეოლოგიური კვლევა 1952 წელს დაიწყო. 1958-1959 წლებში გათხრებში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი ა. აფაქიძის, ლ. შერვაშიძისა და მ. თრაპშის ხელმძღვნალობით. ექსპედიციის ფარგლებში ჩატარდა წყალქვეშა კვლევები. ძეგლზე ასევე მუშაობდნენ: გ. ლორთქიფანიძე, სოლოვიევი, ვ. ლექვინაძე. XX ს 90-იან წლებიდან მოყოლებული, ქართული მხარე ვეღარ აგრძელებს

არქეოლგოირ ექსპედიციებს. მასალა რომელზედაც ამჟამად მიგვიწვვდება ხელი არის 1999-2002 წლებში მიმდინარე ექსპედიციის დროს აღმოჩენილი მასალები, რომლებზედაც მუშაბდნენ ვ. ვეტროგრადოვი, გ. შამბა და ა. გაბელია. პუბლიკაციები გამოცემული სხვადასხვა, აფხაზურ თუ რუსულ ჟურნალებში.

1952 წლიდან დაიწყო ბიჭვინთის არქეოლოგიური გათხრები ა. აფაქიძის ხელმძღვანელობით, 1975 წლიდან კი გ. ლორთქიფანიძის თანახელმძღვანლობით. პიტიუნტში მეოცე საუკუნეში მიდმინარე არქეოლგორიური აღმოჩენების შესახებ სტატიები შეგვიძლია ერთდროულად თავმოყრილი ვიხილოთ მრავალტომეულში ,,დიდი პიტიუნტი'', სადაც თავიანთ ანგარიშებსა და დასკვნებს გვაწვდიან შემდეგი არქეოლოგები: ა.აფაქიძე, რ.ფუთურიძე, ვ.ნიკოლაიშვილი, ვ.თოლორდავა, ოთ.ლორთქიფანიძე და სხვ. ბიჭვინთის საკითხს ასევე სტატიები მიუძღვნეს მ.როსტოვცევმა, ა.ბაშკიროვმა. მსგავსი კვლევები, რომელიც განხორციელდა XX საუკუნეში ბიჭვინთის კონცხისა და ციხის შესაწასავლად უკვე აღარ გაგრძლებულა, მხოლოდ 2009 წელს შემთხვევითი აღმოჩენებს სტატიები მიეძღვნა რ. ბარციცმა.

რომაული პერიოდისა და ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიის შესახბე თავიანთი ნაშრომები მიუძღვნეს: კ.ფიფიამ, რომისა და აღმოსავლეთ შავიზვისპირეთის ურთუერთობს. რომაულ ხანაში საფორტიფიკაციო ნაგებობათა და გარნიზონების პრობლემებს და საკითხებს ფართოდ შეეხნენ გ. ლორთქიფანიძე, ო.ლანჩავა თ.თოდუა და ვ.ჯაფარიძე. ქართულ-რომაულ კულტურულ ურთიერთობების შესახებ მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარეს გ.ლომთათიძემ, გ.გამყრელიძემ, მ.ბერძენიშვილმა, ზ.კვიციანმა, ე.კახიძემ. უცხოელებიდან აღსანიშნავია მ.შპაიდელის სტატიები რომაული გარნიზონების შესახებ, დ.ბრაუნდის წიგნი რომალებისა და კოლხეთის შესახებ, თ.მიტფორდის მონოგრაფია რომაული ხანას კავკასიისა და მცირე აზიის კომუნიკაციისა და ვაჭრობის სისტემაზე.

3. ნივთიერი მასალა

ჩვენთვის საინტერესო ციხეებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ზუსტად იმეორებს წყაროებში მოცემულ ინფორმაციას და შესაბამისად მოპოვებული მასალები კიდევ ერთხელ ამტკიცებს რომაელთა კოლხეთში გარნიზონების ჩაყენებისა და გასვლის პერიოდს.

აღმოჩენილ მასალებს შორის საინტერესოა **ამფორები**, რომლებიც აღმოჩენილია გონიო-აფსაროსში, ბიჭვინთასა და სოხუმში. ამფორების სახეობები ზოგჯერ ერთდროულად გამოიყენება ჩვენთვის საინტერესო ციხეებში.

გონიო-აფსაროსში აღმოჩენილ რომაული პერიოდის ამფორებს თავისი ხასიათით რამოდენიმე ტიპად ყოფენ. გონიო-აფსაროსის ამფორებს შეისწავლის და იკვლევს არქეოლოგი მერაბ ხალვაში, რომელმაც საკითხს მონოგრაფია და სამეცნიერო სტატიები მიუძღვნა. სებასტოპოლისსა და ბიჭვინთაში აღმოჩენილ ამფორებზე მუშაობდნენ არქეოლოგები ქეთევან ბერძენიშვილი, რუსუდან ფუთურიძე და ოთარ ლორთქიფანიძე (ხალვაში, 2002; ბერძენიშვილი, ფუთურიძე, 1975; Лордкипанидзе, 1989).

პირველ ტიპის ამფორებში ერთიანდება ყავისფერკეცინი ამფორები, რომლისთვისაც დამახასიათბელია შეზნექილი წელი და წიბოიანი ყელი (ხალვაში, 2002:10, სურ.7). ამ ტიპის ამფორების გავრცელებასთან და დათარიღებასთან დაკავშირებით არქეოლოგებში განსახვავებული მოსაზრებებია. ბ. მახლინი და სხვ. მსგავსი ტიპის ამფორებს სამხრეთ პონტურ წარმოშობას უკავშირებს და იზიარებს ქართველი არქეოლოგების მოსაზრებას ამ ტიპის ამფორების კოლხეთში დამზადების შესახებ (Махлин, 1974:60; ბერძენიშვილი, ფუთურიძე, 1975:173). გ.ლორთქიფანაიძე კი არ გამორიცხავს, რომ გვიანანტიკური ხანის წელშეზნექილი ამფორები კოლხური ამფორების გავლენით ჩამოყალიბებულიყო (Лордкипанидзе, 1989:282). განსხავებული მოსაზრება აქვთ ი.ვინოგროდოვსა და ნ.ონეიკოს, ისინი თვლიან, რომ ყავისფერკეციანი, გვინანატიკური ამფორები სამხრეთ შავიზღვისპირეთის, კერძოდ კი ჰერაკლეურ

ნაკეთობას წარმოადგენს (Виноградов, Онейко, 1975:86). გონიო-აფსაროსში მოპოვებული მასალებიდან, მსგავსი ტიპის ამფორები ახ.წ. II საუკუნიდან ჩნდება (ხალვაში, 2002:14).

მეორე ტიპის ამფორებს მიეკუთვნება ორმაგყურიანი ამფორები, რომლისთვისაც დამახასიათებელია ორმაგი ყური, სტაფილოსებური კორპუსი და რკოსმაგვარი ქუსლი. ამ ტიპის ამფორები ძვ.წ. I ს და ახ.წ. II ს პირველ ნახევარშია გავრცელებული, როგორც აღმოსავლეთ ასევე დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში (ხალვაში, 2002:21, სურ. 16). სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ტიპის ამფორებ ძვ.წ. IV-ახ.წ. I საუკუნეებით ათარიღებენ, სადაც ასევე გამოყოფენ ქვეპერიოდს - ძვ.წ. III-II საუკუნეებს და ძვ.წ. I-ახ.წ. I საუკუნებს, როდესაც ამფორებს ქიოსურის მიბაძვით სხვადსხვა ანტიკურ ცენტრებში ამზადებდნენ. გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი ამფორა ახ.წ. I საუკუნის შუა ხანებით თარიღდება (ხალვაში, 2002: 23).

მესამე ტიპს წარმოადგენს ქიმისებრშვერილიანი ყურების მქონე ამფორები. გონიო-აფსაროსში მოპოვებული მასელების მსგავსი ამფორები აღმოჩნდა ასევე სებასტოპოლისშიც. ბ.ბიოთგერის აზრით, არსებობდა ერთდროულად მომუშავე რამდენიმე საწარმო ცენტრი და ასკვნის, რომ მათი ლოკალიზაცია, ძირითადად, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთშია საფიქრებელი, ხოლო მის წარმომავლობის ადგილად როდოსსა და მის შემოგარენს მიიჩნევს (Bottger, 1980:337). როდოსულ ნაწარმად მიიჩნევენ ჰ.რობინსონი და ვ. გრეისი (Robinson, 1959:20; Grace, 1961). განსხვავებული მოსაზრება გააჩნია მ. კალენდერს, რომელიც ჭურჭლებზე მოცემული დამღების დეტალური შესწავლის შედეგად ამ ტიპის ამფორებს იტალიკურ ნაწარმად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ ძვ.წ. I და ახ.წ. I ს. პირველ ნახევარში იტალიას დასავლეთ ევროპაში წამყვანი ადგილი ეკავა ამფორების დამზადებისა და ექსპორტირებაში (Callender 1965:20) ი.ზეესტი მიიჩნევდა, რომ იტალიკური ჭურჭლის ფორმების გავლენით მსგავს ამფორებს ამზადებდა ბერძნული ცენტრებიც (Зеест, 1960:13). მკლევარები გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი მსგავსი ტიპის ამფორების თიხის სტრუქტურის მიხედვით, სინოპურ ნაწარმად მიიჩნევენ.

მესამე ტიპის ამფორები გავრცელებული ჩანს ძვ.წ. I და ახ.წ. I სს-ში. გონიო-აფსაროსში მსგავსი ამფორების ცალკეული ფრაგმენტები ახ.წ. II ს მასალებთან ერთად დაფიქსირდა, რაც არქეოლოგებს იმაზე მიანიშნებს, რომ ძვ.წ. I და ახ.წ. I სს ფართოდ გავრცელებული ამფორების ეს ტიპი ახ.წ. II საუკუნის დასაწყისშიც განაგრძობს არსებობას (ხალვაში, 2002:25, სურ.17,18,19).

მეოთხე ტიპს წარმოადგენს ძაბრისპირიანი ამფორები, ისინი დროის ხანგრძლივ პერიოდში - ახ.წ. I –VII სს არსებოდბნენ და შესაბამისად მათი გავრცელების არეალი ფართოა. ეს ტიპი ცნობილია ეგეოსურ სამყაროშო, დასავლეთ შავიზვისპირეთში, შედარებით მცირე რაოდენობით ჩრდილო შავიზღვისპირეთში და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. შავიზღვისპირეთის აუზიდან ყველაზე დიდი რაოდენობით დასავლეთ სანაპიროზეა აღმოჩენილი. მოპოვებულ მასალზე დაყრდნობით ბ.ბიოთგერმა, ფორმათა განვითარების მიხედვით, გამოყო მათი ქრონოლოგიური ჩარჩო, რომელიც ახ.წ. II. III-VI.VII სს განისაზღვრა (Bottger, 1980:429). აქედან იმ ტიპის ამფორები, რომელთა თარიღიც ახ.წ. I ს მეორე ნახევარი და ახ.წ. IV ს პირველი ნახევარია, დასავლეთ შვიზღვისპირეთში იშვიათობაა. ბიჭვინთაში წარმოდგენილია ძაბრისებრისპირიანი ამფორების, როგორც ადრეული, ისე გვიანდელი ვარიანტები. ქ.ბერძენიშვილი და რ.ფუთურიძე იზიარებენ ვ.სტრჟელეცკის მოსაზრებას ამგვარი ამფორების როდოსული წარმომავლობის შესახებ (ბერძენიშვილი, ფუთურიძე, 1975:200; Стржелецкий, 1953:213). რ. რამიშვილის აზრით, ეს ამფორები მცირე აზიის რომელიღაც ცენტრიდანაა გავრცელებული შვიზღვისპირეთში (რამიშვილი, 1965:114). ვ. გაიდუკევიჩი კი ანალოგიური ამფორების თიხის სტრატუქურის მიხედვით მათ სინოპურ ნაკეთობად მიიჩნევს (Гайдукевич, 1952:34; ხალვაში, 2002:26, სურ. 20,21,22).

აღნიშნული ნიმუშები აფსაროსში, ბიჭვინთასა და სებასტოპოლისშიც ახ.წ. II-III სს დათრიღებული ფენების ზედა დონეზეც იჩენს თავს, რაც არქეოლოგებს მათ თარიღს ახ.წ. III საუკუნის მიწურულით ასაზღვრინებს (ხალვაში, 2002:28; ბერძენიშვილი, ფუთურიძე, 1975:251). ძაბრისებურპირიანი ამფორების წარმომავლობის ცენტრად მკვლევარები მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროებს ასახელებენ. მ. ხალვაში იზიარებს ფ. სტრეჟელეცკის და რ. ფუთურიძის აზრს ამ ამფორების როდოსული წარმომავლობის

შესახებ, რადგან აფსაროსში აღმოჩენილი ამ ტიპის ამფორები, თიხის სტრუქტურით ძალიან გავს ელისნისტური ხანის როდოსულ ნაწარმს, რაც არქეოლოგებს აფიქრებინებს, რომ ძაბრისებურისპირიანი ამფორების დამზადების ცენტრის განსაზღვრაში ბითვიანიასთან ერთდ უპირატესობა როდოსსაც უნდა მიენიჭოს (ბერძენიშვილი, ფუთურიძე, 1975:259; Стржелецкий, 1953:216; ხალვაში, 2002:29).

მეხუთე ტიპში ერთიანდება ვიწროყელიანი ამფორები. მსგავსი ტიპის ამფორები ახ.წ. I-IV საუკუნეებს განეკუთვნება, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში. მსგავსი ტიპის ამფორები აღმოჩენილია გონიო-აფსაროსში, სებასტოპოლისსა და ბიჭვინთაში. ი.ზეესტმა, მათი წარმომავლობა მცირე აზიას, კერძოდ კი სამხრეთ შავიზრვისპირეთს დაუკავშირა (Зеест, 1960:15-16). ი.კამენეცკი მსგავს ამფორებს ახ.წ. I-III საუკუნეებით ათარიღებს, საწარმოო ცენტრად კი ზეესტის მსგავსად შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებს მიიჩნევს (Каменеский, 1969:30). ტ. კნიპოვიჩი და ვ.გაიდუკევიჩი კი მათ საწარმოო ცენტრად სინოპეს მიიჩნევდნენ (Книпович, 1949:73; Гайдукевич, 1952:96; ხალვაში, 2002: 30, სურ.25,26).

მსგავსი ტიპის ამფორების დამამზადებელი ცენტრების განსაზღვრასთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესოა სებასტოპოლისის მონაპოვრები. მკლევარები ფიქრობენ, რომ აქ აღმოჩენილი წითელლაკიანი კეცის მაღალყელიანი ამფორები მცირეაზიული ამფორების მიბაძვით, ადგილზეა დამზადებული. ვიწროყელიანი ამფორების იმიტაციით ადგილობრივ წარმოებაზე მიუთითებს მ.ტრაპშიც (Трапш, 1969:331). საინტერესოა ტ.კნიპოვიჩის, ი.კრუგლიკოვას, ი.ზეესტის მოსაზრებები. მსგავსი ამფორების გარკვეული ნაწილის ჩრდილო შავიზღვისპირეთში დამზადების შესახებ, რომელსაც იზიარებს მ.ხალვაშიც, რომელიც ეყრდნობა სებასტოპოლისსა და გონიო-აფსაროსში მოპოვებულ მასალებს და ვარაუდობს, რომ ვიწროყელინი ამფორების, მინაბაძები, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშიც მზადდებოდა (Книпович, 1949:74; Кругликова, 1966; Зеест, 1960:110; ხალვაში, 2002:29).

ვიწროყელიანი ამფორები ჩნდება ახ.წ. I საუკუნიდან და ფორმათა ევოლუციური განვითრებით არსებობას განაგრძობენ ახ.წ. V-VI სს ჩათვლით (ხალვაში, 2002:33).

მეექვსე ტიპს მიეკუთვნება მხრებზე ყურებმიძერწილი ამფორები. მსგავსი ამფორები გონიო-აფსაროსის გარდა ცნობილია ინკიტის ტბის მიდამოებიდან, ბიჭვინთიდან და სოხუმიდან. მათ არქეოლოგები სინოპურ ტიპს მიაკუთვნებენ (ხალვაში, 2002:34, სურ. 27,28). ოთ.ლორთქიფანიძე და რ.ფუთურიძე მიიჩნევენ რომ ბიჭვინთისა და ინკიტის ტბის მიდამოებში აღმოჩენილი მსგავსი ამფორების კეცი სტრუქტურულად ახლოს დგანან ბიჭვინთის კრამიტისა და აგურის კეცთან. ამგვარი ამფორების სებასტოპოლისში აღმოჩენის შემდეგ კი ოთ.ლორთქიფანიძე პირდაპირ მიუთითბს მათ ადგილობრივ წარმომავლობაზე (ფუთურიძე, ლორთქიფანიძე, 1965:120).

როგორც ჩანს, სამხრეთი შავიზღვისპირეთის გარდა წითელლაკიანი კერიმიკის ეს ტიპი მიბაძვით მზადდებოდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და, შესაძლოა, ჩრდილო შავიზღვისპირეთშიაც (ხალვაში, 2002:35). მსგავსი ამფორები, როგორც ჩრდილო, ასევე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ახ.წ. II-III ს თარიღდება. ამავე პერიოდის ფენებში გვხვდება მსგავსი ამფორები გონიო-აფსაროსსა და ბიჭვინთაშიც.

მეშვიდე ტიპისთვის დამახასიათებელია პირსზემოთაზიდულყურიანი ამფორები. გონიო-აფსაროსის გარდა მსგავსი ტიპის ამფორები აღმოჩენილია სოხუმსა და ბიჭვინთაშიც. ამფორები დამზადების ცენტრად ვ. გაიდუკევჩი აღმოსავლეთ ხმელთშუაზღვისპირეთს მიიჩნევენ (Гайдукевич, 1952:1968), ხოლო ტ.სამოილოვას ისინი უშუალოდ ათენში დამზადებულად მიაჩნია (Самойлова, 1978: 261).

სამეცნიერო ლიტერატურაში ამგვარი ამფორები დათარიღებულია ახ.წ. III ს პირველი ნახევარით და IV საუკუნის დასაწყისით. გონიო-აფსროსში მსგავსი ტიპის ამფორების ფრაგმენტები ახ.წ. II და III ს პირველი ნახევრის შემცველ ფენებში ფიქსირდება (ხალვაში, 2002: 35, სურ. 29).

მერვე ტიპს მიეკუთვნება წითლკეციანი დიდი ზომის ამფორები, სქელკედლიანი: აქვთ ფართო ყელი და მასიური კანელურებით შემკული ყურები. კორპუსი დაფარულია რელიეფური რგოლებით, ძირი დაბალი, კონუსური მოყვანილობისაა, რომელსაც მომრგვალებული საყრდენი არე აქვს. ანალოგიური ჭურჭელი ცნობილია როგორც ჩრდილო შავიზღვისპირეთის, ისე ხმელთშუაზღვისპირეთის თანადროული

ძეგლებიდან. ი.ზეესტის აზრით, ამ ტიპის ამფორებს ამზადებდა რამდენიმე მსხვილი ბერძნული ცენტრი, რომელსაც სავაჭრო კავშირი უნდა ჰქონოდა პონტოსპირა რაიონებში და ამავედროს, თავის ნაწარმს ავრცელებდა ხმელთაშუაზღვისპირეთშიაც (Зеест, 1960:114; ხალვაში, 2002: 36,სურ. 30).

არქეოლოგირი მონაცემების მიხედვით ამფორების ეს ტიპი, ძირითადად, ახ.წ II ს დასაწყისთან და ახ.წ. III ს თარიღდება. იგივე ითქმის გონიო-აფსაროსის მონაპოვართა შესახებაც (ხალვაში, 2002:36).

გონიო-აფსაროსის მეცხრე ტიპის ამფორების დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს მაღალი, ცილინდრული მოყვანილობის შებერილი ყელი და გარეთკენ გადაშლილი პირი. ეს ამფორა აღმოჩენილ თანადროული მასალების მიხედვით ახ.წ. I ს დასასრულით თარიღდება. წარმოების ცენტრად მ.ხალვაში სინოპეს მიიჩნევს (ხალვაში, 2002:37, სურ.31).

მეათე ტიპში მ. ხალვაში გონიო-აფსაროსის ამფორებში აერთიანებს დიდი ზომის სქელკედლიან, ფართოყელიან ამფორებს. პარალელები ცნობილია სებასტოპოლისიდან და ბიჭვინთიდან. ამ ტიპის ამფორები ბიჭვინთაში ახ.წ. III ს პირველი ნახევრით დათრიღებულ ფენებშია ნაპოვნი. დაახლობით ამ პერიოდით თარიღდება სებასტოპოლისის მონაპოვრებიც. გონიო-აფსაროსში კი ახ.წ. II ს დასაწყისითა და ახ.წ III ს პირველი ნახევრით დათარიღებულ კულტურულ ფენებში (ბერძენიშვილი, ფუთურიძე, 1975:263; ხალვაში, 2002:38, სურ.32).

მეთერთმეტე ტიპის დამახასიათებელი ნიშანია ლილვისებური პირის გამობერილი, მხრისკენ, რომელიც შევიწროებული ყელისაგან არამკვეთი ღარებითაა გამოყოფილი. სტატიგრაფიული მონაცემების მიხედვით ეს ამფორები ჩრდილო შავიზღვისპირეთში ახ.წ. II ს დასაწყისით დათრიღებულ კულტურულ ფენებში ჩნდებიან. არსებობას განაგრძობენ ახ.წ. III ს მეორე ნახევარსა და ახ.წ. IV ს-ის პირველ ნახევარშიაც. გონიო-აფსაროსში ისინი, ძირითადად, ახ.წ II ს დასაწყისისა და ახ.წ III ს პირველი ნახევრის კულტურულ ფენებშია აღმოჩენილი (ხალვაში, 2002:39, სურ. 31-10,11,12).

მეთორმეტე ტიპის ამფორას ლილვაკისებური, ოდნავ გაშლილი პირი და მაღალი სწორხაზოვანი ყელი აქვს, პირისა და ყელის მიბერწვის ადგილი ერთმანეთისაგან გამოყოფილია ფართო, ჩაღრმავებული ღარით. აღმოჩენილი ამფორა სტატიგრაფიულად თარიღდება ახ.წ. II ს და ახ.წ. III ს პირველი ნახევრით. არქეოლოგების ვარაუდით, შესაძლოა ჰერაკლეაში იყოს დამზადებული და წარმოადგენს რომაულ ხანაში გავრცელებული სინოპური ამფორების მინაბაძს (ხალვაში, 2002: 40, სურ. 31-13,14).

საქართველოში არსებული რომაულ ციხეებში დაფიქსირებული ამფორებიდან არის ტიპები, რომლებიც ჯერჯერობით მხოლოდ ჩრდილოეთ კოლხეთში განლაგებულ რომაული გარნიზონების ადგილსამყოფელში დასტურდება.

ბიჭვინთაში ფართოდა გავრცელებული ასევე ყავისფერი თიხის ყელწიბოიანი ამფორები, რომელიც ახ.წ. III საუკუნით თარიღდება. მსგავსი ამფორები აღმოჩნდა სოხუმის ციხეზე. ამფორის ოვალურ ნაჭდევში სამი ბერძნული ასო იკითხება ზევიდან ქვევით νάδ. მათი მნიშვნელობა ჯერჯერობით უცნობია. წაგრძელებული კორპუსი, წელშეზნექილობა და ღრუ კონუსური ძირი ახასიათებს, ი.კრუგლიკოვა მათი დამზადების ადგილად აღმოსავლეთ და ჩრდილო შვიზღვიპირეთს მიიჩნევდა (Кругликова, 1966:150).

IV ს მეორე ნახევარსი ბიჭვინთაში წარმოდგენილია ერთი სახეობა მცირე ზომის ამფორებისა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ძალიან თხელი კედელი, მსუბუქი და კონუსური, შიგნიდან ღრუ ქუსლი, რომელიც სხვადასხვა, ძირითადად, ორ ვარიანტს გვაძლევს - ზოგი წაწვეტებულია და ძალიან წვრილი ნახვრეტი აქვს, ზოგი კი ფართონახვრეტიანია და ამგვარად ძირს თითქმის ცილინდრული ფორმა ეძლევა. ტანი ამფორას დაღარული აქვს ფართო ღარებით. მათ წარმომვალობას არქეოლოგები სამოს უკავშირებენ. მსგავსი ამფორები V ს განაგრძობდნენ არსებობას (ბერძენიშვილი, ფუთურიძე, 1975:275, სურ. 62).

ბიჭვინთაში ყველაზე დიდი რაოდენობით ადგილობრივი კოლხური, მუქ წითლად მოყავისფროდ გამომწვარი ამფორებია აღმოჩენილი, რომელთაც აკეცილი, პროფილილირებული ნაპირი, პატარა, ბრტყელგანიკვეთიანი ყურები, წაგრძელებული,

წელსი შეზნექილი კორპუსი და კონუსური, ოდნავ, თავმომგვალებული ძირები აქვთ. ისინი ისეთი სტანდარტიზირებული ფორმისაა, რომ თითქმის არ იძლევიან ვარიანტებს, დიდხანს განგრძობენ არსებობას და VI საუკუნემდე აღწევენ (ბერძენიშვილი, ფუთურიძე, 1975:277, სურ. 63).

წითელლაკიან კერმიკაზე ჩვენთვის საინტერესო ციხეებზე მუშაობდნენ არქეოლოგები ტარიელ ებრალიძე, ლალი ასათიანი, რუსუდან ფუთურიძე, ქეთვან ბერძენიშვილი და ოთარ ლორთქიფანიძე (ებრალიძე, 2009; ფუთურიძე, 1965; ლორთქიფანიძე, 1962; ბერძენიშვილი, 1963).

გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე წითელლაკიანი კერამიაკა ახ.წ I საუკუნის ბოლოდან ჩნდება, ხოლო II-III სს მათი რიცხვი უფრო იზრდება. გამოიყოფა რომოდენიმე ტიპი:

პირველ ტიპში შემავალი ჭურჭლის ერთ-ერთ ნატეხზე მოცემულია ,,ბარბორტინოს'' (სუროს დატოტილი) ტექნიკით შესრულებული რელიეფური წაგრძელებული ვოლუტისებური გამოსახულება, რომელიც ბოლოვდება პირისაკენ მიმართული წერტილოვანი გამოსახულებით, რომელსაც ერწყმის ხორბლის თავთავისა და ღეროს ორნამენტები. მათ წარმომავლობას არქეოლოგები იტალიის ან გალიის რომელიმე საწარმოო ცენტრს უკავშირებენ. აღნიშნული ჭურჭელი ახ.წ I ს მეორე-მესამე მეოთხედით თარიღდება (ებრალიძე, 2005:29, სურ.4).

მეორე ტიპის მასალებში მოცემულია ორყურა თასის პირის, ტანის, ყურისა და ქუსლის ფრაგმენტები. პირთან ახლოს ჰორიზონტალურად მოძერწილი ქონდა წელშეზნექილი მოყვანილობის ყური. ამ ტიპის ჭურჭლისთვის დამახასიათებელი ყოფილა მორკალული ყურები. ჭურჭელი გაფორმებული უნდა ყოფილიყო ,,ბორბორტინოს'' ორნამენტებით.

მსგავსი ტექნიკით შესრულებული ჭურჭელი ფართოდ იყო გავრცელებული ახ.წ. I საუკუნეში. მზადდებოდა პერგამონში, ჩანდარლში და სხვ. შვიზღვისპირეთში ისინი საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული (Книпович, 1952:196). აღნიშნული თასი ახ.წ. I

მეორე საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება და მას პერგამონულ წარმომავლობაზე მიუთითებენ (ებრალიძე, 2005:30, სურ.5; ებრალიძე, 2009:149).

მესამე ტიპში გაერთიანებულია სხვადასხვა ზომის ჭურჭლები და ფინჯნები, რომლისთვისაც დამახასიათბელია დაბალი კიდე, სწორი გარეთკენ გადაშლილი პირი რელიეფური წიბოთი. მსგავსი ჭურჭელი საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლეთ შავიზღვიპირეთში. მსგავსი ტიპის წითელლაკიანი კერამიკა აღმოჩენილია სოხუმის ძველი ციხის ტერიტორიაზეც (ფუთურიძე, 1965:98). ეძებნება პარალელები ჩრდილო შავიზღვისპირეთში. ტ. კნიპოვჩი მას ახ.წ. I ს მეორე მესამედით ათარიღებს (Книпович, 1952:312).

გონიო-აფსაროსში ზემოთ მოცემული ტიპის ჯამები, ძირითადად, ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებულ კულტურულ ფენებში ვლინდება და მეტწილად II საუკუნის მასალებთან იჩენს თავს. მათი საწარმოო ცენტრად პერგამონია მიჩნეული (ებრალიძე, 2009:150-151).

გონიო-აფსაროსში მეოთხე ტიპია სადა მარყუჟისებრმინაძერწიანი ჯამები და თეფშები. მსგავსი ტიპის ჭურჭელი საქართველოში აღმოჩენილია ბიჭვინთაში (ლორთქიფანიძე, 1962:239). მსგავსი ჯამების ფორმები ჩნდება ჯერ კიდევ ძვ.წ. I ს მიწურულს როგორც პერგამონულ, ისე სამოსურ კერამიკულ წარმოებაში. მსგავსი ნიმუშები მრავლად გვხვდება ჩრდილო შავიზღვისპირეთშიც (Книпович, 1952:301).

გონიო-აფსაროსში ისინი ახ.წ. I ს მეორე ნახევრით და II ს პირველი ნახევრით დათრიღებულ კულტურულ ფენებში გვხვდება. ამ ფორმის ჭურჭელი მზადდებოდა არა მარტო პერგამონში, არამედ დასავლეთ ხმელთაშუაზღვიპირეთშიც (ებრალიძე, 2005:33, სურ.8, 9; ებრალიძე, 2009:151;).

მეხუთე ტიპში ერთიადნება პირგადაშლილი პირისა და ტანის ნატეხები. ისინი ძვ.წ. I ს დასასრულით და ახ.წ. I საუკუნითაა დათარიღებული (Meyer-Schlichtmann, 1988:242; ებრალიძე, 2009:153). გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი ამ ტიპის კერამიკა აღმოჩენილ მასელებთან ერთად ამავე საუკუნით თარიღდება (ებრალიძე 2005:37, სურ.12).

გონიო-აფსაროსში მეექვსე ტიპში წარმოდგენილია წითელლაკიანი ჯამების პირისა და ტანის ფრაგმენტები. დამახასიათებელია მცირე ტევადობის მომრგვალებული ტანი. აქვთ შიგნით ჩაკეცილი მომაღლო-მომრგვალებული პირი. ჯამების ეს ტიპი ახ.წ. I ს ბოლოთი და II ს პირველ ნახევრით თარიღდება. არქეოლოგები მათ პერგამონის საწარმოო ცენტრს აკუთვნებენ (ებრალიძე, 2005:38, სურ. 13).

მეშვიდე ტიპში შემავალ წითელაკიან ჯამებს აქვს დაბალი მომრგვალებული ქუსლი, რომელთაც ძირი ფართო და ბრტყელი აქვთ; შიდა კალთა დამრეცი; ტანი მომრგვალებული, ღრმა ტევადობის, ჩაკეთილი ტანისაგან არაა გამოყოფილი. მსგავსი ჭურჭელი გონიო-აფსაროსის გარდა აღმოჩენილია სოხუმის ძველი ციხისა (ფუთურიძე, ლორთქიფანიძე, 1965:99) და ბიჭვინთის ნაქალაქარის ტერიტორიაზე (ლორთქიფანიძე, 1962:238; ბერძენიშვილი, 1963:110) ამ ტიპის მასალა ახ.წ. II საუკუნით თარიღდება (ებრალიძე, 2005: 39, სურ. 14).

გონიო-აფსაროსის აღმოჩენილი წითლლაკიანი კერამიკის მერვე ტიპში ერთიანდება პატარა ჯამი. აქვს ვიწრო, გარეთკენ გაზიდული მომრგვალებული ქუსლი, გაფართოებული, ოდნავ მომრგვალებული ტანი (ებრალიძე, 2005:40, სურ. 15). მას პირდაპირი ანალოგი არ ეძებნება, თანხმლები მასალების მიხედვით აღნიშნული ჯამი ახ.წ. II ს თარიღდება და პერგამონის ნაწარმად მიიჩნევა (ებრალიძე, 2005:40).

მეცხრე ტიპის ჯამი გონიო-აფსაროსში ერთადერთი ფრაგმენტის სახითაა წარმოდგენილი. ტანი მომრგვალებული, კედლები ვერტიკალურად დაღარული, პირი მომრგვალებული და შიგნით ჩაკეცილი პირისა და ტანის შეხების არეში გარს უვლის მკვეთრი რელიეფური წიბო. პირის დასაწყისში ღრმა ჰორიზონტალური ღარი მიუყვება. ბიჭვინთაში აღნიშნული ტიპის ჯამები სხვადსხვა ნაირსახეობით არის წარმოდგენილი. ერთი მათგანისთვის დამახასიათბელია ოთხრიგად დაღრული ყურები (ლორთქიფანიძე, 1962:241). ამგვარი ჯამების ათამდე ფრაგმენტი აღმოჩენილია სოხუმის ძველი ციხის ტერიტორიაზე და ისინი ახ.წ II-III სს დათარიღებული (ფუთურიძე, 1965: 104). ამავე საუკუნეებს განეკუთვნება ინკიტის ტბის ნაცროვან ფენაში აღმოჩენილი

მსგავსი ჯამები (ლორთქიფანიძე, 1963:100-102). საწარმოო ცენტრის განსაზღვრა მკვლევარებს ჯერჯერობით უჭირთ (ებრალიძე, 2005:40, სურ. 16).

მეათე ტიპს წარმოადგენს ღრმა ტევადობის ფართოპირიანი წითელლაკიანი ჯამებისა თუ თეფშების პირისა და ტანი ფრაგმენტბს. აქვს მომრგვალებული ტანი და სადა პირი. პირის შიდა კალთას ტანისაგან გამოყოფილი რელიეფური ზოლი შემოუყვება. გარეთ კალთა ვიწრო, ჰორიზონტალური ღარითაა შემკული. გონიო-აფსაროსის გარდა მსგავსი ფორმის ჭურჭელი აღმოჩენილია ინკიტის ტბის, ბიჭვინთის და სოხუმის ძველი ციხის ტერიტორიაზე (ლორთქიფანიძე, 1963:100). ამ ტიპის ჯამების დასათარიღებლად მნიშვნელოვანია ისიც რომ ისინი გონიო-აფსაროსში აფსაროსში ახ.წ. III საუკუნის მასალებთან ერთად აღმოჩნდა(ებრალიძე, 2005:41, სურ. 17).

მეთერთმეტე ტიპში წარმოდგენილია წითელლაკიანი ჯამის პირის, ტანის და ქუსლის ფრაგმენტები. აქვს რგოლისებური, ოდნავ გარეთკენ გაფართოებული ქუსლი. ტანის არე შემკულია ჰორიზონტალური ღარით. ისინი გონიო-აფსაროსში ახ.წ. II-III საუკუნით თარიღდება, საწარმოო ცენტრად კი პერგამონია მიჩნეული (ებრალიძე, 2005:42; სურ.18).

მეთორმეტე ტიპში გონიო-აფსაროსში წარმოდგენლია სწორპირიანი, დაბალქუსლიანი მოზრდილი ჯამები. გამოიყოფა ორი ქრონოლოგიური ვარიანტი. ადრეული, ახ.წ. I-II სს ნიმუშები დამზადების მაღალი ხარისხით გამოირჩევიან. ისინი მკვეთრი მოწითალო ხარისხის ლაკითაა დაფარული. უფრო გვინდელი, ახ.წ. III ს ჭურჭლები მასიურია, დაფარულია მდარე ხარისხის ლაკით (ებრალიძე, 2004:42, სურ.19).

ახ.წ. I-II სს ჯამების მსგავსი ნიმუშები საქართველოს სხვა ტერიტორიაზე არ დასტურდება. გავრცლებული ჩანს ჩრდილო შავიზღვისპირეთში (Книпович, 1952:295-296). ხოლო, ახ.წ. III საუკუნის ჯამის მსგასი ჭურჭელი გვხვდება სოხუმის ძველი ციხის ტერიტრიაზე. ისინი ახ.წ. IV ს ნაწარმადაა მიჩნეული (ფუთურიძე, 1965:105), ხოლო ბიჭვინთაში აღმოჩენილი მსგავს ჯამებს ახ.წ. III ს ათარიღებენ (ბერძენიშვილი, 1963:116-117).

წითლლაკიანი კერამიკის მეცამეტე ტიპში წარმოდგენილია პირგადაშილილი ლანგრები. მათთვის დამახასიათბელია დაბალი კალთა. ლანგრის პირის ორნამენტაციის მიხედვით ორი ჯგუფი გამოიყოფა. ერთი მათგანი შემკულია რელიეფური გამოსახულებებით, მეორე ჯგუფი-კი ღარებით და კოპებით. ზოგიერთის პირის კიდე დაკბილულია (ლორთქიფანიძე, 1962:236).

გონიო-აფსაროსის გარდა ამ ტიპის ლანგრების სამი ფრაგმენტია ნაპოვნი ბიჭვინთაში (ლორთქიფანიძე, 1962:236; ასათიანი, 1977:191-193). რელიეფური ორნამენტით შემკული წითელლაკიანი ლანგრები, რომლებიც ახ.წ. II ს დასასრულითა და III ს პირველი ნახევრით თარიღდება აღმოჩენილია სოხუმის ძველი ციხის ტერიტორიაზე. ერთი მათგანის ნაპირები შემკულია რელიეფური ზოლებით, ხვიებით და წერტილებით. აქვე გვხვდება მეორე ჯგუფის ლანგრებიც (ფუთურიძე, 1965:103-104). მსგავსი ტიპის ნაწარმს სამოსის საწარმოო ცენტრს უკავშირებენ და ახ.წ. II-III სს აკუთვნებენ (ებრალიძე, 2005:45, სურ. 20).

მეთოთხმეტე ტიპს მიეკუთვნება თიხის სანელსაცხებლეები, რომლებიც, ძირითადად, პირისა და ტანის ფრგამნეტების სახითა წარმოდგენილი გონიო-აფსაროსში. ისინი სხვადასხვა ზომისაა, მაგრამ პირის მოყვანილობა და კეცი ერთგვაროვანია. მათთვის დამახასიათებელია სწორი ქობა, პირი გადმოშლილი, ყელი მაღალი, ცილინდრისებური, ტანისკენ ოდნავ გაფართოებული. თიხის სანელსაცხებლებს ახ.წ. II-III სს თარიღდება, მათი წარმომავლობას აღმოსავლეთ რომის იმპერიის პროვინციებს უკავშირებენ (ებრალიძე, 2005:46, სურ. 21).

მეთხუთმეტე ტიპში ერთიანდება კოლბისებური ჭურჭელი, ტანი დაღარული. მსგავსი ტიპის ჭურჭელი, შესაძლებელია, წარმოადგენდგენდა სანელსაცხებელს. საწარმოოო ცენტრის განსაზღვრა არქეოლოგებს უჭირთ. ისინი აღმოჩენილია გონიო-აფსაროსის ახ.წ I –III სს კულტურულ ფენებში (ებრალიძე, 2005:47, სურ. 22).

მეთექვსმეტე ტიპის გონიო-აფსაროსის წითელლაკიანი კერამიკა გვხვდება კოჭობის მსგავსი ჭურჭლთა ფრაგმენტების სახით. ანალოგების მიხედვით არქეოლოგი მას ახ.წ. I-II საუკუნეებს მიეკუთვნებს (ებრალიძე, 2005:47-48; სურ. 23).

მეჩვიდმეტე ტიპს დოქებში ერთიანდება: პირის, ყელის, ტანისა თუ ყურის ფრაგმენტებით. გამოიყოფა სხვდასხვა სახეობა. გონიო-აფსაროსის მსგავსად, მსგავსი დოქები აღმოჩენილია სოხუმის ძველი ციხის ტერიტორიაზე და ბიჭვინთის ახ.წ. II ს დათრიღებულ ნაქალაქარზე (ასათიანი, 1977:195). პარალელების გათვალისწინებით გონიო-აფსაროსში აღმოჩენილ ამ სახის დოქებს ახ.წ. I-II სს ათარიღებენ (ებრალიძე, 2005: 49, სურ. 24).

აღწერილ დოქს ანალოგები ეძებნება სოხუმის ძველ ციხეზე (ფუთურიძე, 1965: 102) თარიღდება ახ.წ. I-II სს (ებრალიძე, 2005:51).

ბიჭვინთაში დადასტურებული წითელლაკიანი კერამიკის დიდი ნაწილი სადაა. აღმოჩენილი კერამიკა მოიცავს პერიოდს ახ.წ I-VI ს-მდე. ახ.წ. I საუკუნე წარმოდგენილია თხელკედლიანი და სწორპირიანი ჯამის პირგვერდის ნატეხით (ასათიანი, 1977:177).

ახ.წ. II-III ს კერამიკა წარმოდგენილია არიბალოსით, რელიეფური გამოსახულებით შემკული ჭურჭლის, პირგადაშლილი ლანგრების, ფინჯნების, პირაკეცილი ღრმა ჯამების, ვერტიკალური და დაღარულკიდიანი ჯამების ნატეხებით.

ახ.წ IV-VI სს ნაწარმი წარმოდგენილია დიდი ზომის, პირფართო, სადა და ფართოკიდიანი ჯამების, პირგადაშლილი თეფშების, შვეულკიდიანი ჯამების, პატარა, კალთამომრგვალებული და ნახევრადსფეროსებული მოყვანილობის ჯამების ნატეხებით, სხვადსხვა ორნამენტებით შემკული თეფშების ძირებით. ზოგი ჭურჭელი მხოლოდ ერთი ნატეხითაა წარმოდგენილი.

ჯამები ერთ-ერთ მრავალრიცხოვან ჯგუფს წარმოადგენს. სწორპირიანი ჯამი ახ.წ. I საუკუნით თარიღდება. ღრმა ჯამებს პირის კიდე შიგნით აქვს ჩაკეცილი. კედელი კიდიდანვე მკვეთრად მომრგვალებულია და ძირისაკენ არის დახრილი, ქუსლი-პატარა. ამ ტიპის ჯამები ახ.წ. II –III სს არის დათრიღებული. ანალოგიური ჯამები გვხვდება სოხუმშიც. ტ. კნიპოვიჩი მათ ახ.წ. I ს მიწურულით ან უფრო მოგვიანო ხანით ათარიღებს (Книпович, 1952:310).

საინტერესოა ღრმა ჯამის პირ-გვერდისა და ძირის ნატეხები. კედელი მომრგვალებული და ძირისაკენ დახრილი, ქუსლი - დაბალი, მრგვალი. ქუსლის ზედაპირის ირიბი ჭდეები გარეშემოუყვება. ჯამი აღმოჩენილია ინკიტის ტბის მახლობლად გათხრილი კოშკის ახ.წ. II ს დასასრულითა და III ს დასაწყისით დათარიღებულ ნაცროვან ფენაში (ასათიანი, 1977:180, სურ.33).

გამოიყოფა ვერტიკალურკიდიანი ჯამები, რომლისთვისაც დამახასიათებელია ფართოპირანი, ვერტიკალურკიდიანი პროპორციები, დაღარული კიდე და ჰორიზონტალურად მიძერწილი ფართო, დაღარული ყური. მსგავსი ჭურჭლის ნატეხები ნაპოვნია სოხუმში ძველი ციხი ტერიტორიაზე. II-III სს დათარიღებულ ფენებში. მსგავსი ჭურჭელი უცნობია ჩრდილო შავიზღვისპირეთში.

ასევე საყურადღებოა ფართოპირიანი, ვერტიკალურკიდიანი ჯამის ნატეხები, რომლეთაც კედლები ძირისკენ აქვთ დახრილი. ანალოგების მიხედვით ჭურჭელი თარიღდება ახწ. III საუკუნით (ასათიანი, 1977:182, სურ. 41-45).

აღმოჩენილია ვერტიკალურკიდიანი ჯამი-ყელი მიძერწილია კიდეზე, შუაში ჩაღარულია და ისეა მოხრილი. რომ წრიულ ყუნწს ქმნის. ნაპოვნია ახ.წ III ს დასაწყისის მონეტებთან ერთად და შესაბამისად თარიღდება ახ.წ. III საუკუნით (ლორთქიფანიძე, 1975: 327; ასათიანი, 1977:192).

აქვე გამოიყოფა პატარა ჯამები - ამ ჯგუფს შეადგენს მეტ-ნაკლებად ღრმა ჯამები. პირი ფართო და სწორი აქვთ. კედელი-მომრგვალებული და ძირისაკენ დახრილი. ქუსლი - დაბალი, მრგვალი ან ბრტყელი ძირი. ამ ტიპის ჯამებს ახ.წ. III საუკუნით ათარიღებენ (ასათიანი, 1977:185, სურ. 237-240).

მკვლევარები ცალკე ჯგუფად გამოყოფენ ვერტიკალურკიდიანი ტიპის ჯამებს, მათთვის დამახასიათებელია ვერტიკალურად აკეცილი პირის კიდე, ძირისკენ მკვეთრად დახრილი კედლები და პატარა, მრგვალი ქუსლი. გვხვდება როგორც სადაკიდიანი ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი, ისე პროფოლირებული (წიბოიანი) ნატეხები, რომლეთაც ერთი, იშვითად ორი ღარი შემოუყვება. ჯამები ახ.წ. III ს მეორე ნახევრით და ახ.წ. IV საუკუნებით თარიღდება (ასათიანი, 1977:184, სურ. 241-278).

კალთამომრგვალებული პატარა ჯამები, რომელთაც დაბალი, ბრტყელი ან მრგვალი ქუსლი აქვთ, ხოლო კიდეები შიგნიდან აკეცილია. თარიღდება ახ.წ IV საუკუნით (ასათიანი, 1977:187. სურ, 287-293).

ნახევრადსფერული მოყვანილობის ჰორიზონტალურად პირგადაშლილი ჯამები, რომელთაც დაბალი, მრგვალი ან ბრტყელი ქუსლი აქვთ. კედელი-მომრგვალებული და ძირისკენ დახრილი. მსგავსი ტიპის ჯამის ფრაგმენტები გვხვდება ბიჭვინთის ახ.წ. IV ს მასალებთან ერთად. ამ ტიპის ჯამები ცნობილია ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან და დათარიღებულია ახ.წ. II საუკუნით (ასათიანი, 1977:188, სურ.294-297).

დიდი ზომის პირფართო, ღრმა ჯამები. ამ ტიპის ჯამებს მეტ-ნაკლებად მაღალი და მომრგვალებული კალთები აქვთ, ქუსლი დაბალი, ძირი ფართო და ბრტყელი. მსგავსი ჯამები ხშირად გვხდება ჩრდილო შავიზღვისპირეთში. ამ ჯამებს მკვლევარები ახ.წ. IV ს ათარიღებენ. ჯამების ეს ტიპი ბიჭვინთაშიც გვხვდება IV ს მასალებთან ერთად (ასათიანი, 1977:198-190; სურ. 307-311; ლორთქიფანიძე, 1962:243).

პირგადაშლილ ჯამებებს მიეკუთვნება არიბალოსი, რომელიც აღმოჩნდა ინკიტის ტბასთან გათხრილი კოშკის ნაცროვან ფენაში, რომელსაც ახ.წ. II ს დასასრულით და III ს დასაწყისითაა დათარიღებული (ასათიანი, 1977:191, სურ.318). ოთ.ლორთქიფანიძის მოსაზრებით იგი ლითონის (ბრინჯაოს) ჭურჭლის მიბაძითაა დამზადებული (ლორთქიფანიძე, 1962:105).

აღმოჩენილია რელიეფური გამოსახულებით შემკული პირგადაშლილი ჭურჭლის ნატეხებიც (ასათიანი, 1977:191). ოთ. ლორთქიფანიძე მათ ახ.წ. II-III სს ათარიღებს (ლორთქიფანიძე, 1962:105).

ლანგრები უმთავრესად წარმოდგენილია პირ-გვერდის ნატეხებით. ტ. კნიპოვიჩის აზრით, ასეთი ლანგრები ლითონის ჭურჭლის მინაბაძითაა გაკეთბული და ისინი ახ.წ. II ს ბოლოთი III საუკუნის დასაწყისით თარიღდება (Книпович, 1952:317). მსგავსი ლანგრები აღმოჩენილია ჩრდილო შავიზღვისპირეთში. დიდი რაოდენობითაა ასევე აღმოჩენილი სოხუმში. მსგავსი ტიპის ლანგრების ახ.წ. II ს დასასრულითა და III ს დასაწყისით ათარიღებენ (ასათიანი,1977:184, სურ. 319-324). ოთ. ლორთქიფანიძე ამ

ტიპის ლანგრების დამზადების ცენტრს შავიზღვიპირეთის ჩრდილო და აღმოსავლთ რაიონებში მიიჩნევს (ლორთქიფანიძე, 1962:238).

მრავლადაა ვიწროყელიანი და ფართოპორიანი დოქების პირის ნატეხები (ასათიანი, 1962:195. სურ. 720). რ. ფუთურიძე მათ სოხუმში აღმოჩენილ მსგავსი ტიპის დოქებთან ერთად ახ.წ. II საუკუნით ათარიღებს (ფუთურიძე, 1977:102).

მინის ნაწარმი გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე საკამაოდ მრავალრიცხოვანია. დიდია მათი ქრონოლოგიაც ძვ.წ.I-ახ.წ.I-III სს და ახ.წ. VI ს. უადრესი, მოზაიკური და ჩამოსხმა-პრესირების გზით დამზადებული ე.წ. ვერტიკალურწიბოიანი მინის ფიალებისა თუ სხვა ნაირსახეობის ნიმუშები დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ნაწარმადაა მიიჩნეული (შალიკაძე 2009:54; ტაბ. XVI/53). ნაკეთობების დიდი ნაწილი დამზადებულია თავისუფალი ბერვის გზით. ბუნებრივია, სწორედ ისინი წარმოადგენს უფრო მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან ჯგუფს. აღსანიშნავია, რომ მინის ნაკეთობანი რომაულ თუ ბიზანტიურ სამყაროსთან კონტაქტების ისეთივე კანონზომიერებას გადმოსცემს, როგორსაც ვხედავთ აფსაროსი სხვა რიგის მონაპოვრებში (კერამიკიული ტარა, იმპორტული კერამიკა, მონეტები და ა.შ).

აფსაროსის დღემდე შესწავლილი მინისაგან დამზადებული მონაპოვრებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია მოზაიკური ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი. მოზაიკური მინის ფიალები იწარმოებოდა ეგვიპტეში, სირიასა და რომში. მათი დამზადება რთული და შრომატევადი საქმე იყო. ამიტომაც ამ სახის მინის ჭურჭელი მცირე რაოდენობითაა ცნობილი. მნიშვნელოვანია, რომ გონიო-აფსაროსის მაგალითზე საშუალება გვეძლევა ვისაუბროთ ამ იშვიათი ნიმუშების შესახებ (შალიკაძე, 2009:55 56; ტაბ. XVII/54).

გონიო-აფსაროსის მინის მონაპოვრებს შორის, გამორჩეულია, ასევე ჩამოსხმა-პრესირების გზით დამზადბული მინის ფიალა და მსგავსი ტექნოლოგიით შესრულებული სხვა ნაირსახეობები. ისინი ძირითადად პირის, წიბოიანი კედლისა და იშვიათად ძირის ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი. საყურადღებოა, რომ თუ ადრე სათანადოდ იყო გაშუქებული საქართველოს ზღვისპირეთის კონტაქტები ბერძნული სამყაროს სხვადასხვა საწარმოო-სახელოსნო ცენტრებთან გვიანარქაულ,

კლასიკურ და ელინისტურ ხანაში, არანაკლებ მნიშვნელოვანია აფსაროსის მსგავსი აღმოჩენები რომაული ხანისათვის, რომლებიც მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შეწავლისათვის. ჩანს, რომ ახ.წ.I ს-ის მეორე ნახევრიდან მაინც გინიო-აფსაროსში რომაული გარნიზონები მდგარან. ამასვე ადასტურებს რომაული ხანის მინის ნაწარმის სხვა სახეობანი, რომელთაც ადგილობრივი მეციხოვნეები ყოველდღიურ ყოფაში მოიხმარდნენ. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ ბერძნულწარწერიანი მინის სასმისების, იგივე საპრიზო ჭურჭლის ფრაგმენტები. მათი შესწავლა ხაზს უსვამს იმას, რომ აფსაროსში იმართებოდა სპორტული შეჯიბრებები და სხვადასხვა სახის დღესასწაულები. რაც ადასტურებს პროკოპი კესარიელის ცნობას იმის შესახებ, რომ აფსაროსს თავის დროზე ჰქონია თეატრი და ჰიპოდრომი (შალიკაძე, 2009:22-24).

გარდა საპრიზო ნივთებისა მინისაგან დამზადებულ მონაპოვრებში შეიძლება გამოვყოთ სასუფრე დანიშნულების ჭურჭლებიც. მათ შორისაა ლოტოსის გამოსახულებიანი სასმისის პირ-კედლისა თუ გრაფინების სხვადასხვა ვარიაციები. სჭარბობს ე.წ. კუბიკოსები. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ფორმები ფართოდ ჩანს გავრცელებული თითქმის ყველგან, სადაც ვრცელდებოდა რომაული სამყარო. წარმომავლობის მიხედვით ორ დიდ ჯგუფად იყოფა. პირველი, რომის ევროპული პროვინციებში (გალია, რაინის ოლქი და სხვა) დამზადებული დასავლეთ რომაული, ხოლო მეორე სირიის, ეგვიპტის და კვიპროსის ნიმუშები კი აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთიში დამზადებული. ისინი ახ.წ. I-III სსს თარიღდება. განსაკუთრებით პოპულარულია ახ.წ. I – II სს თვლიან, რომ მსგავსი გრაფინებით ხდებოდა სითხის ტრანსპორტირება (შალიკაძ2004: 27-29). ასევე საყურადღებოა ისიც, რომ ახ.წ. I – II სს ნაკეთობებში მასობრივი მოხმარების საგანი ყოფილა მინის კორპუსის სხვადასხვა მოყვანილობის გრაფინები. ისინი შესრულების მაღალი ხარისხით გამოირჩევა (შალიკაძე, 2004:30-32).

სუფრაზე მოსახმარი ჭურჭლებიდან ყურადღებას იქცევს, ასევე მინის ოინოხოიას პირ-ყელის ფარგმენტი. როგორც ვიცით ოინოხოია ბერძნული ნაწარმის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მზადდებოდა

თიხის სადა თუ მოხატული ნიმუშები. ამ სახეობის ფერადი მინის დამზადებაც ადრეკლასიკური ხანიდან იწყება. მაღალმხატვრული ნიმუშები გვხდება ფიჭვნარის სამაროვნებიდან (შალიკაძე, 2009:38,48, კატ.24,41). სხვა ნიმუშებიდან შეიძლება გამოიყოს თავისუფალი ბერვის წესით დამზადებული ლანგრისა და ორნამენტიანი ფიალის ფრაგმენტები. განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა სხვადასხვა ფორმის (გამოიყოფა 8 ტიპი) სასმისების პირ-კედლის, ტანისა და ძირის ფრაგმენტები. გვხდება, როგორც ქუსლიანი, ასევე უქუსლო ცალებიც (შალიკაძე, 2004:41-50). სასუფრე ნაკეთობებია, ასევე კრატერისკი, რომელიც ახ.წ. I საუკუნით თარიღდება, საწარმოო ცენტრად დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთია მიჩნეული, კერძოდ ჩრდილო იტალია. მათი მინა ცისფერია, გამჭვირვალე. ტანი და ძირი შემკული ყოფილა ვერტიკალური წიბოებით (შალიკაძე 2009:65; სურ.8). იშვიათია ბოთლისებური ჭურჭელი, მინა ცისფერი, ახ.წ I საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება და მის საწარმოო ცენტრად აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთია მიჩნეული (შალიკაძე 2009:66, სურ.10). გონიო-აფსაროსის იშვიათ მონაპოვართა რიცხვს განკუთვნება ასევე მინის ძაბრი და ფრინველის ფორმის ჭურჭელიც. ძაბრი წარმოდგენილია პირისა და ტანის ნატეხების სახით (შალიკაძე, 2004:50, სურ.52). საქართველოში გონიო-აფსაროსის მსგავსი ძაბრები ჯერჯერობით არ არის ცნობილი. პარალელი ეძებნება ჩრდილო შავიზღვისპირეთის მასალებს შორის, რომლებიც ახ.წ. I-II სს არის დათარიღებული (Кунина, 1984:152). მიჩნეულია რომის იმპერიის დასავლლეთ პროვინციის ნაწარმად (შალიკაძე, 2004:50).

ფრინველის ფორმის მინის ჭურჭელი წარმოდგენილია პირის, ყელისა და ტანის ნატეხების სახით. როგორც ჩანს, თავის დროზე ის ფრინველის ფიგურის სტილიზებურ გამოსახულებას წარმოადგენდა (შალიკაძე, 2004:50, სურ.53). არც ამ ნივთს გააჩნია პარალელი საქართველოში აღმოჩენილ მასალებს შორის. ანალოგების მიხედვით თარიღდება ახ.წ. I ს მეორე ნახევრით (შალიკაძე, 2004:50).

მინის ნაკეთობების გარკვეულ ჯგუფს მინის სანელსაცხებლეები წარმოადგენენ. აფსაროსის მონაპოვრებში გვხდება რვა განსხვავებული ტიპი. გვხდება, როგორც სქელკედლიანი დაბალი, სფერული ან კონუსური მოყვანილობის. შედარებით

თხელკედლიანი ნიმუშები კი ე.წ. მინიატურული სანელსაცხებლეებისა და ფლაკონების სახითაა წარმოდგენილი. ყურადღებას იქცევს, ასევე მაღალყელიანი სანელსახებლეები, რომელთაც მომრგვალებული ძირი და მომაღლო, ცილინდრულ ყელთან უშუალოდ მიბმული ტანი აქვთ. აფსაროსის სანელსაცხებლეების ჯგუფი მსგავსი სახის ნაკეთობების მიხედვით ახ.წ. I-IV სს თარიღდება, უმეტესობა სირიულ ნაკეთობადაა მიჩნეული (შალიკაძე: 2004: 41-50).

ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი საინტერესო ნივთის არიბალოსის პირ-ყელის ფრაგმენტები. იგი აფსაროსის ახ.წ. I ს მეორე ნახევრითა და – II ს დასაწყისით დათარიღებულ კულტურულ ფენებშია ნაპოვნი (ციხის სამხრეთი კარიბჭე). პარფიუმერიისათვის განკუთვნილ ამ სახეობის ჭურჭელს არაერთი ანალოგი ეძებნება სხვა მონაპოვრების მიხედვითაც. ქრონოლოგიური ჩარჩოები განსაზღვრულია ნერონის ეპოქიდან ვიდრე ახ.წ. III საუკუნემდე, განსაკუთრებით პოპულარულია ფლავიუსების ხანაში. გამოიყენებოდა ანტიკური ხანის დასასრულამდე.

ჩვენთვის საინტერესო ძეგლების ნუმიზმატიკურ მასალებზე გონიო-აფსაროსში მუშაობს არქეოლოგი ირინე ვარშალომიძე, სოხუმსა და ბიჭვინთაზე კი - ოთარ ლორთქიფანიძე.

გონიო-აფსაროსში აღმოჩენილ ყველაზე ადრეულ **მონეტად** ტიბერიუს სახელით ქ. ლუგდუნუმში (გალია) მოჭრილი დენარი მიიჩნევა. ამავე ზარაფხანაშია მოჭრილი I საუკუნის ავგუსტუსის დენარი, რომელის მსგავსიც აღმოჩენილია ეშერაშიც.

გონიო-აფსაროსში აღმოჩენილია ბოსფორის სამეფოს მონეტები, რომლებიც მოჭრილია ახ.წ. 39 წელს. აღმოჩენილია ასევე იუდეის მეფის აგრიპა I ჰეროდეს (37-44 წწ) სახელით მოჭრილი მონეტა (ვარშალომიძე, 1999:129).

გონიო-აფსაროსში მოპოვებული რომაული მონეტების ადრეულ ჯგუფს შეადგენს ქ.ანტიოქიის მონეტები. ამ ტიპის მონეტები ავგუსტუსის დროიდან იჭრებოდა ანტიოქიაში (ვარშალომიძე, 2009:52). ამ ტიპის I საუკუნის ანტიოქიაში მოჭრილი სპილენძის მონეტა საქართველოში ცნობილია მხოლოდ სოხუმიდან (Трапш, 1969:357).

სირიის მონეტებს წარმოადგენს ტიტუსის სახელით ქ. გადარაში მოჭრილი სპილენძის მონეტა.

ქრონოლოგიურად მომდევნო ხანას მიეკუთვნება კაბადოკიის ქ. კესარიაში მოჭრილი ვერცხლისა და სპილენძის მონეტები: ტრაიანეს (98-117 წწ), ადრიანეს (117-138 წწ), ანტონინუს პიუსის (138-161 წწ), სეპტიმიუს სევერუსი (193-211 წწ), იულია დომნას (217 წ), კარაკალას (211-217) და გორდიანე III (238-244 წწ) (ვარშალომიძე, 2009:52).

საქართველოში აღმოჩენილი კესარიული მონეტების ქრონოლოგიურ ჩარჩოდ ახ.წ. I საუკუნის ბოლო და III საუკუნის დასაწყისს მიიჩნევენ. გონიო-აფსაროსში აღმოჩენილმა გორდიანე III (238-244 წწ) მონეტამ ამ ქრონოლოგიის ზედა ზღვარი გადაიტანა III საუკუნის 40-50 -იანი წლებამდე. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ადრიანეს კესარიული მონეტები მიმოიქცეოდნენ მოგვიანო პერიოდშიც (ვარშალომიძე, 2009:53). არქეოლოგების დაკვირვებით, გონიო-აფსაროსში II-III საუკუნის პირველი ნახევრის კესარიული მონეტები ასევე მიმოიქცეოდა III საუკუნის ბოლომდე.

გონიო-აფსაროსის მასალებში მკვლევარები ხვდებიან დენარებს: ვესპასიანეს (69-79 წწ), ტრაიანეს (98-117 წწ), ანტონიუს პიუსის (138-141 წწ), ფაუსტინას (141 წ), სეპტიმიუს სევერუსის (193-211 წწ). ისინი მოჭრილია ეფესოში, რომში. აღნიშნული დენარები გონიო-აფსაროსის ციხეში მიმოიქცეოდა კესარიულ მონეტებთან ერთად III საუკუნის ბოლომდე, მკვლევარის აზრით ისინი საქართველოში მცირე აზიის ქალაქებიდან ვრცელდებოდა (ვარშალომიძე, 2009:54).

აღმოჩენილ ნუმიზმატიკურ ძეგლებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქ.ტრაპეზუნტის მონეტები. აღნიშნული მონეტებიდან გონიოში წარმოდგენილია: ტრაიანე (98-117 წწ), სეპტუმიუს სევერუსი (193-211 წწ), კომოდუსი (180-192 წწ), ტრანკულინა (238-244 წწ) (ვარშალომიძე, 2009:54).

გონიო-აფსაროსის მონეტებეს შორიდ არის გორდიანეს III სახელით ქ. სინოპეში მოჭრილი სპილენძის საფასე. მსგავსი, 207 წელს გეტას სახელით მოჭრილი მონეტა არის ბიჭვინთიდან. ქ.სინოპეში მოჭრილი მონეტები აღმოჩენილია სოხუმშიც (ვარშალომიძე, 2009:55).

ჩვენთვის საინტერესოა გონიო-აფსაროსის ციხის შემოგარენში, ხელვაჩაურის რაიონ სოფ. მახოში აღმოჩენილი მონეტები. არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგად აღმოჩნდა სამარხებები, სადაც სამარხეულ ინვენტართან ერთად[5] აღმოჩნდა მონეტები: იულია სევერუსის დრაქმა, ადრიანეს, სეპტუმიუსის, დიოკლეტიანეს, ანტონიუს პიუსის, ანტონინიანის, სეპტიმიუს სევერუსის, პრობუსის. აღმოჩენილი მონეტები, ძირითადად, მოჭრილია კესარიაში, მხოლოდ ერთი ანტონიუნუს პიუსის მონეტაა მოჭრილი რომში. მონეტები ახ.წ. II-III საუკუნეებით თარიღდება (კახიძე, შალიკაძე, 2015:104-115). ანალოგიური მონეტები საქართველოში მრავლადაა აღმოჩენილი. მკვლევართა მოსაზრებით, ქრონოლოგიური ჩარჩო საქართველოში აღმოჩენილი კესარიული მონეტებისა არის ახ.წ. I საუკუნის ბოლო და II საუკუნის პირველი ნახევარი, თუმცა მახოს აღმოჩენებმა დაადასტურა, რომ II-III საუკუნის კესარიული მონეტები მიმოიქცეოდა IV საუკუნის პირველ ნახევარშიც.

სხვა მონეტებია: მარკუს ავრელიუს პიუსის, დიოკლეტიანეს, მაქსიმიანე გალერის და სხვ. ანალოგიური საფასები ცნობილია მხოლოდ პიტიუნტიდან (ცუხიშვილი, 1977:250,სურ. 301; დუნდუა, 1975:280, სურ.413).

ამრიგად, ახ.წ. I საუკუნის მონეტების უმრავლესობა მოჭრილია ანტიოქიაში, პონტოს სამეფოში, რომში, ლუგდუნუმში, თითო ბოსფორში, იუდეაში, გადარაში, ეფესოში. მონეტების უმრავლესობა სპილენძისაა, დომინირებს ახ.წ. I საუკუნის შუა ხანებში და მეორე ნახევარში მოჭრილი მომეტები.

ახ.წ. I საუკუნის მონეტები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სხვა კასტელუმებში ძალიან მცირე რაოდნებითაა აღმოჩენილი. აფხაზეთში სანაპირო ზოლიდან სულ ცნობილია 10-15 ცალი. ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრიდან გონიო-აფსაროსში რომაული გარნიზონის დგომა ეჭვს არ იწვევდა. იგივე სურათი ჩანს არქეოლოგიური მასალების მიხედვით.

---

[5] სამარხებში დაკძალულ ადამინებსძირითადა ჩატანბული ქონდათ შემდეგი მასალა: თიხის კვირისთვები, დოქები, ქოთნები, მინის სამისიები, მინის ჭუჭლები, სხვადასხვა ფორმისა და ზომის მძივები. მშვილდსაკიძი, რკინის დანა, სამაჯურები, რგოლსაკიდები, სანელსაცხებლეები, მინის ოთხწახნაგა ჭურჭელი, ბეჭდები.

ახ.წ. II საუკუნეებში მოჭრილი მონეტებს წარმოადგენს: ტრაიანე, ადრიანე, ფაუსტინა I, ანტონიუს პიუსი, კომოდუსი, სეპტიმიუსი. ისინი მოჭრილია რომში, ტრაპეზუნტში, კესარიაში, ნეიკესარიაში და აღმოსავლეთის სხვა ზარაფხანებში.

ახ.წ. II-III საუკუნის კოლხეთის ტერიტორიაზე გაბატონებული ადგილი უკავია კესარიულ მონეტებს. კესარიული მონეტები ნაპოვნია ციხისძირში, ურეკში, სუფსაში ნოქალაქევში, ვანში, სოხუმში, ბიჭვინთაში და გონიო-აფსაროსში (ვარშალომიძე, 2009:53).

III საუკუნის მონეტების უმრავლესობა ვერცხლისაგანაა დამზადებული. მონეტათა უმრავლესობა მოჭრილია კესარიაში, რომში, ტრაპეზუნტში, თესალონიკეში, სინოპეში. ბიჭვინთაში III საუკუნის პირველი ნახევრის 267 მონეტაა ცნობილი. უმრავლესობა მოჭრილია ტრაპეზუნტში, შედარებით მცირე ჯგუფი კესარიაში. აქ III საუკუნის მეორე ნახევრის 100-ზე მეტი მონეტაა აღმოჩენილი. ისინი მოჭრილია რომში, ანტიოქიაში, ქიზიკში, მელიოლანუმის და თესალონიკის ზარახანებში (ვარშალომიძე, 2009: 60).

ახ.წ. I საუკუნე პიტიუნტში არ გამოირჩევა მონეტების სიუხვით და ამ დროის მონეტებიდან აღმოჩენილია მხოლოდ ავგუსტუსის (ძვ.წ. 27-ახ.წ. 14) სპილენძის მონეტა, პოლემონ II (49-63 წწ), პონტოს მეფისა და ვესპასიანეს (69-79 წწ) ვერცხლის ფულები, ქალაქ ამასტრიის (პონტო) ერთი საფასე. შემდგომი საუკუნეებიდან კი მათი რიცხვი საგრძნობლად იზრდება (ლორთქიფანიძე, 1991:100).

რადგან II საუკუნიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პიტიუნტში რომაელების მიერ ციხის აშენებას. ამ პერიდის მონეტებს განეკუთვნება: ბოსფორის მეფის კოტის II (123-132 წწ) სესტერციუსი, ანტონინე პიუსის (138-161 წწ) კესარიული დრაქმა, რომში მოჭრილი დენარი და სპილენძის ორი მონეტა, პაუტალიაში (თრაკია) მოჭრილი მედალიონი, მარკუს ავრელიუსის (161-180 წწ) სახელით მოჭრილი დენარი, ლუციუს ვერუსის (161-169 წწ) ტრაპეზუნტის საქალაქო სპილენძის მონეტა-მედალიონი,

კესარიული დიდრაქმა, კომოდუსის (180-192 წწ) დენარი.[6] ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტები - II საუკუნის დასასრულის: ლუცილა (138 წ)-სპილენძის რომაული მონეტა-მედალიონი, ბოსფორის მეფე სავრამატ II (174-210 წწ)-სპიენზის მონეტა, სეპტიუმს სევერუსი (193-211წწ 3 ცალი), აქედან ერთი ვერცხლის დენარია, მოჭრილი 195/197 წწ (ლორთქიფანიძე, 1991:102).

ეს უკანასკნელი მონეტები, III საუკუნეშიც იყო მიმოქცევაში, ამას ადასტურებს არქეოლოგიური მასალებიც პიტიუნტის სამაროვნიდან, რომელიც III ს მეორე ნახევრის სამარხში აღმოჩენილი სპილენძის 6 მონეტით (ლორთქიფანიძე, 1991:101).

ბიჭვინთაში აღმოჩენილმა მასალებმა აჩვენა, რომ III ს. მეორე ნახევარშიც კვლავ მიმოქცევაშია ადრიანეს (117-138 წწ), კესარიული დიდრაქმები და კომოდიუსის (180-192 წწ) მონეტები.

ბიჭვინთაში აღმოჩენილი II საუკუნის ბოლოსა და III საუკუნის დასაწყისის მონეტების დიდი ნაწილი ტრაპეზუნის ზარაფხანაშია მოჭრილი. მეორე ადგილზეა კესარია (კაბადოკია), რომლის მონეტებიც, ასევე ტრაპეზუნტის გზით შემოდიოდა. II საუკუნის მეორე ნახევრისა და III საუკუნის პირველ ნახევარში, წამყვანი ადგილი ისევ ტრაპეზუნტს უჭირავს (ლორთქიფანიძე, 1991:102).

საინტერესოა პიტიუნტში აღმოჩენილი ე.წ. ,,მიმავალი მარსის'' გამოსახულებიანი რომაული დენარების სამი ე.წ. ,,ბარბაროსული მინაბაძი'', რომლებსაც სპეციალისტები ბოსფორში III ს დამკვიდრებულ გოთებს უკავშირებენ. გ. დონდუა მათ ბიჭვინთაში ბორანების თარეშის ეპოქას აკუთვნებს. სოხუმთან, კელასურში ნაპოვნია ასეთივე მონეტა, რომლეთან ერთადაც ნაპოვნია 326 წელს მოჭრილ რისკუპორიდის საფასესე (17ცალი), რაც მათ მიმოქცევის ხანგრძლივობაზე მიანიშნებს (ლორთქიფანიძე, 1991:103; Higgins, 1980:189).

ახ.წ. IV ს მონეტები ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანია, რაც ფულად-სასაქონლო ურთიერთბებეის განვითრებაზეც უნდა მიუთითებდეს. ეს ასევე უკავშირდება

[6] ექვსი მონეტა სპილენძისაა, აქედან 4 ტრაპეზუნტის.

პიტიუნტის გარნიზონ გაძლიერებას, რასაც ადგილი ჰქონდა გვიანრომაულ ხანაში (ლორთქიფანიძე, 1991:104).

მონეტებიდან გვხვდება: კონსტანტინე დიდი (306-337) და მისი მემკვიდრების სახელით მოჭრილი წვრილი ნომინალის სპილენძის მონეტები. რაოდენობრივად ყველაზე მეტია კონსტანციუს II (337-361 წწ) მონეტები, ზარაფხანის ტიპოგრაფია ასეთ სურათს იძლევა: ანტიოქია, ნიკომედია, ქიზიკი, კონსტანტინეპოლი, ალექსანდრია, სიცილია, თესალონიკა (ლორთქიფანიძე, 1991:104).

პიტიუნტის ნაქალაქარზე ნაპოვნი IV ს ცალკეული მონტები იმპერატორების მიხედვით შემდეგნაირადაა განაწილებული: ლიცინიუსი (307-323 წწ) - ზარაფხანა ანტიოქია, თსალონიკე, ქიზიკი, ნიკომედია; კონსტანტინე I დიდი (333-337 წწ) მათ შორის, დედოფალ ელენეს 328 წ მოჭრილი 4 მონეტა და იმპერატორის სიკვდილის შემდეგ მისი სახელით გამოსვებული ფული, რომლეთაგანაც წამყვანი ადგილი ანტიოქიისა და კონსტანტინეპოლის ზარაფხანებს უჭირავს; კრისპუსი (317-326 წწ) 4 ცალი, მოჭრილი თესალონიკესა და ანტიოქიაში. კონსტანტინე II (337-340 წწ) - 4 მათგანი მოჭრილია კონსტანტინეპოლში, სამ-სამი ნიკომედიასა და ქიზიკში. კონსტანტ I (337-350 წწ) სახელით მოჭრილია 57 ნომინალი.

ამგვარად, პიტიუნტის ფულად-სასაქონლო ურთუერთობაში IV საუკუნის მეორე ნახევარში წამყვანი პოზიცია კონსტანტინე დიდისა და მისი მემკვიდრიეების მონეტებტან ერთად კონსტანტიუცის II პროვინციული სპილენძის ემისიებს უჭირავს. მკვლევარების აზრით, წყვეტილია IV საუკუნის ბოლო მეოთხედის ფულად მიმოქცევაში, რაც ჰუნების გამადგურებელი ლაშქრობით უნდა აიხსნას. აქედან მოყოლებული მთელი V საუკუნის განმავლობაში პიტიუნტის ფულადი მეურნეობა დაქვეითებული ჩანს, რადგან ბიზანტილეთა გარნიზონი აქ ნამდვილად აღარ დგას. ეს ფაქტი ასახულია სამონეტო მასალაშიც, სადაც V საუკუნე წარმოდგენილია სპილენძის რამდენიმე მონეტით. ესაა არკადიუსის (395-408 წწ), თეოდოს V (408-450 წწ) და მისი მეუღლის ორი მონეტა. ახალი აღმავლობა პიტიუნტის ფულად მიმოქცევაში შეინიშნება მხოლდო VI საუკუნიდან (ლორთქიფანიძე, 1991:105).

ბიჭვინთაში საერთაშორისო მონეტების ფუნქციას რომაული დენარი ასრულებს, რომელთა შორის წამყვანი ადგილი კაპადოკიაში, კერძოდ, ქალაქ კესარიაში მოჭრილ ვერცხლის მონეტებს ეჭირა. ისინი ტრაპეზუნტიდან, ფაზისის-სებასტოპოლისი მეშვებოთ აღწევდა ქვეყნის ცენტრალურ რეგიონში.

ახ.წ. II საუკუნის ბოლოსა და III საუკუნის პიერველ ნახევარში რომაული მონეტების მოზღვავებას სპეციალისტები აღნისშნავენ სებასტოპოლისშიც. აქაც შედარებით ხშირად პოულობენ ტრაპეზუნტის სპილენძის, ე.წ. საქალაქო მონეტებს, რომლებიც იჭრებოდა კომოდუსის (180-192 წწ.), მაკრონასა (217-218 წწ) და სხვა იმპერატორთა მმართველობის დროს.

ცალკე უნდა გამოვყოთ **საიველირო** ნაწარმი. უახლესი აღმოჩენებიდან საინტერესოა 2013 წ შემთხვევით აღმოჩენილი განძი გონიო-აფსაროსის მიმდებარე ტერიტორიაზე, სოფ. კაპანდიდში. ის შედგებოდა ოქროს და ვერცხლის სხვადასხვა ნიმუშისგან: საკიდის, ბალთების, ქიორის გვირგვინის, სამაჯურის, ვერცხლისა ფეხიანი თასისაგან და ვერცხლის კართაროსი. დათრიღებულია ახ.წ. I საუკუნით (კახიძე, შალიკაძე, ფარტენაძე, 2015:53-62; დიღმელაშვილი 2010:155, სურ.1,2,3). აღმოჩენილი ნიმუშები გაფორმებულია ძვირფასი ქვებით, რომელიც მსგავსებას ამჟღავნებს გინიო-აფსაროსი განძთან, რომელიც 1975 წელს შემთხვევით აღმოჩნდა გონიო-აფსაროსის ციხის მახლობალ, საგზაო სამუშაოების დრო. აღმოჩენილი განძი შედგემობდა შემდეგი ნიმუშებისგან: ჭაბუკის ოქროს ქანდაკებისაგან, ოქროს ფიალისგან, ოქროს სამაჯურებისგან, ოქროს გარსაკრავებისგან, ოქროს საკიდისგან, ოქროს ბალთებისგან, ოქროს კილიტებისგან, ოქროს ღილისგან, ოქროს მძივებისგან, ფირფიტებისგან, ძეწკვებისგან, შტანდარტის თავისგან, ოქროს ძეწკვებისგან. 1975 წელს გონიო-აფსაროსთან აღმოჩენილი განძი თარიღდება ახ.წ I-II საუკუნეებით (ლორთქიფანიძე, მიქელაძე, ხახუტაიშვილი, 1980:16; კახიძე, შალიკაძე, ფარტენაძე, 2015).

აღმოჩენილი განძებიდან ჩანს, რომ იმდროინდელი საზოგადობა მოიხმარდა ფუფუნების საგნებს და, სავარაუდოდ, ისინი მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებს ეკუთვნოდათ.

4. სამხედრო ორგანიზაციის საკითხი

პირველი კონტაქტი კოლხეთსა და დასავლურ ცივილიზაციას შორის ბერძნულ კოლონიზაციას უკავშირდება. ბერძნული ახალშენების ფუნქციონირების შესახებ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა.

გ. მელიქიშვილს მიაჩნია, რომ ეს ქალაქები ემპირიონები იყვნენ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970: 406-412). ნ. ლომოურის აზრით კოლხეთში ბერძნების მიერ დაარსებული ზღვისპირა ქალაქები თავიდანვე ადგილობრივ ტომთა გაერთიანების გავლენის ქვეშ მოექცნენ და პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაემორჩილნენ კოლხეთის სამეფოს (ლომოური, 1962:61). ოთ.ლორთქიფანიძეც მიიჩნევს, რომ ბერძნული დასახლებები არასოდეს ყოფილან დამოუკიდებელი პოლისები (ლორთქიფანიძე, 1975:56). ი. ბაშინსკის კოლხეთის კოლონიები სავაჭრო ფაქტორიებად წარმოუდგენია (ბრაშინსკი 1980:98). ბოლოდროინდელი აღმოჩენების ფონზე, ა.კახიძე, ფიჭვნართან მიმართებაში მაინც, ფიქრობს რომ ეს იყო ათენური ახალშენი - კლერუქია (კახიძე, ვიკერსი 2004; კახიძე, 2007; კახიძე, კახიძე, 2014).

ბერძნული კოლონიზაცია კოლხეთის ტერიტორიაზე ძვ.წ. VI საუკუნეში დაიწყო. ბერძნებმა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დაარსეს ემპირიონები: ფაზისი, გიენოსი და დიოსკურია. ემპირიონების დაარსების ძირითად მიზანს ვაჭრობა წარმოადგენდა. როგორც ნედლულის გატანა, ასევე მათი შემოტანა კოლხეთში. სავაჭრო ურთიერთობებმა ხელი შეუწყო კოლხეთის დაწინაურებას, ადგილობრივი მოსახლეობა გაეცნო ბერძნულ სამყაროში არსებულ სამეურნეო, საზოგადოებრივ და კულტურულ მიღწევებს, რამაც კოხლხეთის საზოგადოებისა და საქალაქო ცხოვრების დაწინაურება გამოიწვია.

ამგვარად, ბერძნულმა კოლონიზაციამ კოლხეთისთვის დადებითი როლი ითამაშა, კერძოდ კი კოლონიზაციას მოჰყვა კოლხეთის ზღვისპირა ქალაქების საერთაშორისო სავაჭრო ურთიეთობებში ჩაბმა (გამყრელიძე, 2010:24).

კოლხეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის სტრაბონის ,,გეოგრფია'' და მასში შემონახულია ცნობა: ,,თუ როგორ იყო სახელგანთქმული ძველად ეს ქვეყანა, ცხადყობს ამას მითები, რომლებიც მოგვითხრობენ იასონის ლაშქრობაზე. ამის შემდეგ მემკვიდრე მეფეებმა სკეპტუხებად დაჰყვეს ქვეყანა და ჰქონდათ ზომიერი ძალაუფლება'' (Strabo 12,2,18). როგორც სტრაბონის ,,გეოგრაფიის'' ამ ნაწყვეტიდან ჩანს, დაახლოებით ძვ.წ. V საუკუნისათვის კოლხეთში უკვე არსებობს სახელმწიფო ერთეულები, რომელთა სათავეში დაწინაურებული გვარის წარმომადგენლები იდგნენ (ინაძე, 1961:783-790; ლორთქიფანიძე, 1977; გამყრელიძე 2010:33). როგორც ჩანს, ცენტრალური ხელისუფლების ზომიერი ძალაუფლების წყალობით სკეპტუხებმა დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა დაიწყეს, რაც ძვ.წ. IV საუკუნის ბოლოს კოლხეთის სამეფოს დასუსტებით და საბოლოოდ დაშლით დასრულდა.

ძვ. წ. II-I სს მიჯნიდან კოლხეთის პოლიტიკურ ასპარეზზე მითრიდატე VI ევპატორი გამოჩნდა, რომელმაც კოლხეთის ზღვისპირა ქალაქები პონტოს სამეფოს ძვ.წ. II-I სს მიჯნაზე შეუერთა (სანიკიძე, 1956; დუნდუა, 1974:146-159, გამყრელიძე, 2010:35).

მითრიდატეს ინტერესის სფეროს წარმოადგენდა კოლხეთის სანაპირო (Strabo 11.2.17.18), ის მისთვის სტრატიგრაფიულ-კომუნიკაციურ რგოლს წარმოადგენდა, რომელიც სჭირდებოდა პონტოს სამეფოს ჩრდილოშავიზღვისპირა ტერიტორიების კონტროლისთვის და ზედამხედველობისთვის. მითრიდატემ, კოლხეთის ადმინისტრაციულ ცენტრად ქალაქი დიოსკურია აქცია, რომელსაც მისცა მონეტის მოჭრის უფლება. სწორედ აქ იმყოფებოდა მითრიდატეს მიერ გამოგზავნლი მართველი (Strabo 12,2,18).

კოლხეთის ანექსია პონტოს სამეფოს მიერ ძვ.წ. 111-110 წწ უნდა მომხდარიყო, თუმცა მითრიდატეს დაპირისპირებამ რომთან ეს უკანასკნელი კავკასიაში ჩამოიყვანა. ძვ.წ. 65 წ პომპეუსმა დაამარცხა მითრიდატე და კოლხეთი, ისევე როგორც არმენია და იბერია რომის მმართველობას დაუმორჩილა (Hind, 2008:139). პომპეუსმა კოლხეთში არისტარქე დატოვა. როგორც ჩანს, იგი ადგილობრივი დიდკაცობის წარმომადგენელია,

შესაძლოა ერთ-ერთი სკეპტუხთაგანი ყოფილიყო, რომელიც, კომფლიქტის დროს პომპეუსის მხარეს გადავიდა (ლომოური, 2007:321).

რომაელების გამოჩენის დროს შიდა კოლხეთი დაყოფილი იყო და მათ სკეპტუხები მართავდნენ. გამყრელიძე აღნიშნავს, რომ შესაძლებელია, მათი ნაწილი იბერიის პოლიტიკურ გავლენას ემოჩილებოდა, ნაწილი კი სეპარსტისტულ, შედარებით დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა (გამყრელიძე, 2010:44).

სამწუხაროდ, არისტარქეს მართველობის შესახებ წყაროების სიმცირის გამო ინფორმაცია ნაკლებია. კოლხეთში რომაული სამხედრო ძალის ყოფნა ამ დროისთვის არ არის დაზუსტებული. შესაძლებელია, რომ რომაელები ეყრდნობოდნენ ადგილობრივ მმართველებს და საწყის ეტაპზე არ ცვლიდნენ ადგილობრივ კანონებსა და სახელმწიფოს მართვის სისტემას, მაგრამ უდავოა, რომ არისტარქეს ძალაუფლება მაინც რომის მხარდაჭერას ეყრდნობოდა და მისი ძალა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი რომის მიერ იყო დანიშნული. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჩვენამდე მოაღწია არისტარქეს მიერ მოჭრილი მონეტების 5 ეგზემპლარმა, მათგან ერთ-ერთზე, სავარაუდოდ, პომპეუსია გამოსახული, რაც ადასტურებს არისტარქეს მიერ რომისადმი ვასალურ დამოკიდებულებას.

ჩვენ არ გვაქვს ცნობები არისტარქეს მართველობის ხანგრძლივობის შესახებ. ვიცით მხოლოდ ის რომ, ძვ.წ. 53 წელს იგი ჯერ ისევ მართავდა კოლხეთს, რამდენადაც სწორედ ამ წლით (ე.ი მართველობის მეთორმეტე წლით) თარიღდება ჩვენამდე მოღწეული ხუთი მონეტა. ამასთან დაკავშირებით გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ წლისთვის არისტარქემ გარკვეული დამოუკიდებლობაც კი მოიპოვა რომისაგან, რაც საკუთარი მონეტის მოჭრით გამოიხატა (ლომოური, 2007:324).

რომმა, მიუხედავად მისი სიძლიერისა, მაინც ვერ მოახერხა შიდა კოლხეთის სრული დამორჩილება სკეპტუხების აგრესიული განწყობის გამო. განსხვავებით ზღვისპირა კოლხეთისგან, რომელზეც რომალები გარკვეული კონტროლს ახერხებდნენ. რომის ძირითადი საყრდენი სანაპირო ქალაქები უნდა ყოფილიყო, სადაც შედარებით

ძლიერი იყო ანტიკური კულტურული გავლენა, ვიდრე შიდა კოლხეთში (გამყრელიძე, 2010:51).

როგორც ცნობილია, ძვ.წ. 60 წელს რომის რესპუბლიკას სათავეში ჩაუდგა ე.წ. პირველი ტრიუმვირატი პომპეუსის, იულიუს კეისრისა და მარკუს კრასუსის შემადგენლობთ. ძვ.წ. 53 წელს კრასუსი დაიღუპა პართიელებთან ომში, ხოლო 49-48 წლებში დიდი ხნის წინ მომწიფებული კომფლიქტი პომპეუსსა და კეისარს შორის შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რაც პომპეუსის სრული დამარცხებითა და მისი დაღუპვით დასრულდა (ძვ.წ.48 წ). რომში შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა ბოსფორის მეფე ფარნაკე მითრიდატეს ძემ და დაახლოებით ძვ.წ. 48 წელს გადაწყვიტა მამისეული ტერიტორიის დაბრუნება. ისტორიკოს დიონ კასიუსის ცნობით: ,,რადგან რომაელები მაშინ საკუთარი საქმეებით იყვნენ გართული, ხოლო შემდეგ ეგვიპტეში დაკავებულნი, ფარნაკემ ადვილად დაიპყრო მთელი კოლხეთი და მთელი არმენია დაიკავეს იქ არყოფნისას და დაიმორჩილა კაპადოკიის ნაწილი და პონტოს ზოგიერთი ქალაქი'' (Dio 42.48.3). ძვ.წ. 47 წელს ზელასთან, მცირე აზიაში, იულიუს კეისარმა გაანადგურა ფარნაკეს ჯარი და იგი ბოსფორში გაიქცა, მაგრამ მას აუჯანყდა ბოსფორის გამგებლად დატოვებული მხედართმთავარი ასანდრი, რომელთან ბრძოლაშიც ფარნაკე დაიღუპა.

ძვ.წ. 44 წელს რომში კვლავ არეულობა დაიწყო. იულიუს კეისრის მოკვლის შემდეგ ე.წ. კეისარიანელებსა და რესპუბლიკელებს შორის დაპირისპირება დაიწყო. საბოლოოდ ხელისუფლება კეისარიანელების მომხრეთა ხელში გადავიდა, რომლებმაც შექმენს მეორე ტრიუმვირატი: გნიუს ოქტავიანეს, მარკუს ანტონიუსის და ლეპიდეს შემადგენლობით. ტრიუმვირებმა გადაინაწილეს პროვინციები: აღმოსავლეთი ერგო ანტონიუსს და იგი მაშინვე აზიაში გაემგზავრა. ამ დროსითვის აქ რომის ძალაუფლება შესუსტებული იყო. მის მიერ ჩატარებულმა ღონისძიებებმა შეცვალა აღმოსავლური პროვინციების მართვის სისტემა, რომელიც დამკვიდრებული იყო ჯერ პომპეუსის, შემდეგ კი კეისრის მიერ. ანტონიუსმა აღადგინა ან ხელახლა შექმნა რომზე დამოკიდებული სამეფოთა მთელი სისტემა და მათ სათავეში მისთვის სასურველი დინასტები ჩააყენა. მათ შორის, აღდგენილ იქნა პონტოს სამეფოც, რომლის სათავეში

ანტონიუსმა ჯერ ფარნაკეს ძე დარიუსი დააყენა, შემდგომ კი ის კილიკიის მართველ პოლემონით შეცვალა. წყაროები არაფერს ამბობენ იმის შესახებ თუ როგორი იყო ამ დროისთვის კოლხეთში არსებული მდგომარეობა, ვინ მართავდა მას მითრიდატე პერგამონელის დაღუპვის შემდეგ. სტრაბონის ცნობით, კოლხეთს პოლემონი დაეუფლა, რომელიც კოლხეთან ერთად პონტოსა და ბოსფორის სამეფოსაც მართავდა (ლომოური, 2007:325).

პოლემონ I, ქალაქის დინასტი, რომელიც გაამეფა ანტონიუსმა, შემდგომშიც ავგუსტუსის მხარდაჭერით სარგებლობდა. დაახლოებით ძვ.წ. 8 წელს, როდესაც პოლემონი გარდაიცვლა, მისი სამეფო მის ქვრივს პითედოროსს გადაეცა, რომელიც სამეფოს თავის ვაჟის დახმარებით მართავდა. დაახლობით ახ.წ. 8 წელს იგი ცოლად გაჰყვა კაპადოკიის მართველს არქელაოს I, რითაც კოლხეთი და კაპადოკია გაერთიანდა. ახ.წ. 17 წელს, როდესაც არქელაოსი გარდაიცვლა, კაპადოკია უშუალოდ რომის ადმინისტრაციას დაემორჩილა. პითოდოროსი კი ისევ თავის ძველ სამეფოს მართავდა კოლხეთის ჩათვლით, თავის გარდაცვალებამდე. ახ.წ. 18 წელს, მისი ვაჟი ზენონი არმენიაში გაამეფეს არტაქსიასის სახელით, ხოლო მისი ასული ტრიფენა გაჰყვა თრაკიის მეფე კოტის VIII. ამის შემდგომ ახ.წ. 38 წელს გაიუსმა ტრიფენას სამივე ვაჟს სამეფოები უბოძა, რომეთაკესი თრაკიის მეფე გახდა, კოტისმა მცირე არმენია მიიღო, ხოლო პოლემონს ბებიის სამეფო ერგო (ბრაუნდი, 2014:252)

ამგვარად, კოლხეთი პოლემონის პონტოს შემადგენლობაში აღმოჩნდა და ასე რჩებოდა იპმერატორ ნერონის ხანამდე, სანამ ნერონმა ახ.წ. 64 წელს პოლემონ II სამეფოს ანექსია არ მოახდინა. სამეფოს გაუქმება ნერონისთვის პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, რომელსაც თავისი მიზეზები გააჩნდა. ნერონისათვის ამ რეგიონს სხვა დატვირთვა ჰქონდა. მისი მიზანი კავკასიის კამპანია იყო, ის ლაშქრობას გეგმავდა კავკასიაში, რომლისთვისაც მან სპეციალური ლეგონი Legion I Italica ჩამოაყალიბა, რომელთაც თავის ,,ალექსანდრიელებს'' უწოდებდა. როგორც დ.ბრაუნდი თავის ნაშრომში აღნიშნავს, ნერონის პროექტი, ეთიოპიასაც მოიცავდა, შესაძლოა, ამავე დროს იმპერატორი პატივს მიაგებდა თვით სესოსტრისსაც, რომელიც როგორც ამბობენ, აღმოსავლეთში ალექსანდრეზე უკეთაც კი ლაშქრობდა და რომლის მიერ კოლხეთში

შეჭრა, ასევე ეთიოპიაში დაწყებულ, უფრო გრანდიოზული კამპანიის ნაწილს შეადგენა, მაგრამ ნერონს ამ კამპანიის განხორციელება არ დასცალდა მისი მკველობისა თუ თვითმკვლელობის გამო (ბრაუნდი, 2014:19).

ახ.წ. 64 წლიდან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში შეინიშნება დესტაბილიზაცია, ამის მაგალითია ახ.წ. 68-69 წწ ანიკეტის აჯანყება. ტაციტუსი ამ აჯანყებას ასე აღწერს: ,,ანაზდად იარაღი აღმართა პონტოში ბარბაროსმა მონამ, რომელიც ოდესმე სამეფო ფლოტის მეთაური იყო. ის გახლდათ ანიკეტი, პოლემონის აზატი, ოდესღაც უფრო ძლევამოსილი, ხოლო მას შემდეგ რაც პროვინციად იქცა სამეფო, ცვლილებას ვერ ითმენდა. ამიტომ ვეტელიუსის სახელით, მოიმხრო ტომები, რომლებიც პონტოსთან ცხოვრობდნენ, აგრეთვე, ძარცვის იმედით აცდუნა უღატაკესნი, არამცირე რაზმს ჩაუდგა სათავეში, და ანაზდად შეიჭრა ტრაპეზუნსტში, ძველთაგანვე სახელგანთქმულ ქალაქში, რომელიც ბერძნებისაგან არის დაარსებული შავის ზღვის უკიდურეს სანაპიროზე. იქ ამოჟლიტა კოჰორტა, რომელიც ოდესღაც სამეფო დამხმარე ჯარი იყო. შემდეგ ამათ რომის მოქალაქეობა და ჩვენებური დროშები და იარაღები მიანიჭეს, მაგრამ ბერძნების სიზარმაცე და თავხედობა კი შერჩათ. ფლოტსაც ცეცხლი წაუკიდა და აბუჩად აიგდო ცარიელი ზღვა, ვინაიდან რჩეული ბერძნული ხომალდები და მთლი ჯარი მუციანუსმა ბიზანტიონს წაიყვანა. ამიტომაც ბარბაროსები თავხედურად დაძრწოდნენ სახელდახელოდ გაკეთებული ნავებით. ამ საქმემ იმდენად მიიქცია ვესპასიანეს ყურადღება, რომ ლეგიონებიდან გამობრძნმედილი სათადარიგო ჯარისკაცები და ომში გამოცდილი სარდალი ვირდიუს გემინუსი ამოირჩია. იგი თავს დაესხა გაბნეულ და ალაფობის წადილით გაფანტულ მტერს და ხომალდებზე შერეკა; მერე სწრაფად ააგო ბერძნული ხომალდები და ანიკეტს მდ. ხობის შესართავთნ დაეწია, სადაც იგი უშიშრად იყო სედოხეზების მეფის შემწეობით, რომელიც მოკავშირეობაზე ფულითა და საჩუქრებით დაითანხმა. პირველად მეფე მუქარითა და იარაღით იცავდა შეფარებულ მავედრებელს, მაგრამ მას შემდეგ რაც ჯილდო თუ რა ომი შესთავაზეს, ბარბაროსებს ჩვეულებისამებრ რწმენამერყევი, დათანხმდა ანიკეტის დაღუპვას და ლტოლვილებიც გასცა. ასე მოეღო ბოლო მონათა ომს'' (Tac. Hist. 3.47-8).

შესაძლებელია, რომ სწორედ ამ მოვლენების შემდეგ გადაწყვიტა ვესპასიანემ კოლხეთში რომაული სამხედრო ძალების გრძელვადიანი ჩაყენება. ახ.წ. 77 წლამდე კოლხეთში ხანგრძლივი რომაული სამხედროების ყოფნაზე ლაპარაკობს პლინიუსი, რომელიც ერთ Castellum-ს სებასტოპოლისში ასახლებს დიოსკურიის მახლობლად, მეორეს - კი აფსაროსში, თანამედროვე გონიოში (Plin.ნHN 6, 14).

ძალზე მნიშვნელოვანია არიანეს „პერიპლუსი“, რომელიც ახ.წ 132 წლით თარიღდება, სადაც ის აღწერს მის მოგზაურობას აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. მისი აღწერით ირკვევა, რომ არსებობენ ადგილობრივი მართველები, რომელთაგან ზოგიერთს, როგორც ვიგებთ, სამეფო ხელისუფლება ტრაიანესაგან და ადრიანესაგან აქვთ მიღებული. მათგან გამონაკლის მხოლოდ სანები წარმოადგენენ, რადგან არც მეფე ჰყავდათ და ამასთანავე არ ექვემდებარებიან რომის მოთხოვნებს და წესრიგს (Arrian, Periplus, 11).

სამეფოების ბოძება რომაული იმპერიული დიპლომატიურ ხერხს წარმოადგენდა. ეს იყო იმპერიული წყალობა და ამავე დროს მართვის და დაპყრობის ენაც. ამგვარი ,,დასაჩუქრება'' ადრიანეს შემდგომი იპერატორების დროსაც გრძელდებოდა კოლხეთში და სხვაგანაც. მაგალითისთვის: როგორც ვიგებთ ,,ანტონინუს პიუსს ლაზების სამეფო ვინმე პაკოროსისთვის გადაუცია'' (SHA. Pius 9.6; ბრაუნდი 2014:259).

ახ.წ. 132 წელს არიანე მოიხსენიებს რომაულ ციხეებს და მასში ჯარისკაცების რაოდენობას. მის ცნობით გონიო-აფსაროსში ხუთი კოჰორტა იყო ჩაყენებული (Arrian, Periplus 11), რაც ძალზე მნიშვნელოვან ძალას შეადგენდა. გამოთქმულია მოსაზერება, რომ იქ იდგა Cohors II claudiana (Speidel, 1986:657). წარწერაში იტალიიდან ნახსენებია, რომ სავარაუდოდ ამ დროს ვინმე N. Marcius Plaetorius Celer, იყო praepositus humerorum tendentium in Porto Absaro. ფაზისში კი აფსაროსისგან განსხვავებით, სულ 400 კაცი იდგა, თუმცა ისინი ელიტარულ ძალას წამორადგენდნენ. არიანე მათ არტილერიით აღჭურვილ ,,ნარჩევ კაცებს'' უწოდებს. სებასტოპოლისში იდგა ქვეითი ჯარიც და

კავალერიაც, მაგრამ მათ რაოდენობაზე არაფერს გვეუბნება. კავალერიის აქ დგომა სწრაფი რეაგირებისთვის საჭიროებაზე მიუთითებს (ბრაუნდი, 2014:264).

ადგილობრივ დასახლებებზე მეტად არიანეს უფრო რომაული ციხეები აინტერესებს. იგი აღწერს ფაზისის ციხეს, რომლის კოშკებიანი გალავანი ფართო ორმაგი თხრილით იყო გარშემოტყმული. გალავანიც და კოშკებიც აგურით იყო ნაგები, თუმცა არიანე იმასაც ახსენებს, რომ წარსულში ციხეს მხოლოდ მიწაყრილი და ხის კოშკები იცავდა. თავსი ჩანაწერებში არიანე ამაყად აცხადებს გალავნის სიმტკიცის შესახებ და გვმაცნობს, რომ ციხეში არტილერია იდგა.

არიანემ ფაზისში, ღუზაზე მდგომი ხომალდების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ციხის ორმაგი თხრილიდან მდინარესკენ კიდევ ერთი თხრილი გააჭრევინა. ამ ახალი თხრილის მეშვეობით, ციხის გარეთ არსებული ვეტერანთა და ვაჭართა დასახლება თავდაცვით სისტემაში მოაქცია, რითაც მან ფაზისის ციხე ისე ,,გამართა'', რომ ბარბაროსები მას ვერ მიახლოვებოდნენ.

არიანე ფაზისის თავდაცვის სისტემაზე, უფრო მეტს საუბრობს ვიდრე აფსაროსის ან სებასტოპოლისის სასიმაგრო მოწყობაზე. აფსაროსის შესახებ მეტი ინფორმაცია, როგორ ჩანს, ლათინურ წერილში იყო მოცემული, სადაც, სავარაუდოდ, მის მდებარეობასთან და თავდაცვით სისტემასთან დაკავშირებული საკითხებზე ექნებოდა საუბარი. სებასტოპოლის ის მოკლედ ეხება და არ იძლევა მინიშნებას, რომ მისი დეტალური დახასიათება შეიძლება ლათინურ წარწერებში ყოფილიყო.

ახ.წ. 77 წელს პლინიუსმა მოიხსენია გონიო-აფსაროსის და სებასტოპოლისის ციხეები, მაგრამ არაფერი უთქვამს ფაზისის ციხის შესახებ. როგორც ჩანს, რომაელებმა ფაზისი უფრო გვიან, ახ.წ. 77 წლის შემდგომ მაგრამ არა უგვიანეს ახ.წ. 132 წლამდე დაარსეს. არიანეს მიერ მშენებლობის ეტაპობრივი აღწერა და პირადად მის მიერ სასიმაგრო სისტემის გუმჯობესება შესაძლოა სწორედ მიუთითებდეს იმაზე, რომ ის უფრო გვიან იყო დაარსებული ვიდრე სებასტოპოლისი და აფსაროსი და ამავდროულად ახლოს იმ პერიოდთან როდესაც არიანენ იმოგზაურა ამ რეგიონში (ბრაუნდი, 2014: 275).

ფაზისის ციხის მდებარეობას მდინარე ფაზისის შესართავთან უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მთელ რეგიონში რომაული კონტროლის დასაწესებლად. მდინარეს, რომელიც ქვეყნის შიგნიდან მოედინებოდა სხვა დიდი მდინარეები ერთვოდა. ეს იყო ძირითადი გზა ტვირთის გადასაზიდად და ადამიანების გადასაყვანად. ფაზისის ფორტი მფარველობას უწევდა ვაჭრობას, რომელიც ადვილი შესაძლებელია, რომ ამ პუნქტში გადასახადით იბეგრებოდა. არანაკლები მნიშვნელობის იყო ამ ფორტის, როგორც დამაკავშირებელი რგოლის როლი გონიო-აფსაროსსა და სებასტოპოლის შორის, რეალურად ის წარმოადგენდა ცენტრს ამ ორ ციხეს შორის, რომელიც როგორც არიანეს გადმოცემიდან ჩანს საიმედოც იყო, არიანემ ხომ ამ ციხის ირგვლივ კიდევ ერთი თავდაცვითი თხრილი შემოავლო.

სებასტოპოლისს არიანე დიოსკურიასთან აიგივებს. დიოსკურიის სებასტოპოლისად გადარქმევა ალბათ პოლემონიდების ზეობაში მოხდა. რომის მეგობარი მეფეები ქალაქებს სახელებს, ჩვეულებრივ, იმპერატორის პატივსაცემად უცვლიდნენ, თუმცა პლინიუსი, როგორც ჩანს, დიოსკურიას, რომელსაც იგი აღწერს როგორც მიტოვებულს, განასხვავებს ახლომდებარე სებასტოპოლისისაგან, სადაც იგი ფორტს მოიხსენიებს და შესაძლებელია, რომ ეს რომაული ციხე ყოფილიყო. ამ აშკარა აღრევის მიზეზი იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ქალაქი დიოსკურია საკმაოდ დიდ მანძილზე ვრცელდებოდა და როგორც ჩანს, თანამედროვე სოხუმიდან დასავლეთისკენ, ზღვისპირა ზოლის გაყოლებით, სულ მცირე, ეშერამდე იყო გადაჭიმული, სადაც ძვ.წ. I საუკუნიდან მისი აკროპოლისი და ადმინისტრაციული ცენტრი უნდა ყოფილიყო განთავსებული. პლინიუსის ცნობა მის დროში დიოსკურიის გაუკაცრიელებაზე, შესაძლოა, ეშერას მიტოვებით აიხსნას (ბრაუნდი, 2014:278).

სებასტოპოლისის არქეოლოგიურ კვლევას ხელს უშლის ის ფაქტი, რომ თანამედროვე ქალაქი სოხუმი უშუალოდ მასზეა აშენებული. გვიანრომაული ციხის სამხრეთი კედელი ზოგიერთ ადგილში კარგად ჩანს და შავი ზღვის ტალღები უშუალოდ მის წინა მხარეს ეხეთქება. ფორტის შიდა ტერიტორიაზე თანამედროვე კონსტრუქციის აგებისას, 1896 წელს აღმოჩნდა ლათინური წარწერის ფრაგმენტები, რომელზეც კვლავაც განირჩევა რუბრიკაცია და რომელიც აშკარად მეორადად იყო

გამოყენებული კედელში. წარწერა სამხედრო ხასიათის ჩანს, რადგან შეიცავს წარწერას LEG, შესაძლოა სამშენებლო წარწერასაც წარმოადგენდა, მაგრამ ვარაუდობენ, რომ შესაძლებელია რომ ეპიტაფიაც ყოფილიყო. ამ წარწერას ჩვეულებრივ, ადრიანეს და თვით არიანეს სახელებით აღადგენენ, მაგრამ ორივე ამ სახელის რესტავრაცია საეჭვოა (Ростовцев, 1907:4; Воронов, 1980:79; Трапш, 1969:289; Леквинадзе, 1969:82; Ельницкий, 1964:136).

არიანე სებასტოპოლისს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, რომაელების გამგებლობაში არსებულ ბოლო პუნქტად ასახელებს. ის აღნიშნავს, რომ სებასტოპოლისი არის ბოლო წერტილი რომელზედაც ვრცელდება და მთავრდება რომაელების გამგებლობა. როგორც მონეტები და მინის ნაკეთობათა აღმოჩენები გვიჩვენებს, რომაული ფორტი პიტიუნტში არიანეს ვიზიტიდან დაახლოებით ერთი ათეული წლის განმავლობაში უნდა დაარსებულიყო სებასტოპოლისის ჩრდილოეთით 58 კმ მანძილზე ზღვის სანაპიროს გასწვრივ. აქ აღმოჩენილი აგურებზე დატანილი დამღა მიუთითებს, რომ აქ გარნიზონი legio XV Apollinaris-ის ვექსილაცია იყო ჩაყენებული. ადრიანეს იმპერატორად მოსვლის შემდეგ ეს ლეგიონი ტრაპეზუნტის სამხრეთით პონტოს მთების გადაღმა სათალაში იდგა (Кигурадзе, Лордкипанидзе, Тодуа, 1987).

ციხე, როგორც ჩანს, ზღვიდან გარკვეული მანძილის დაშორებით იყო აღმართული, რაც ცხადია ხმელეთზე გადაადგილების საჭიროებას ქმნიდა. თუმცა, როგორც მკვლევარები ვარაუდობენ, პიტიუნტს ნავსადგომი ჰქონდა (ბრაუნდი, 2014:285). არსებობს მოსაზრება, რომ ანტიკურ ხანაში ფორტი ზღვასთან არხით იყო დაკავშირებული და ამ პატარა უბის ბოლოს ნავსადგომი უშუალოდ ფორტზე იყო მიშენებული. აეროფოტოგადაღების შედეგად გამოვლინდა ჩანართი ლაქები, რომლებიც ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს. გარდა ამისა, სათანადო ადგილზე გარღვეული ჩანს vicus-ის ის კედელი, რაც შესაძლოა, ასეთი არხის საჭიროებას პასუხობდა, აქვე გ.ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ შესაძლოა ნავსადგური ფორტიდან გარკვეული მანძილის დაშორებით მდებარეობდა (ლორთქიფანიძე, 1991:74).

ისევე, როგროც სებასტოპოლისს, პიტიუნტს, სულ ცოტა ერთი ავანპოსტი მაინც გააჩნდა. ეს ნაგებობა მდებარეობდა ფორტიდან ჩრდილოეთ-დასავლეთით 3 კმ მანძილზე, ინკიტის ტბის ნაპირზე. გათხრების შედეგად გამოვლინდა მრგვალი კოშკი, მასთან დაკავშირებული კედლის მცირე მონაკვეთი და განსაზღვრულია ფუნქციონირების თარიღი ახ.წ. II ს-დან (ან ცოტა უფრო ადრეც) ახ.წ. VI ს-მდე. ამ ძეგლის პიტიუნტის ფორტთან კავშირის დამადასტურებელია III ან IV საუკუნის კონტექსტში აღმოჩენილი დამღიანი აგურის ნაწილი ასოებით LEG, რაც შესაზლოა legio XV Apollinaris-ის კიდევ ერთ დამღას წარმოადგენდეს. არქეოლოგების ვარადუდით, ეს ავანპოსტი ზედამხედველობას უწევდა პიტიუნტში მდებარე ფორტის დასავლეთ მისადგომებს ბზიფის ქვემო წელის მიდამოებიდან აკონტროლებდა ნებისმიერ მოძრაობას ამ მიმართულებით და ამავდროულად თვით ტბასაც ფარავდა (აფაქიძე, 1975:59).

წყაროების მიხედვით დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ახ.წ. II საუკუნის 30-იან წლებში არსებობდა ოთხი სახელმწიფო გაერთიანება: ლაზების, აფშილების, აბაზგების და სანიგების. მათი წარმოქმნის პერიოდის შესახებ ქართულ ისტორიაგორაფიაში სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. ს.ჯანაშიას მიაჩნია, რომ აღნიშნული სამეფოები ჩამოყალიბდა არა უგვიანეს ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრისა, რომის ჩარევის გარეშე და ეს პროცესი დაკავშირებული იყო კოლხეთში მიმდინარე შიდა პროცესებს (ჯანაშია, 1949:210; 1952:213; შდრ. კეჭაყმაძე, 1961:12-15). ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ რომაელემბა ერთიანი კოლხეთის ნაცვლად მის ადგილზე ოთხი სამეფოს შექმნას შეუწყვეს ხელი რათა ადვილი ყოფილიყო მათთვის ამ ,,სამეფოების'' მართვა (ჯავახიშვილი, 1951:174). მელიქიშვილის მოსაზრებით კი ეს პროცესები დაკავშირებული იყო ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე მთიელ ტომთა ჩამოსახლებასთან (მელიქიშვილი, 1970:547:148).

მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ II საუკუნის დასაწყისში იმპერატორმა ტრაიანემ, აღმოსავლური ლაშქრობის მზადების პერიოდში, კოლხეთის ტერიტორიაზე არსებულ ცალკეულ ტომობრივ გაერთიანებათა მმართველებს მისცა ფორმალური დამოუკიდებლობა, რითაც საფუძველი ჩაეყარა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის

ტერიტორიაზე ცალკეული ,,სამეფოებს'' და ასე გაჩნდნენ II ს დასაწყისში კოლხეთში ცალკეული პოლიტიკური გაერთიანებები: მაკრონ-ჰენიოხების, ლაზების, აფშილების, აბაზგებისა და სანიგების ,,სამეფოები''. საინტერესოა, ის ფაქტი, რომ ამ პერიოდში კოლხეთის ზღვისპირეთის ერთი ნაწილი იბერიის სამეფოს კონტროლს ემორჩილება. ფლავიუს არიანეს ცნობით, მაკრონ-ჰენიოხებსა და ლაზებს შორის მოსახლე ძიდრიტები ფარსმანის, იბერიის სამეფოს ემორჩილებოდნენ (ლომოური, 1968:36-37; ფიფია, 2000:64-74; 2005:36-38).

როგორც ჩანს, რომსა და აღმოსავლეთ შავიზღვისრპირეთს ცალკეულ ,,სამეფოებს'' შორის II ს დასაწყისიდან ჩამოყალიბებული ეს ურთიეთობა ორივე მხარისთვის მისაღები იყო. რომის ,,მეგობარ'' და ,,მოკავშირე'' მმართველების ძირითად მოვალეობას წარმოადგენდა მათ ,,სამეფოში'' წესრიგის დამყარება და საჭიროების შემთხვევაში რომაული არმიისათვის სამხედრო დახმარების გაწევა. გ.მელიქიშვილის ვარაუდით, რომაული გარნიზონების კოლხეთის სანაპიროზე ყოფნა და იმპერიასთან გარკვეული პოლიტიკური დამოკიდებულების შენარჩუნება ხელსაყრელი იყო ამ ახალი გაერთიანებების მმართველებისთვისაც, რადგან თავისი სამსახურის სანაცვლოდ ამ ,,მეფეებს'' შეეძლოთ საჭიროების შემთხვევაში რომის დახმარების იმედი ჰქონოდათ მათი ძალაუფლების შესანარჩუნებლად (მელიქიშვილი, 1970:522-553). კოლხეთის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ყველა ეს ,,სამეფო'' ჩართული იყო რომის აღმოსავლეთის საზღვრების ერთიან სასაზღრო-თავდაცვით სისტემაში და კაპადოკიის მთავარსარდლობას ემორჩილებოდა. ამის დასტურია არიანეს მოგზაურობა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, სადაც ის ადრიანეს აწვდის ინფორმაციას ამ ,,სამეფოებისა'' და მეფეების შესახებ. არიანსევე ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ რომაელთა უშუალო მფლობელობაში ექცეოდა კოლხეთის სანაპირო ზოლი.

ახ.წ. II სს ყველაზე ძლიერი რომაული გარნიზონი იდგა მაკრონ-ჰენიოხთა ტერიტორიაზე, გონიო-აფსაროსის ციხესიმაგრეში. ციხის ძირითადი ფუნქცია უნდა ყოფილიყო კავკასიის გადმოსასვლელების კონტროლი და უკვე ძიდრიტთა ოლქში დამკვიდრებული იბერიის მხრიდან მოსალოდნელი აგრესიის შეჩერება (შპაიდელი,

1985:136). ამავე თავდაცვით სისტემაში ჩართული იყო აგრეთვე ფაზისის და სებასტოპოლისი ციხე, ხოლო II ს შუახანებიდან პიტიუნტიც.

ახ.წ. II საუკუნის მეორე ნახევარში კოლხეთის ტერიტორიაზე არსებული სამეფოების ჩამოყალიებებისა და შემდგომ მათი დაპირისპირების შედეგად დაწინაურდა ლაზეთის სამეფო და მისი საზღვრები ჩრდილოეთით გაფართოვდა (მელიქიშვილი, 1970:552; ლომოური, 1968:40).

რომაელები ცდილობენ მოკავშირე ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობების დამყარებას, რათა მათ დაეცვათ მათი სამფლობელოები მომთაბარეთაგან და საჭიროების შემთხევაში გამოიყენებინათ მოკავშირე ძალები (ინაძე, 1955:314). ამ კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა იბერიასთან დამოკიდებულება, რომელსაც დიდი როლი ენიჭებოდა პართიისა და სომხეთის წინააღმდეგ მოქმედებებში. იბერია, რომელიც ჯერ კიდევ ძვ.წ I საუკუნეში განვითარების მაღალ საფეხურზე იდგა, პომპეუსის შემოსვლის დროს წინააღმდეგობა გაუწია რომაულ არმიას, ხოლო კოლხეთისგან განსხავებით ის დარჩა რომის ,,მეგობარ'' სახელმწიფოდ, რომელიც ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას. რომი ცდილობდა შეენარჩუნებინა მოკავშირე-მეგობრული ურთიერთოები იბერიასთან, მითუმეტეს იმ ფონზე, როდესაც იბერია ფლობდა დარიალის ხეობას და იყენებდა თასვისი ნება-სურვილის მიხედვით. კავკასიის ქედი ბუნებრივი წინაღობა იყო ჩრდილოკავკასიური მომთაბარე-მეომარი ტომებისთვის. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებო ოყო მამისონის, დარიალისა და დერბენტის გადასასვლელები. რომისთვის ეს გადასასვლელები საციცოცხლოდ მნიშვნელოვანი მცირე აზიის პროვინციებში სიმშვიდის შესანარჩუნებლად (ფიფია, კიკნაძე, 2008:5). სწორედ ამ ურთიერთობათა განმტკიცებას ემსახურება ჯერ კიდევ ვესპასიანეს მიერ კეისრის მეგობარ და რომაელთა მოყვარულ იბერთა მეფისა და ხალხისათვის მცხეთის კედლების გამაგრება (ყაუხჩიშვილი, 1951:234; ინაძე, 1955:320, წერეთელი, 1958:5-20). უნდა აღინიშნოს, რომ იბერია რომის იპერიის პერიოდში საჭიროების შემთხვევაში წინააღმდეგობასაც უწევდა რომს, მაგრამ მიუხედავად ამისა, რომი ყოველთვის ცდილობდა მასთან თანმშრომლობის დამყარებას, რადგან სწორედ იბერია იყო ერთ-ერთი მნიშნველოვანი ძალა სომხეთსა და პართიასთან მიმდინარე პროცესების

მიმართებაში. ის იყო რომის დასაყრდენი რეგიონში, რომელსაც ყოველთვის ყავდა თავისი ძლიერი მეფე და შემდგარი იყო როგროც დამოუკიდებელი სახელმწიფო.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაულ სამხედრო ძალებს, ადგილობრივ მეფეებსა და სხვადასხვა გაერთიანებას შორის ურთიერთობათა ჩამოყალიბება და ორგანიზება კაპადოკიის გამგებლის საქმე იყო. მთელი II ს მანძილზე კოლხეთის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ ერთულებსა და რომს შორის მშვიდობიანი ურთიერთობა სუფევდა, ვიდრე II ს მიწურულამდე, როცა იმ დროს კოლხეთის ტერიტორიაზე ყველაზე ძლიერმა ლაზების ,,სამეფომ'', რომელსაც როგორც ჩანს უკვე ხელს უშლიდა რომზე დამოკიდებულება, ისარგებლა 193-197 წწ რომში მიმდინარე საქმოლაქო ომით და სცადა იმპერიის გავლენისაგან გათავისუფლება, მაგრამ იმპერატორმა სეპტიმიუს სევერუსმა (193-211 წწ) იარაღის ძალით მოახერხა მისი დამორჩილება. ამის შემდეგ რომის პოლიტიკური გავლენა უფრო გაძლიერდა მთლინად აღმოსავლეთ შავიზღვიპირეთში, თუმცა ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. უკვე III საუკუნიდან რომის იმპერიაში დაწყებულმა პოლიტიკურმა კრიზისმა რომაულ სამყაროში რადიკალური ცვლილებები მოახდინა, რასაც შემდგომ რომის იპერიის დაშლა მოჰყვა. სწორედ ამ რთულ პოლიტიკურ პროცესებს დაემთხვა გოთების ლაშქრობა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში 256-257 წელს, რომელსაც რომის გავლენისა და ბატონობის ფაქტობრივი დაცემა მოჰყვა, რითაც პონტო-კავკასიის რომაულმა სასაზღვრო-თავდაცვითმა სისტემამ ფუნქციონირება დროებით შეწყვიტა. საფიქრებელია, რომ სწორედ ზემოთ აღწერილი მოვლენებიდან გამომდინარე აიხსნება ის ფაქტი, რომ რომალები ხელს უწყობენ ლაზეთის გაძლიერებას. მათ უმეტეს, რომ ახ.წ. III საუკუნის 70-იან წლებამდე შავ ზღვაზე ძირითადად გოთები ბატონობენ (ჭუმბურიძე, 2006:38). არ უნდა დაგვავიწყდეს სასანური ირანის ფაქტორიც, რომელიც მის წინამორბედ პართიაზე გაცილებით უფრო აგრესიული საგარეო პოლიტიკით გამოირჩეოდა.

რომში მიმდინარე მოვლენები აისახებოდა მის მიერ დაპყრობილ პროვინციებზეც. ახ.წ. IV ს რომში მნიშვნელოვანი ცვლილებებით ხასიათდება, რასაც წინ ერთვოდა ის პროცესები რომელიც, უკვე II-III სს გამოიკვეთა, იმპერიის აღმოსავლეთ

და დასავლეთ ნაწილს შორის განსხვავება. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით დიოკლეტიანემ (284-305 წწ) გადადგა. მის დროს იპერია ორ ნაწილად გაიყო. თითოეულს სათავეში ედგა უზენაესი ხელისუფალი - ავგუსტუსი და მათი მოადგილეები - კეისრები. შემდგომი ნაბიჯი უკვე კონსტანტინე I (306-337 წწ) დროს გადაიდგა, როდესაც მან დაარსა ახალ დედაქალაქი ბოსფორის ნაპირას, ძველ ბერძნულ ქალაქ ბიზანტიონში, რომლესაც შემდგომ კონსტანტინეპოლი ეწოდა. მისი დაარსებით აღმოსავლეთ პროვინციებს გაუჩნდათ ერთიანი პოლიტიკური და კულტურული ცენტრი. მიუხედავად ამისა, რომ იმპერია საკმაო ხანს ინარჩუნებდა ფორმალურ ერთიანობას, რომელიც IV საუკუნის ბოლოს დასრულდა, როდესაც იმპერატორმა თეოდოს I სიკვდილის წინ იმპერია თავის ვაჟიშვილებს - არკადისა და ჰონორიუსს გაუყო. ამის შედეგად აღმოსავლეთ პროვინციები ცალკე სახელმწიფოდ - აღმოსავლეთ რომის იმპერიად ჩამოყალიბდა. სწორედ აღმოსავლეთ იმპერიის, იგივე ბიზანტიის შემადგენლობაში მოექცა კოლხეთიც.

თუ III საუკუნესა და IV საუკუნის პირველ ნახევარში რომი ახერხებდა სასანური ირანისთვის წინააღმდეგობის გაწევას, IV საუკუნის მეორე ნახევრიდან დასავლური იმპერიის პოზიციები აღმოსავლეთში მნიშვნელოვნად შესუსტდა. საბოლოოდ ბიზანტია იძულებული გახდა ეცნო სპარსთა გავლენა სომხეთში. ირანი, ფაქტიურად, ქართლშიც ბატონობდა, რაც აღიარებულ იქნა 387 წლის ზავის საფუძველზე.

ასეთ ვითარებაში არ შეიძლებოდა არ შეცვლიყო ურთიერთბა ლაზიკასთან, რადგან რეალურად მხოლოდ ის რჩებოდა აღმოსავლეთ რომის საყრდენი, ამასთანავე ბიზანტიის მდგომარეობას ართულებდა მომთაბარე ტომები, ჯერ გოთები, IV საუკუნის 70-იანი წლებიდან კი ჰუნები. ამიტომაც, ბიზანტიას აღმოსავლეთში ვასალზე მეტად შედარებით ძლიერი დასაყრდენი სჭირებოდა ლაზიკის სახით. ამ დროს რომი იძულებულია არა მარტო შეურიგდეს ლაზეთის სამეფოს არსებობას, არამედ ხელი შეუწყოს კიდეც მის გაძლიერებას, რათა ის ყოფილიყო დამცავი ზოლი ჰუნებთან და გოთებთან ბრძოლაში.

IV საუკუნიდან ლაზიკის ტერიტორიაზე თვით მის ზღვისპირა სიმაგრეშიც კი აღარ იდგნენ რომაული გარნიზონები. ბიზანტიელი მწერლები გარკვევით წერდნენ, რომ ლაზები არც ხარკს იხდიდნენ და არც სხვა რამეში ემორჩილებოდნენ რომალებს, გარდა იმისა, რომ მტკიცედ იცავდნენ საზღვრებს, რათა ჰუნები რომაელთა ტერიტორიაზე არ შეჭრილიყვნენ. ლაზთა მეფის რომზე დამოკიდებულება მხოლოდ იმით შემოიფარგლებოდა, რომ მას ტახტზე იმპერატორი ამტკიცებდა (ბრაუნდი, 2014:418).

ამრიგად, რომს კავკასიაში ძირითადად ამოძრავებდა ეკონომიკურ-სტრატეგული ინტერესები და აქ არსებული ქვეყნების თავისი გავლენის ქვეშ მოქცევა, რითაც მის ხელში აღმოჩნდებოდა სავაჭრო გზები (გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი, 2005:58).

კოლხეთი, იბერია და ალბანეთი რომისთვის მიმზიდველი იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ აქ გადიოდა შორეულ აღმოსავლთან, ჩინეთთან, ინდოეთთან და ცენტრალურ აზიასთან დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები (ჯანაშია, 1987:62). გარდა ვაჭრობისა, მნიშნველოვანი იყო კოლხეთსა და იბერიაზე გამავალი ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელ გზები, რომელსაც სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ, ამ გადასასვლელები გზებისა და უღელტეხილების მფლობელს შეეძლო თავისი ინტერესების შესაბამისად გამოეყენებინა მომთაბარე ტომები, როგორც სამხედრო მოკავშირედ, ასევე მტრის ტერიტორიის დასარბევად (ჯანაშია, 1952:182; მელიქიშვილი, 1970:502; გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი, 2005:58).

როგროც ავღნიშნეთ, როგორც რომის იმპერიისთვის, ასევე შემდგომში ბიზანტიის იმპერიისათვის, ლაზეთი (კოლხეთი) მეტად მნიშვნელოვან ტერიტორიას წარმოადგენდა, რადგან ის იყო ტერიტორია, რომლიც იმპერიის თავდაცვით ზოლს წარმოადგენდა, ჩრდილოეთით მცხოვრებ მომთაბარე ტომებისაგან და მეორეს მხრივ შუალედური რგოლი იყო ცენტრალურ აზიასა და უფრო შორეული რეგიონებისკენ მიმავალ მაგისტრალებზე.

5. საფორტიფიკაციო ნაგებობები

რომაელების მიერ კოლხეთის დაპყრობის შემდეგ, უკვე ახ.წ I საუკუნის 70-იანი წლებიდან მათ დაიწყეს თავიანთი გარნიზონების ჩაყენება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, რისთვისაც რა თქმა უნდა საჭიროდ იყო შესაბამისი ციხეების დაარსება.

ციხეები განალაგეს აღმოსავლეთ შვიზღვისპირეთში, ვ.ლექვინაძემ ამ თავდაცვით სისტემას ,,პონტოს ლიმესი'' უწოდა. ლექვინაძეს მიაჩნდა, რომ რომაულ თავდაცვით სისტემას აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში საფუძველი ჩაეყარა იმპერატორ ვესპასიანეს დროს (70-79 წწ) და დაუკავშირა მის მიერ აღმოსავლეთის სასაზღვრო ზოლის მოდერნიზაცია-რეორგანიზაციის საკითხს (Леквинадзе, 1969:76). ვექსპასიანემ გაზარდა რომაული ლეგიონების რიცხვი კაპადოკიაში და განლაგა დამატებითი ლეგიონები მელიტენასა და სათალაში. სწორედ ამ ღონისძიებებს დაუკავშირა ლეკვინაძემ ე.წ. ,,პონტოს ლიმესის'' ჩამოყალიბება, თუმცა, აქვე ისიც აღნიშნა, რომ სახელწოდება ,,ლიმესი'' ამ რეგიონისათვის პირობითია, რადგან აქ განლაგებული ციხესიმაგრეთა სისტემა თავისი სპეციფიკით განსხვავდება ტიპიური რომაული ,,ლიმესებისაგან'', რომლის ქვეშაც იგულისხმება რომის იმპერიის საზღვრების დაცვის ორგანიზაცია: ერთმანეთთან სპეციალური კომუნიკაციებით, კეთილმოწყობილი გზებით, საყარაულო რაზმებით, შუალედური ფორტებით დაკავშირებული თავდაცვითი სისტემა. ასევე მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ შესაბამის ლიტერატურაში აღმოსავლეთ საზღვართან მიმართებაში ტერმინი ,,ლიმესი'' არ გამოიყენებოდა, რადგან ამ რეგიონის თავდაცვითი სისტემა გამოირჩეოდა გარკვეული თავისებურებებით. მიუხედავად ამ შენიშვნებისა, მკვლევარმა მიზანშეწონილად მიიიჩნია აღმოსავლეთ შავიზღვიპირეთში განლაგებული რომაული გარნიზონების სისტემისათვის ეწოდებინა ,,პონტოს ლიმესი''. ვარაუდს პონტოს ლიმესის შექმნის შესახებ იზიარებენ სხვა მკვლევარებიც (ლორთქიფანიძე, 1991:43; მამულაძე, კახიძე, ხალვაში, 2001:163).

ნ. ლომოური ეჭქვეშ აყენებს ,,პონტოს ლიმესის'' არსებობას. ის მიიჩნევს, რომ არ არსებობს საფუძველი იმისა, რომ რომაელებმა შექმნეს კოლხეთში მუდმივმოქმედი

საფორთიფიკაციო ნაგებობათა სისტემა, რომელიც I-VI საუკუნეებში ფუნქციონირებდა (ლომოური, 1981:217).

,,პონტოს ლიმესის'' საკითხს ეხება მ.შპაიდელიც და ის ამ სისტემას ,,კავკასიის საზღვარს'' უწოდებს, რომელიც შავიზღვიპირას განლაგებული რომაულ ციხესიმაგრეთა ჯაჭვის ფუნქციას წარმოადგენდა და მიმართული იყო ადგილობრივი ტომების მეკობრეობის ალაგმვისაკენ, ვაჭრობის უსაფრთხოებსაკენ და რომის ძალაუფლების განმტკიცებისაკენ იბერიასა და ალბანეთში (შპაიდელი, 1985:134). მ. შპაიდელის აზრს იზიარებენ ო. ლანჩავა და თ. თოდუაც, რომლებიც ასევე ამ საფორტიფიკაციო ხაზს ,,კავკასიის საზღვრად'' მიიჩნევენ (ლანჩავა, 1996:34; 2007:83; თოდუა, 2003 :11-12).

აფსაროსის ციხე მდებარეობს სოფელ გონიოში, ბათუმიდან 15 კილომეტრის დაშორებით. ოთხკუთხა ციხისგან, რომელიც რომაელებმა ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარში ააშენეს, დღემდე შემორჩენილია დასავლეთის და აღმოსავლეთის კარიბჭე და 22 კოშკი, კიბეები, რომლითაც ციხის გალავნის ზედა სართულზე შესაძლებელია ასვლა (ტაბ, I, II). ციხის კედლების სიმაღლე 4-5 მეტრს შეადგენს (Kakhidze, 2008). ციხის შიდა ტერიტორიაზე განლებული იყო სხვადსხვა საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა, რომლის არქეოლოგიური შესწავლა აქტიურად დაიწყო 1995 წლიდან და დღემდე გრძელდება.

ციხე წარმოადგენდა რომაული სამხედრო გარნიზონის სადგომს, სადაც სამხედროები ეწეოდნენ საზღვრის დაცვას და აკონტროლებდნენ სტრატეგიულ გზებს, მათ შორის საზღვაოსაც. ამავადროულად მათვის ციხე წარმოადგენდა საცხოვრებელ ადგილს, სადაც ისინი ატარებდნენ თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებას. შესაბამისად ციხე აღჭურვილი უნდა ყოფილიყო ყველა იმ საჭირო შენობებითა და ატრიბუტიკით, რომელიც სჭირდებოდა სამხედრო ბანაკის ფუნქციონირებისათვის. ციხეში განლაგებული იყო როგორც სამხედრო, ასევე საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები.

საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებიდან ყურადღებას იქცევს სამხრეთ კარიბჭესთნ ახლოს 21-ე კოშკის წინ აღმართული მონუმენტური ნაგებობების ნაშთები.

არქეოლოგებმა ის გარნიზონის ყაზარმად მიიჩნიეს (ტაბ, IV). მისი სიგრძე 27 მ, სიგანე 8 მ, შემორჩენილი კედლების სიმაღლე 1,7-1,4 მ. ის ე.წ. ორფოსტატური ტექნიკით ნაშენებ ნაგებობას წარმოადგენს. მისი საძირკველი ამოყვანილია დიდი ზომის ნაწილობრივ დამუშავებული ქვებით. მასზე გადადის თიხის ხსნარზე ნაგები ქვის ცოკოლი. შენობის კედლები და სახურავის კარკასი ხის უნდა ყოფილიყო. სახურავად კრამიტია გამოყენებული. შემორჩენილია საძირკველი, სარდაფი, ჰიდრავლიკურხსნარიანი თუ აგურით მოგებული იატაკის ცალკეული მონაკვეთები. ნაგებობის აღმოსავლეთ ნაწილში ყაზარმას ჰქონია იატაკქვეშა გათბობა. ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთში, სასადილო უნდა ყოფილიყო თავისი სამზარეულოთი. ჩრდილო-აღმოსავლეთის დიდი ნაწილი მოსაცდელ დარბაზს ეკავა. აქ, in situ აღმოჩნდა ოთხი ფოსოიანი ქვის ბაზა, რომელზეც ხის სვეტები ყოფილა აღმართული. ქუჩის მხარეს, ე.ი აღმოსავლეთ ნაგებობის მთელ სიგრძეზე მიუყვებოდა 4 მ სიფართის გალერეა. ეზოსა და ქუჩის მონაკვეთი წვრილი ხრეშით ჩანს მოპირწკლულ-მოტკეპნილი. ნაგებობა, სავარაუდოდ, ორსართულიანი უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, ზედა სართული მთლიანად, ხოლო პირველის გარკვეული ნაწილი საძინებლებს ეკავა (კახიძე, მამულაძე, 2004:41, სურ.1, 9,10).

,,აბანოთუბანზე'', როგორც არქეოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარსა თუ II ს დამდეგისთვის მოქმედებდა ორი აბანო (ტაბ. III). პირველი საკმაოდ დიდი ზომის, მეორე კი უფრო პატარა (შესაძლოა გარნიზონის უფროსის). ამ უკანასკნელს რომაული ხანის შემდგომ, უკვე შეუწყვეტია ფურნქციონირება (კახიძე, მამულაძე, 2004:10, სურ.9,10).

დიდი აბანოს სიგრძეა 22 მ, სიგანე კი 11,5 მ. შედგებოდა რომაული თერმებისათვის დამახასიათებელი სხვადსახვა განყოფილებისაგან. პირველი ესაა საქვაბე ე.წ. პრეფურნიუმი, რომელსაც ჰქონია წინა ეზო. კონსტრუქცია დიდი ზომის დამუშავებული თლილი ქვებითაა ნაგები. ის შემდგომ გადაუკეთებიათ. რომაულ ხანაში, მონუმენტური საცეცხლე საქვაბე განყოფილების იატაკი დაგებული ყოფილა ქვის სქელი (10-11 სმ) ფილებით. საქვაბის აღმოსავლეთი კედელი მოპირკეთებულია მომრგვალებულპირიანი გათლილი ქვებით. ასევე უნდა ყოფილიყო საქვაბის დასავლეთ

კედელიც, მაგრამ დროთა გნმავლობაში ცეცხლის ზემოქმედების შედეგად ისინი ჩამოცვივდა და კედელზე მხოლოდ კირხსნარის ფენაა შემორჩა. საქვაბიდან თითოეული განყოფილების სარდაფში შედიოდა საგანგებოდ მოპირკეთებული გვირაბი, რომლითაც ხდებოდა ცხელი ჰაერის გადატანა. იატაკის ქვემოთ მის გასამაგრებლად გამოყენებული იყო გათლილი ქვის სვეტები. იატაკის ქვემოთ ,,სარდაფის'' სიმაღლე 15 სანტიმეტრს შეადგენდა. სარდაფიდან მილში ცხელი ჰაერი ოთხკუთხა მოყვანილობის ნიშების საშუალებით ვრცელდებოდა (კახიძე, მამულაძე, 2004:12, სურ. 9,10).

საქვაბეს მოსდევს ცხელი განყოფილება, ე.წ. კალდარიუმი. იგი გაყოფილია ორ ნაწილად: აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად. ორივე განყოფილება კვადრატულია. ცხელი აბანოს დასავლეთ განყოფილებას გათბობა ჰქონდა სამხრეთ, დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებში. აქ შემორჩენილია ნიშები, სწორედ სარდაფში დატოვებული ამ ოთხკუთხა მოყვანილობის ნიშების საშუალებით ვრცელდებოდა ჰაერის ცხელი მასა კედელში. აბანოს აღმოსავლეთი და დასავლეთი განყოფილება ერთმანეთთან დაკავშირებულია კედელში დატოვებული ოთხკუთხა სივრცით, რომლის სიმაღლე 85 სმ, სიგანე 55 სმ, კედლის სისქე კი- 64 სმ (კახიძე, მამულაძე, 2004:13, სურ.9.10).

ცხელ აბანოს მოსდევს თბილი აბანო ე.წ. ტეპიდარიუმი. ესეც ორი განყოფილებისაგან შედგება. კალდარიუმის იატაკქვეშა განყოფილება ტეპიდარიუმთან, სავარაუდოდ, ოთხკუთხა მოყვანილობის სივრცით უნდა ყოფილიყო დაკავშირებული (სიგანე 1,05 მ, სიმაღლე 0,65 მ). აქედან ვრცელდებოდა ჰაერის ცხელი მასა. თავზე ადევს ოთხკუთხა მოყვანილობის გათლილი ფილა. ცხელი აბანოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში დატანებული კარის საშუალებით შესაძლებელი იყო თბილი აბანოს დასავლეთ განყოფილებაში გადასვლა (კარის სიფართე 0,6 მ). აქაც ცხელი და თბილი აბანოები დაკავშირებული არის კარით (სიმაღლე 1,9 მ, სიგანე 0,65 მ). აღმოსავლეთის განყოფილების სარდაფის ზომები (2,85 X 2,75 მ) ემთხვევა წინა განყოფილების ზომებს. ამ განყოფილების ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში in situ დგას ქვის კონუსური ფორმის სვეტი, მკვლევართა აზრით თავის დროზე იატაკზე დაგებული აგურების საყრდენად უნდა ყოფილიყო გამოყენებული (კახიძე, მამულაძე, 2004:13, სურ.9.10).

ცივი განყოფილების ე.წ ფრიგიდარიუმის მხოლოდ საძირკვლის კედლის კონტურები შემორჩა. ფრიგიდარიუმისა და აპოდიტერიუმის (გასახდელის), გამოყოფა ჭირს. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, გასახდელის ფუნქციას დასავლეთის კედელზე მინაშენი ასრულებდა.

ტეპიდარიუმს დასავლეთ კედლის მთელ სიგრძეზე მიშენებული აქვს კიდევ ერთი განყოფილება, რომლის იატაკი კირხსნარით შემტკიცებული აგურებითაა მოგებული. მინაშენის ზომებია: 4,2 X 2,3 მ. არქეოლოგების ვარაუდით, ეს განყოვილება გასახდელი უნდა ყოფილიყო (კახიძე, მამულაძე, 2004:15).

დიდი აბანოს გვერდით მდებარეობდა პატარა აბანო, რომელსაც არქეოლგოებმა პირობითად ,,გარნიზონის უფროსის'' აბანო უწოდეს. აბანოებს შორის გამოჩნდა კანალიზაციის სისტემა, რომელიც მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. მასზე ლატრინა (ტუალეტი) იყო დაშენებული.

პატარა აბანოს საქვაბის წინ გამოკვეთილი ნაგებობების ნაშთები არ ჩანს. 31-ე კვადრატში დაფიქსირებულია ერთ რიგად განლაგებული ხუთი ქვა. კალდარიუმის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთნ ერთიმეორის მოშორებით მიუდგამთ ორი მოზრდილი ოთხკუთხა მოყვანილობის დამუშავებული ქვა. ცეცხლის ხანგრძლივი მოქმედების გამო დაშლის პირას არიან მისულნი. კონსტრუქციულად ისინი სამხრეთ კედელთან არ ჩანან დაკავშირებული. პირველი კუთხის ქვა აგურზეა დაშენებული. ქვების წინ, სამხრეთის მიმართულებით, in situ ორ რიგადაა ჩაწყობილი 9 აგური. მათი ზომებია: 40x25 სმ. სისიქე 5-6 სმ. აქვეა გარკვეული სისტემით ჩალაგებული პატარა ზომის ქვები. არქეოლოგები არ გამორიცხავენ, რომ ეს ადგილი აბანოს წინა მოკირწყლული ეზოს მონაკვეთის ნაშთი იყოს (კახიძე, მამულაძე, 2004:15, სურ. 9.10).

აფსაროსის ,,გარნიზონის უფროსის'' აბანოს მხოლოდ ცხელის აბანოს ორი განყოფილება ჰქონია. პირველი აღმოსავლეთით მდებარე განყოფილება, უფრო მოზრდილია; აქვს კვადრატის მოყვანილობა; სარდაფის იატაკი მთლიანად მოკირწყლული ყოფილა.

კალდარიუმის იატაკის შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით ჩანს, რომ იატაკქვეშა სარდაფის სიმაღლე 0,7 მ ყოფილა. საყრდენად აქაც გამოყენებულია შედარებით უხეშად დამუშვებული ზედაპირის მქონე ქვის სვეტები.

რაც შეეხება აბანოს კედლების გათბობის სისტემას, მცირე დაშორებით კედლებში ჩაშენებული ყოფილა ფართო დიამეტრის მქონე (მილებისთვის დატოვებული სივრცე 20-22 სმ) თიხის მილები. ყველა მათგანში ოთხკუთხა მოყვანილობის ღია ნიშების საშუალებით (სიმაღლე 45 სმ, სიფართე 16 სმ). საცეცხლე განყოფილებიდან ვრცელდებოდა ჰაერის ცხელი მასა. სამხრეთ კედლის დასავლეთ მონაკვეთში შემორჩენილია თვით კედელში ჩაშენებული მილების ფრაგმენტები. კალდარიუმს სამხრეთი კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთზე წყვილი მილი ჰქონია, ე.ი. აქ ყოველ 1 მ თითო მილი ჰქონია. სამ-სამი მილი ჰქონია აღმოსავლეთ და ჩრდილო კედლებს, ორი დასავლეთს.

მეორე განყოფილება უფრო პატარა ზომისაა. დასავლეთი კედლის სიგრძე 3,2 მ, სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლების 2,3 მ. სარდაფის ფართობია 1,85 X 1,6 მ. აქ უფრო მეტადაა შემორჩენილი ქვის სვეტები და მათი ფრაგმენტები. ერთ-ერთი მათგანი დგას სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში (მისი სიმაღლე 0,63 მ). მეორე ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან ახლოს (სიმაღლე 0,7მ, დმ. 23x25 სმ). სარდაფის იატაკი ქვებით ყოფილა მოკირწყლული. მათ შორის ჩამჯდარია ჭვარტლის შავი ფენა. განყოფილება აღჭურვილია კედლის გათბობის სიტემით. ჩრდილო კედელში ჩაშენებულია-2, დასავლეთ კედელში - 3, სამხრეთი კედლის სამხრეთ ნაწილში კი 1 მილი.

მეორე სარდაფის სიმაღლეა 0,7 მ. კედლების სისქე 0,6-0,7 მ. დასავლეთი კედლის ჩრდილო გაგრძელებას მიუყვება გვიანდელი მინაშენი. მისი ფუნქციების გარკვევა მკვლევარებს უჭირთ (კახიძე, მამულაძე 2004:16, სურ. 9.10).

ტერიტორიაზე ყველაზე მძლავრი კულტურული ფენა ახ.წ. I-III სს თარიღდება. მონაცემების მიხედვით მკვლევარები, ორი ქვეპერიოდს გამოყოფენ. ყველაზე ადრეულს ძვ.წ. I ს ბოლოთი და ახ.წ. II ს დამდეგით ათარიღებენ. ამ პერიოდის ნაშთებს განეკუთვნებიან წყალგაყვანილობის ადრეული სისტემები, ნაგებობების ნაშთები და

თანადროული მასალა. კიდევ უფრო მრავალფეროვანია ახ.წ. II-III საუკუნის კულტურული ფენა, რომელშიც წარმოდგენილია სხვადასხვა დანიშნულების შენობათა ნაშთები, წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემები. სასმელ წყლად იყენებდნენ ციხის სამხრეთით, მთებში მდებარე წყაროს. აუგიათ დიდი ზომის აუზი, რომლის ფასადი გათლილი ქვებითაა მოპირკეთებული, ხოლო შიდა სივრცე კირხსანრითაა შელესილი. სათავე ნაგებობის აუზიდან გაუყვანიათ მსხვილი მილების სამი რიგი, რომელიც შედიოდა სამხრეთ კარიბჭის ტერიტორიაზე. წყლის მილებითაა დატოტილი, როგორც შიდა, ასევე ციხის გარე ტერიტორიაც (კახიძე, მამულაძე, 2004:66, სურ.1,6).

გათხრების შედეგად არქეოლოგებმა აღმოაჩინეს პრინციპიას ნაშთებიც (ტაბ. V, VI) -არქიტექტურული დეტალებით, წყალგაყვანილობის მილებით და არქეოლოგიური არტეფაქტებით. გამოიკვეთა 190 სმ სიფართის კედელი, წყობაში დუღაბია გამოყენებული. ტერიტორიაზე აღმოჩენილია გვერდაკეცილი დაბალქიმიანი კრამიტების ფრაგმენტები. შენობა ახ.წ. II საუკუნით თარიღდება, რაც დგინდება ნივთიერი მასალით, განსაკუთრებით კი ქვის წყობის ზედა დონეზე აღოჩნენილი ახ.წ. II საუკუნის კესარიული დრაქმა (ხალვაში, 2002:136, ტაბ. I, II, III,XV, XVI, XVII, XVIII).

პრინციპიის გვერდით მდებარე შენობაზე ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ნაგებობა გამოიყენებოდა სხვადსხვა პერიოდში, სხვადსხვა ფუნქციით. ამის მანიშნებელია იატაკის ორი ფენა. პირველი ფენა 5 სმ სისქისაა, შედგენილია ღია ყავისფერი მკვრივი ჰიდრავლიკური ხსნარისაგან. იატაკის მომზადებაში კერამიკის ფრაგმენტებიცაა გამოყენებული. აღმოჩენილი მასალების მიხედვით ახ.წ. I-III სს თარიღდება. ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა კრამიტის ფრაგმენტები, ამათგან ერთი ღარიანია, დანარჩენი კი სოლენის ტიპისაა. ნაგებობის დასავლეთ კედელში ჩაშენებული, მზიდი ბოძებისთვის განკუთვნილი ფოსოიანი კვადრები, რაც მკვლევარებს მიანიშნებს, რომ ნაგებობა ოთხივე მხრიდან ღია იყო და გადახურული ყოფილა კრამიტით. მონაცემების მიხედვით იატაკი განეკუთვნება ნაგებობის ადრეულ (პირველ) ეტაპს, რაც მასალების მიხედვითაც დასტურდება და დაგებულია არა უგვიანეს ახ.წ. II საუკუნისა, შესაბამისად ამავე პერიოდშია აგებული ნაგებობაც. იატაკის ზედა ფენა კი III საუკუნით თარიღდება. არქეოლოგებს უჭირთ

შენობის დანიშნულების განსაზღვრა, მაგრამ საინტერესოა სამხრეთ კედელთან აღმოჩენილი, ზუსტად იატაკის დონეზე ნაპოვნი ბრინჯაოს ქანდაკების შუა ან უსახელო თითის ფრაგმენტი, რომლის სიგრძე 6,5 სმ-ია.[7] ნატურალისტურადაა გამოკვეთილი ფრჩხილი და ნუნები. სახსრები ნაჩვენებია ორი ჰორიზონტალური შტრიხით. ამ მონაპოვარზე დაყრდნობით მკველავერები ვარაუდობენ, რომ ნაგებობის შიდა ინტერიერში გამოვლენილ ქვის ბაზებზე ბრინჯაოს ქანდაკებები იდგა. ამავე ტერიტორიაზე, 1968 წელს, რომაული ხანის კულტურულ ფენაში ნაპოვნია ბრინჯაოს მცირე პლასტიკის ნიმუში - ხელის მტევანი (ხალვაში, 2002:140).

აფსაროსის სამხრეთ კარიბჭესა და ე.წ. აბანოთუბანზე, კარგადაა შემორჩენილი წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემა, საფორთიფიკაციო და საცხოვრებელი შენობის ნაშთები.

სამხრეთ კარიბჭის წინ 1969 წელს განხორციელებული არქეოლოგიური სამუშაოების დროს ნაწილობრივ გაიწმინდა წყალგაყვანილობის სისტემა (ტაბ. VII, VIII), რომლის დროსაც 0,85 სმ სიღრმეზე გამოჩნდა საკმაოდ მასიური მსხვილი მილებისგან გაკეთებული რომაული ხანის წყალგაყვანილობის ორი მწკვრივი, რომელიც ზედ კარიბჭის ზღურბლთან წყდებოდა (კახიძე, მამულაძე, ებრალიძე, 2002:44, ტაბ. I,II,II,IV,V).

წყალგაყვანილობის სისტემისთვის, წყლის სათავიდან გამოყვანილი ყოფილა საკმაოდ დიდი ზომის მილების სამი რიგი. კარიბჭემდე მოდის ორი რიგი, ხოლო მესამე წყდება და შემდეგ ისევ ჩნდება კარიბჭიდან 2,6 მ მოშორებით. მილები, კარიბჭიდან 1,2 მ მოშორებით, ჩასმულია ქვის ოთხკუთხა მოყვანილობის ბლოკში, რომელსაც ზემოდან აქვს წრიული მოყვანილობის ხვრელი, როგორც ჩანს ,,ხვრელიანი'' ბლოკები წყლის ნაკადის მარეგულირებელი უნდა ყოფილიყო, რომლითაც, მისი (წყლის) გახსნა-ჩაკეტვა ხდებოდა (კახიძე, მამულაძე, 2004:7).

[7] ნატურალურ ზომას ცოტათი აღემატება, არქეოლოგების ვარაუდით ქანდაკება დაახლოებით 2,5 სმ უნდა ყოფილიყო.

ძველი წყალგაყვანილობის მილები შედარებით უფრო მცირე ზომისაა. კეცი უფრო წვრილმარცვლოვანი და შედარებით მუქი ყავისფერია. არქეოლოგები მათ ახ.წ. I საუკუნით ათარიღებენ (კახიძე, მამულაძე, 2004:8).

2016 წლის გონიო-აფსაროსში აღმოჩნდა ნაგებობა მოზაიკით და ღუმელის ნაშთები (ტაბ. X,XI, XII), რომლებიც გამოიყენება ჰიპოკაუსტის სარდაფების გასათბობად (praefurnium). ღუმელის აშენებას არქეოლოგები ციხის მშენებლობის 1-ელ ფაზას მიაკუთვნებენ, ხოლო მიმდებარე სარდაფში დამონტაჟებული საყრდენები (pilae) შემდგომში გადაკეთდა. როგორც ღუმელი, ასევე ჰიპოკაუტის სარდაფში დამხმარე საყრდენები, მეორედ იქნა გამოყენებული (Karaszewicz-Szczypiorski, 2016:53; სურ.4,5.).

მეორადად გამოყენებული ქვის მასალა და არქიტექტურული დეტალები აღმოჩნდა ღუმელში, რომელიც აბანოს გათბობისთვის გამოიყენებოდა. მოზაიკიანი ოთახის სამხრეთ კედელთან აღმოჩნდა ქვის რამოდნიმე რიგისაგან შექმნილი ღრმა ფუნდამენტი, აღმოჩენილ საძირკველში დაცულია ადრინდელი შენობის კედლის ნაშთები. ადრეული კონსტრუქცია, მდებარეობს მოზაიკური იატაკიდან 1 მეტრით ქვემოთ. მოზაიკიანი ოთხის სამხრეთით აღმომოჩნდა სამსაფეხურიანი კიბე, რომელიც ამავდროულად მდებარეობს მოზაიკიანი იატაკის დონის ქვემოთ. მათი მდებარეობის მიხედვით ირკვევა, რომ შეუძლებელი იყო საფეხურების გამოეყენებინათ მოზაიკიანი ოთახის შესასვლელად, მაშინ როდესაც საფეხურები აქტიურად გამოიყენებოდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ საფეხურები უკვე აღარ გამოიყენებოდა მაშინ როდესაც ფუნქციონირებდა მოზაიკის იატაკიანი ოთახი (Karaszewicz-Szczypiorski, Mamuladze, 2018:101; სურ.4,5).

კიბეებისა და ფუნდამენტის თანადროულია მოზაიკიანი იატაკის ოთახის და აუზის დასავლეთით მდებარე კედლის ფრაგმენტები. ხსენებული ფრაგმენტების გარე მხარეს აღმოჩნდა ოთხი კედლის ვერტიკალური საბჯენი, რომელიც აშენებულია კედლის წინა მხარეს, ორი უკიდურესი კონფორსტის სიგრძეა: 1,65 და 1,50 მეტრი, ამათ შორის ასევე აღმოჩნდა შედარებით მოკლე კონტრფორსები სიგრძით: 1,4 და 1,0 მეტრი. თითოეული მათგანის სიფართე 0,8-0,9 მეტრს შეადგენდა.

შეგროვებული მონაცემები საშუალებას იძლევა დადგინდეს გათხრების ადგილას აშენებული ნაგებობის ფუნქციონირება პირველ პერიოდში, გონიო-აფსაროსში ადრეული გარნიზონის ჩამოსვლის შემდეგ. მკვლევარები მათ სავარაუდო თარიღად ახ.წ. I საუკუნის შუა პერიოდს განსაზღვრავენ. მოზაიკიანი იატაკის ქვეშ უნდა ყოფილიყო ბეღელი, რომელიც მოზაიკის და აუზის ოთახის გაერთიანების შედეგად მიღებული სიგრძის უნდა ყოფილიყო 18,4 მეტრი, ხოლო სიფართე - 7,5 მეტრი. ასეთი ზომები არქეოლოგებს ავარაუდებინებს, რომ კიდევ ერთი იდენტური ბეღელი იყო განთავსებული გვიანდელი სააბაზანო კომპლექსის საზღვრებში, შესწავლილი ბეღლის აღმოსავლეთით. მიიჩნევენ, რომ აღმოჩენილი ბეღლები მიეკუთვნებოდა ყვალაზე ძველ ეტაპს ციხის ცხოვრებაში (Karaszewicz-Szczypiorski, Mamuladze, 2018:107; Karaszewicz-Szczypiorski, Mamuladze, Aslanishvili,Daszkiewicz 2018:498, სურ.5).

ლატრინა, რომელიც პირველი ეტაპის აბაზანის ნაწილი იყო, იატაკი და სანიაღვრე არხის ქვედა ნაწილი გაკეთებული იყო კვადრატული აგურით. კვადრატული აგური ასევე ნაპოვნი იქნა ღუმლის ნანგრევებში (პრეფურნუმიუმი), რომელიც გამოყენებულია ამ შენობის მე-2 ფაზაში. გარდა ამისა, ადგილზე დაცულია ცალკეული წყლის მილები, რომელიც ეკუთვნის 1-ელ და მე-2 ფაზებს, ფრიგიდარიუმის აუზებიდან. კერამიკული მილების წყალგაყვანილობის ფრაგმენტები ასევე აღმოაჩინეს ჩრდილოეთით მდებარე, აბაზანის მიმდებარე ქუჩაში. არქეოლოგების ვარაუდით, ეს უკავშირდება სააბაზანოს შენობის განახლებას და მის შემდგომ გამოყენებას. ზოგიერთი აბაზანის განყოფილებაში, ძირითადად მოზაიკის იატაკის ოთახში, იატაკზე დაცულია მე -2 ფაზიდან ჩამოშლილი სახურავის ნატეხებით (Karaszewicz-Szczypiorski, Mamuladze, 2018:108; Karaszewicz-Szczypiorski, Mamuladze, Aslanishvili,Daszkiewicz 2018:498, სურ.5,6).

მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა კოშკები, რომელთა რაოდენობა მთლიანობაში შეადგენდა 23 ერთეულს. კოშკები წაროადგენდა ციხის დამცავ საშუალებას და აკონტროლებდა ციხის ირგვლივ მდებარე ტერიტორიას. თითოეულ კარიბჭესთან განლაგებული იყო ორ-ორი კოშკი, რომლებიც შემოსასვლელ კარიბჭეებს აკონტროლებდა. კოშკები ციხის კედლისგან გაზიდულია გარეთ და თავისი ფორმებით სწორკუთხაა (კახიძე, მამულაძე, ებრალიძე, 2002:168). კოშკების გათხრების შედეგად

აღმოჩნდა, რომ რომაული პერიოდის კედელი ნაგებია კირხსნარით, მომცო კვადრებით და უსწორმასწორო ნაფლეთი ადგილობრივი ბაზალტის ქვებით. ქვების წყობა ,,opus qvadratum''-ს ჩამოგავს (კახიძე, მამულაძე, ებრალიძე, 2002:169; ლორთქიფანიძე, ნონეშვილი, 2002:170, ტაბ. III, ტაბ IV).

ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, რომაულ დონეზე გამოვლენილი იქნა ორი შენობა, რომელთა კედლები ერთმანეთის პირისპირ მიდიოდნენ და ქმნიდნენ ორმაგი კედლის შთაბეჭდილებას. კედლის საძრიკვლის ფასადი ნაშენებია თლილი ქვების რეგულარული წყობით, შიდა ნაწილი კი შევსებულია პატარა ქვებით. იატაკი ორივე ფენის შენობისთვის თითქმის მსგავსია, იატაკის ქვედა ფენად გამოყენებულია საშუალო და პატარა ზომის ქვები, რომლზეც ზემოდან დაფენილია თიხის, კერამიკისა და პატარა ხრეშით, რომელიც მოსწორებული და მისი ზედაპირი შედგება ჰიდრავლიკურ ხსნარში შერეული წვრილი ქვიშისგან, ტალახის აგურისგან და დამსხვრეული ჭურჭლისგან, რომელიც მას ჩვეულებრივად აქცევდა მოწითალო ფერად. აღმოჩენილი შენობის ადრეული ფენა თრიღდება ახ.წ II საუკუნის პირველი ნახევრით, ხოლო ზედა ფენა ახ.წ. III საუკუნის მეორე ნახევრით, რომელთა ფუნქციის განსაზღვრა ჯერჯერობით არქეოლოგებს უჭირთ (Mamuladze, Karaszewycz-Sczypiorski, Shalikadze, Surmanidze, Kakhidze 2014:535-538, სურ. 4,5,).

ციხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა შენობის კედლები, რომელიც მსგავსია მის თანადროული შენობებისა. ადრეული ფენა თრიღდება ახ.წ II ს-ის პირველი ნახევრით, ხოლო მეორე ფენა განისაზღვრა ახ.წ. II ს-ის მეორე ნახევრითა და ახ.წ. III ს-ის პირველი ნახევრით (Mamuladze, Karaszewycz-Sczypiorski, Shalikadze, Surmanidze, Kakhidze 2014: 551:552, სურ. 18,19).

ამრიგად, გონიო-აფსაროსის ციხეში ყველაზე მძლავრი კულტურული ფენა ახ.წ. I-III სს თარიღდება. ადრინდელი მონაცემების მიხედვით, მკვლევარები ორ ქვეპერიოდს გამოყოფენ. ყველაზე ადრეულს ახ.წ. I ს ბოლოთი და ახ.წ. II ს დამდეგით ათარიღებენ, ხოლო კიდევ უფრო მრავალფეროვანად არის მიჩნეული ახ.წ. II -III საუკუნის კულტურული ფენა.

თუმცა, ბოლოდროინდელი ქართულ-პოლონური კვლევები გარკვეულ კორექტირების საშუალებებს იძლევა. აღმოჩენილი თავდაცვითი, ადრეული კედლების ფრაგმენტები (ტაბ. XIII, XIV) როგორც ციხის გარეთ, ასევე ციხის შიდა ტერიტორიაზე და ადრეული აბანოს პირველი ფაზა, ერთმანეთის მსგავსია (Karasiewicz-Szczypiorski, 2018:493). კედლები აშენებული იყო დამტვრეული ქვით და თიხის დუღაბით. არქეოლოგების ვარაუდით, შესაძლოა, გამოყენებული იყო ხის კონსტრუქციაც (Karasiewicz-Szczypiorski, Mamuladze, Jaworski, Wagner; 2016:521; სურ.29).

აღსანიშნავია ის, რომ NO სექტორში აღმოჩნდა ორ განსხვავებული პერიოდის ნაგებობა. პირველი ფაზაში არსებული ნაგებობის დანგრევის შემდეგ მასზე დააშენეს მეორე ნაგებობა. თუმცა პირველი ფაზის ნაგებობის ნაშთები დღემდე შემორჩენილია, რომელიც, როგორც ჩანს გამოყენეს აბანოს ფუნდამენტად. აბანოს დაშენება პირველ ნაგებობაზე უნდა მომხდარიყო ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარში. მაგრამ აქვე არქეოლოგი ხაზს უსვამს, რომ ,,უცნობია პირველი ფაზის დანგრევის შემდეგ მაშინვე აშენდა მეორე ნაგებობა თუ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ'' (Karasiewicz-Szczypiorski, 2016:54). აბანოს საბოლოო განადგურება უნდა მომხდარიოყო ახ.წ. II საუკუნის მეორე ნახევარში. რაზეც მომწობს თანხმლები არქეოლოგიური მასალები. ზემოთ აღნიშნული მონაცმების მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გონიო-აფსაროსში აღნიშნული შენობა ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრამდე უკვე იყო აშენებული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავდაცვითი კედელი, რომლის აშენებასაც არქეოლოგები ადრეულ პერიოდს უკავშირებენ, შესაბამისად სავარაუდოა, რომ ციხის ეს თავდაცვითი კედლები აშენებული იქნა ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრამდე (ტაბ. IX). რათქმაუნდა ჰიპოთეზას რომელსაც ვავითარებთ ციხის დათარიღებასთან დაკავშირებით საჭიროებს უფრო მეტ არქეოლოგიურ მტკიცებულებას, რომელიც სამომავლოდ არქეოლოგიური მასალების შედეგად უნდა დავამტკიცოთ.

სამწუხაროდ, წერილობითი წყაროების გარდა არანაირი მატერიალური ძეგლები არ მოგვეპოვება **ფაზისის** შესახებ. მკვლევარები დღემდე იკვლევენ ფაზისის ადგილმდებარეობას. წერილობითი წყაროები თითქოსდა მიგვითითებენ კონკრეტულ ტერიტორიაზე, მაგრამ არქეოლოგიური კვლევებით ვერაფერს ვადასტურებთ.

სტრაბონი აღნიშნავს, რომ: ,,აქ არის ქალაქი, რომელსაც მდინარის სახელი ფაზისი ეწოდება. ეს არის კოლხეთის სავაჭრო ცენტრი, რომელიც შემოსაზღვრულია მდინარით (რიონი-ლ.ბ), ტბით (პალიასტომი-ლ.ბ) და ზღვით'' (Strabo 11.2.17) (ტაბ. XV).

თვით ფაზისის ციხის აღწერისათვის მნიშვნელოვანია არიანეს მოგზაურობის ჩანაწერები: ,,თვით ციხე-სიმაგრე, რომელშიც თავსდება ოთხასი რჩეული მეომარი, მე მეჩვენა მეტად მიუდგომელად ადგილის ბუნების მიხედვით, უშიშროების თვალსაზრისით მეტად მოხერხებულ ადგილზე აქ მომსვლელთათვის. ორმაგი თხრილი ერტყმის კედელს, ორივე ფართოა. წინათ კედელი თიხისა იყო და ხის კოშკები იდგა მასზე, მაგრამ ახლა კედელი და კოშკები გამომწვარი აგურისგანაა გაკეთებული. საძირკველი მისი მყარია, ზედ სამხედრო მანქანებია დადგმული. ერთი სიტყვით ყოველმხრივ იმდაგვარადაა მოწყობილი, რომ ალყის საფრთხე არ მოელოდეს ციხის დამცველთ. რადგან ნავსაყუდელი უშიშარი თავშესაფარი უნდა ყოფილიყო ხომალდთათვის საიმედო უნდა გამხდარიყო, აგრეთვე ციხის გარშემო მდებარე სხვა ადგილებიც რომლებიც დასახლებულია სამსახურიდან გადამდგარი სამხედრო პირებით და ვაჭრებით. გადავწყვიტე, რომ ციხის კედლის გარშემო არსებული ორმაგი თხრილიდან გამეყვანა მდინარემდე სხვა თხრილი, რომელიც გარს შემოუვლიდა ნავსადგურს და ციხის კედლის გარეთ მდგომ სახლებს''(Arr., PPE,6).

მნიშვნელოვანი და საინტერესოა, შვეიცარიელი მოგზაურის ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს ჩანწერები, რომელშიც ის აღწერს მის მოგზაურობას 1831-1834 წლებში დასავლეთ საქართველოში. 1833 წელს მან მოინახულა ქ. ფოთი და მისი შემოგარენი. ის აღწერს: ,,ფოთში ჩასასვლელად მდ. ფასისის ნაპირებს გავყევით ... ძველი ფოთი მდებარეობს ჭალადიდიდან 6 ან 7 ვერსზე მდ. ფასისის მარჯვენა ნაპირზე, არხ ნადორთას შესასვლელის პირდაპირ, რომელიც ფასისს პალიასტომის ტბასა და ფიჩორთან აკავშირებს. აქ მდინარეს დიდი ,,კუნძული'' ჰყოფს ორად. გადაშალეთ აგათია და ნახეთ სწორია თუ არა ჩემი ისტორიული მცდელობის ახსნა ... თავდაპირველად ავღნიშნავ, რომ სახელწოდება ფოთი არის მხოლოდ ფაზისის მეგრული თარგმანი. ამ დიდი ხნის ქალაქს სანგრებისა და აგურების რამდენიმე გროვის გარდა სიძველის არანაირი კვალი არ შემოუნახავს. არხი გათხრილი იქნა რომაელების მიერ იუსტინიანეს

დროს, რათა მისგან თავდაცვის ზოლი გაეკეთბინათ და ამგვარად ჩაკეტილიყვნენ თითქოსდა დიდ კუნძულზე ფასისის, ფიჩორისა და პალიასტომის ტბას შორის. არხიდან ფოთის ციხე-სიმაგრემდე კიდევ 14 ვერსი გავიარეთ. ამ მიდამოებში მე ვერაფერი აღმოვაჩინე ღირშესანიშნავი ხშირი ხეების ორი ხეივნის გარდა. ციხე-სიმაგრის ზემოთ 3 ვერსამდე, სადაც შეიძლება ვრცელი სწორი ვაკე - ზაფხულში მშრალი, ხოლო შემოდგომაზე წვიმებისაგან წყლით დაფარული და დაჭაობებული ... აქ შენი ნება-სურვილის მიუხედავად საჭიროა დაბლა ჩამოხვიდე და ნახევარი ტანით ჭაობში ჩაეფლო. ბოლოს ძლივს მივაღწიეთ მცირე ბორცვამდე, რომელსაც ჩემს წინ ისე ვხედავდი როგორც ნეტარ კუნძულს და ჭაობის შუაში, მდინარე ფასისისდან 700 ნაბიჯზე, ფეხი დავადგით რაღაც მაღალ ადგილს, ეს სხვა არაფერია, თუ არა აგურით ნაგები ნაციხარის ნაშთი, რომელშიც თვალნათლივ შეიცნობა ფლავიუს არიანეს მიერ თავის ,,პერიპლუსში'' აღწერილი და აღდგენილი ციხე-სიმაგრე. სიმაგრის ოთხივე კუთხეში აღმართული იყო ოთხი კოშკი, კარები ზღვისკენ იყო მობრუნებული. აგურები, რომელიც ამ ნაგებობისთვის იყო გამოყენებული, ერთმანეთან მოწითალო ფერის დუღაბით იყო შეერთებული. ციხე-სიმაგრის შიდა ნაწილი, რომელსაც 140 ნაბიჯი სიგანე ჰქონდა, ზუსტად იმდენი, რამდენიც იქ, სამხედრო გარნიზონში მყოფი, 400 რომაელის მოთავსებისთვის იყო საჭირო. ეხლა ზაფხულსა და ზამთარში მხოლოდ გამოუყენებელი გუბე და ამღვრეული არხის შესასვლელი კარია. კოშკების ჩამონგრევისგან წარმოქმნილი ყრილები მდ. ფასისი შლამის სქელი თიხის ფენითა დაფარული. მაშასადამე, როგორც ხედავთ ეს დასახლებული ადგილი გაუვალი ჭაობი გახდა''(Montpereux, 1839:30) (ტაბ.XVI).

არიანეს მიერ დასახელებულ პუნქტებს შორის ბოლო **სებასტოპოლისია**, რომლითაც მის დროს მთავრდებოდა რომის გავლენის ქვეშ მყოფი ტერიტორიები კოლხეთში. სებასტოპოლისის შესწავლას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ქალაქი სოხუმი მდებარეობს ოკუპირებული აფხაზეთის ტერტიორიაზეა, რაც რა თქმა უნდა არ აძლევს არქეოლოგებს შესაძლებლობას ჩაატარონ სათანადო კვლევები. გასულ საუკუნეში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებიც, სამწუხაროდ, არ გვაწვდის

საკმარის ინფორმაციას ქალაქის შესახებ, ეს განპირობებულია იმით, რომ თანამდეროვე ქალაქი გაშენებულია უშუალოდ სებასტოპოლისზე.

მნიშვნელოვანია ქალაქის ტოპოგრაფია, რომელიც მდებარეობდა ზღვის ნაპირას და ამავდროულად მდინარის საშუალებით შესაძლებელი იყო კავკასიონის მთის უღელტეხილებამდე მიღწევაც. მკვლევარები ადასტურებენ იმას, რომ სებატოპოლისს ჰქონდა ერთ-ერთი საუკეთესო ნავსადგური.

შემოჩენილი გვიანრომაული ციხის სამხრეთი კედელი, რომელიც გაუყვება სანაპირო ხაზს (ტაბ. XVII, XVIII), ის იმდენად ახლოსაა ზღვასთან, რომ ტალღები პირდაპირ კედლებზე ეხეთქება, ხოლო კედლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილი მიემართბა პირდაპირ ზღვაში. კედლის სიფართე შეადგენს 2,25 მ. კედელი ამოყვანილია საშუალო ზომის ქვებითა და კირხსნარით. 25 მეტრის დაშორებით კუთხიდან აღმოჩნდა კვადრატული ფორმის ხვრელები წყლის სისტემისთვის, წყლის ციხიდან გასავლელად. წყლის სისტემასთან ახლოს, ციხის შიდა ტერიტორიაზე აღმოჩნდა იატაკი, რომელიც დაგებული იყო აგურის ფილებისგან (53X53 სმ, სიგრზე 7 სმ). როგორც აგურის, ასევე გრუნტის ძლიერი სიმაგრის საშუალებით მკვლევარები ვარაუდობენ, რომ აქ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ხდებოდა ცეცხლით გახურება, ამაზე მიუთითებს ჭვარტლის ნარჩენები აგურზე. აგურების განლაგებისა და იქვე აღმოჩენილი მრგვალი აგურის ნარჩენის მიხედვით სავარაუდოა, რომ ეს ტერიტორია წარმოადგენდა ცხელი აბანოს განყოფილებას. თუმცა, არქოლოგების ვარაუდით იატაკი არ წარმოადგენს კონსტურქციის პირველ სახეს და ის გადაკეთებულია (Шервашидзе, Соловьев, 1960:173).

აღმოჩენილი ციხის ტერიტორიის სამხრეთ გამაგრებას ახ.წ. I საუკუნით ათარიღებენ, დასავლეთის მშენებლობა კი ახ.წ. I-II საუკუნეებით (Шервашидзе, Соловьев, 1960:173, სურ.1,2,3,4,5).

ციხის ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშოების დროს აღმოჩნდა ლათინური წარწერის ფრამგენტები, რომლეზეც განირჩეოდა რუბრიკაცია და რომელიც, სავარადუდოდ, მეორადად იყო გამოყენებული. სამწუხაროდ, ფრაგმენტი დაკარგულია.

წარწერა სამხედრო ხასიათის იყო, რადგან იკითხებოდა LEG, შესაძლოა სამშენებლო წარწერასაც წარმოადგენდა, შესაძლოა ეპიტაფიაც ყოფილიყო (Леквинадзе, 1969).

გალავნის სანაპირო კედლის დასავლეთი ნაწილი მკვლევართა ვარაუდით აგებული უნდა იყოს არა უადრეს ახ.წ. IV საუკუნისა, ხოლო აღმოსავლეთ კედელი - ახ.წ. II საუკუნის ბოლო ხანებში, რომელიც ზემოდან გადადის ახ.წ. I-II სს საქალაქო საცხოვრისზე, რომელიც მოიცავდა შემოღობილ ეზოს და ჭას. საცხოვრებელი სახლი სწორკუთხა ყოფილა, რიყის ქვებით დუღაბზე ნაგები. მასთან დაკავშირებულ ეზოში აღმოჩენილია შესანახი დანიშნულების თიხის ჭურჭლები და რიყის ქვით ამოყვანილი ჭა. როგროც ჩანს, დაახლოებით ახ.წ. II საუკუნეში აქ საქალაქო დასახლება იყო (ბრაუნდი, 2014:279).

უკვე ახ.წ. II საუკუნის ბოლო ხანებში თანამედროვე სოხუმის ჩრდილო-დასავლეთ სექტორში, ოდენცში აშენდა კოშკი, რომელიც რა თქმა უნდა ციხესთან მიმავალ გზების გასაკონტროლებლად გამოიყენებოდა. მკვლევართა ვარაუდით, კოშკი ახ.წ. 175 წელზე ადრე ვერ აშენდებოდა და მას იყენებდნენ V საუკუნემდე. სავარაუდოა, რომ ის სებასტოპოლისის ციხის თავდაცვით ავანპოსტს წარმოადგენდა (ბრაუნდი, 2014:304).

ახ.წ. IV საუკუნეში, შესაძლოა ცოტა მოგვიანებით, ფორტი განივრცო ჩრდილოეთის მიმართულებით აგებული კედლითაც. ამ კედელმა ჩაჭრა ადრეული ფენები, რომელიც ახ.წ. I საუკუნემდე თარიღდება. არიანეს ცნობით სებასტოპოლისის გარნიზონის შემადგენლობაში იყო კავალერია, რომელსაც მან გამოცდა მოუწყო. კავალერიის არსებობა გარკვეულწილად გარნიზონის არსებობაზე მიუთითებს. არიანეს დროინდელი ციხის გალავნის და დამცავი თხრილის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ აღმოუჩენელია (ბრაუნდი, 2014:283).

1896 წელს სოხუმის ზღვის პირას, სამშენებლო სამუშაოების დროს აღმოჩენილ იქნა ქვა წარწერით. ქვის ერთ მხარეს შენარჩუნდა წითელი ფერი და ლათინური წარწერები. პიველად ძეგლი გაიშიფრა მ. როსტოვცევის მიერ. მისი ინტერპრეტაციის

მიხედვით, წარწერა ასე იკითხება: ,,ადრიანმა ააშენა ეს პორტი ფლავიუს არიანეს მეშვეობით''(იხ. Куфтин, 1949:154).

1998 წლიდან განახლდა არქეოლოგირი ექსპედიციები სოხუმის ციხეზე. გათხრები მიმდინარეობდა ზღვის სანაპიროსთან ახლოს.

აღმოჩენილ მასალებს შორის იყო ახ.წ. II-III საუკუნის ამფორის ყელის ფრაგმენტზე გამოხატული რამდენიმე ანბანური სიმბოლო და ნაკვეთი გრაფიტი: ა) A (ალფა) - როგორც ერთი სიმბოლო, ასევე კომბინაცია სხვა სიმბოლოებთან; ამ შემთხვევაში, სხვა სიმბოლოეთან გამოხატვის დროს: ალფა - პირველი ასო სწორი მხარეებით და შუაში ჰორიზონტალური ხაზით. მეორე ნაკაწრი უბრალოა, ერთი გრძელი ხაზით; ბ) ლიგატურა სამი ასო-ბგერისგან შემდგარი.

ძველი სოხუმის ეპიგრაფიკულ ძეგლებს შორის ასევე საინტერესოა 1998 წელს სოხუმის ციხის ტერიტორიაზე არქეოლოგური გათხრების დროს აღმოჩენილი წარწერა. ის ძველბერძნულია, დამზადებულია ადგილობრივი კირქვის ფილაზე (19 X 21 X 10 სმ). შენარჩუნებულია 5 სტროფი, ასოების სიმაღლე შეადგენს 17 მილიმეტრს, ნიშნები საკმაოდ სიმეტრიულია, მათ შორის დაშორებაც (Ветроградова, 2002:385).

თარგმანი: 1. ხალხის განკარგულება 2. გამოხატოს აღტაცება 3. ანაზღაურებადი 4. აღჭურვილი (თქვენი?) [Triremes] 1. 5. (ქარი?). ასოების განლაგების მიხედვით, თანმიმდევრობით, სტილით და სხვა მინისნებები გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ძეგლი ეკუთვნის ახ.წ. II საუკუნეს. ვ. ვეტროგრადოვას თანახმად, წარწერა უნდა მიეკუთვნოს წერილობითი ძეგლების კატეგორიას, რომელიც ეხება გამოჩენილი პირის დამსახურებას, რომლის სახელიც, სამწუხაროდ, არ არის შემონახული. ნებისმიერ შემთხვევაში, წარწერა გაკეთებულია ადგილზე, ნაკარნახევია რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ეხმიანება ზღვის მოგზაურობას, რომელიც უმეტესწილად სამხედრო ხასიათს ატარებს (Ветроградова, 2002; Шамба, 2005:87).

Pontus limes-ის უკანასკნელი პუნქტი იყო **ბიჭვინთა**. ახ.წ. III საუკუნეში პიტიუნტი მოიხსენიება როგორც ფორტი. პიტიუნტი ფორტისთვის საუკეთესო ადგილი იყო. ბიჭვინთის კონცხი მდგომარეობით გამოირჩეოდა. ფორტი, როგორც ჩანს, ზღვიდან

გარკვეულ მანძილზე იყო აღმართული, რაც ცხადია, ხმელეთზე გადადგილების საჭიროებას ქმნიდა. თუმცა, როგორც მკვლევარები ვარაუდობენ, პიტიუნტს ნავსადგომიც ჰქონდა (ბრაუნდი, 2014:309). არსებობს მოსაზრება, რომ ანტიკურ ხანაში ფორტი ზღვასთან არხით იყო დაკავშირებული და ამ პატარა უბის ბოლოს ნავმისადგომი პირდაპირ, უშუალოდ ფორტზე იყო მიშენებული. აეროფოტო გადაღებების შედეგად გამოვლინდა ჩანართი ლაქები, რომელიც ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს. გარდა ამისა, სათანადო ადგილზე გარღვეული ჩანს vicus-ს კედელი, რაც, შესაძლოა, ასეთი არხის საჭიროებას პასუხობდა (ლორთქიფანიძე, 1991:74).

განადგურებული ქალაქი პიტიუნტის ადგილმდებარეობა ჯერჯერობით დადგენილი არ არის, მაგრამ სავარაუდოა რომ ის მდებარეობდა ლძააში, პიტიუნტის ფორტის აღმოსავლეთით 5 კმ მანძილზე ზღვის ნაპირის გაყოლებით. როგორც ჩანს, ქალაქი მნიშვნელოვანი იყო, სტრაბონი მას მოიხსენიებს, როგორც ,,დიდ პიტიუნტს''.

ახ.წ. I საუკუნის პირველ ნახევარში პიტიუნტში რომაული ძლიერი ციხე-სიმაგრის არსებობა გამორიცხულია, ამასვე გვიდასტურებს არიანეს ცნობაც, საიდანაც ირკვევა, რომ II საუკუნის პირველ ნახევარში დიოსკურიადის (სოხუმის) სიმაგრით მთავრდებოდა კოლხეთის სანაპირო. არიანეს ცნობა მოწმობს, რომ აღნიშნულ პერიოდში რომაელებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ პიტიუნტში მტკიცედ ფეხი მოკიდებული. აქ ჯერ კიდევ არ არსებობდა ძლიერი ციხე-სიმაგრე. გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პიტიუნტის გამაგრება უნდა მომხდარიყო ახ.წ. II ს მეორე ნახევარში ან III საუკუნის დასაწყისში (ლორთქიფანიძე, 1991:76).

შემდგომი ეტაპი ბიჭვინთის ისტორიაში ახ.წ. III-IV სს წარმოადგენს. III საუკუნეში ქალაქს უკვე აქვს გამაგრებული ცენტრი. პირველ ნახევარში მის როლს რომაული კასტელუმი ასრულებს, რომელიც შედარებით მცირეა, სწორკუთხოვანი, თითქმის კვადრატული, ის II საუკუნის მეორე ნახევარს ან III საუკუნის დასაწყისს მიეკუთვნება. როგროც ჩანს, უფრო გვიან ჩნდება შიდაციხის გაფართოების საჭიროება, დაახლოებით III ს ბოლო და IV ს დასაწყისი. III საუკუნის მეორე ნახევარში

გაფართოებული შიდაციხეც ქალაქის მცირე ნაწილს მოიცავდა (ლორთქიფანიძე, 1991:74).

პირველი არქოლოგიური დაზვერვები ბიჭვინთაში 1952-1953 წლებში დაიწყო. 1952 წელს არქეოლოგებმა დაზვერეს ბიჭვინთის კონცხის სანაპირო ზოლი ინკიტის ტბიდან სოფ. ლძაამდე, სადაც ადრე უცნობი ნაგებობის ძეგლები გამოვლინდა. გრანდიოზული ნაგეგბობის ნანგრევები შენიშნულია ბზის ტყეში, ბიჭვინთასა და ლძაას შორის - პატარა ტბის, ანიშტარას ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით. ინკიტის ტბის მიდამოებში შენიშნულია ხელოვნური შემაღლება, გორასამოსახლოს ტიპის, ციხე-ქალაქის სამხრეთით - ფიჭვნარში. ამ ჯგუფმა აქ 1952 წელს გააკეთა თხრილი და დაიწყო დაზვერვები (აფაქიძე, 1975:55).

გავრცელებულია მოსაზრება, რომ პიტიუნტს ,,შიდა ნავსადგური'' ჰქონდა. ამის საფუძვლად მიიჩნევდნენ ბიჭვინთის კონცხის რელიეფის ცვლილებას, კერძოდ, კი მდინარე ბზიფის ერთ-ერთი ტოტის გადაადგილებას ჩვენთვის საინტერესო ხანაში. ა. როსტოვცევის თვალსაზრისი ფაქტთან დაკავშირებით შემდეგია: ,,მდ. ბზიფი ერთ დროს ზღვას უერთდებოდა სოფ. კალდახვარის ხაზზე, შემდგომში თანდათან ეს უბე დაიშალა და მდ. ბზიფის დელტად იქცა. უბის ნაცვლად კუნძულები წარმოიქმნა. ახ.წ. II საუკუნეში მდ. ბზიფის ერთი ტოტი გადასჭრის ბიჭვინტის კონცხს, გაივლის ინკიტსა და ანიშწარაზე და ბიჭვინთის ყურეში ერთვის ზღვას, პატარა მდინარე წარასთან. ასეთ ვითარებაში ბიჭვინთის კონცხი კუნძულს წარმოადგენს, ხოლო ტბები ინკიტი და ანიშწარი ,,შიდა ნავსადგურებია'' (Ростовцев, 1916:18).

ციხე-ქალაქის გეგმიდან კარგად ჩანს, რომ დიდი პიტიუნტის ციხე-ქალაქი ორი ნაწილისგან შედგება: დასავლეთ ნაწილი, რომელიც დიდი სწორკუთხედს წარმოადგენს, რომლის შიგა ფართობი 20000 კვადრატული მეტრია და აღმოსავლეთ ნაწილისგან, რომელიც ნახევარწრიულია, მაგრამ აქ ნახევარწრიულობა პირობითათ ითქმის, რადგან ციხე-ქალაქის აღმოსავლეთი ნაწილი მხოლოდ ერთი შეხედვით ქმნის ასეთ შთაბეჭდილებას; ნამდვილ ნახევარწრიულს ჰგავს მისი მხოლოდ სამხრეთ ნაწილი,

რადგან მოგრძო-ოვალურია, თვით ზღუდე სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარისა (ტაბ. XIX, XX) (აფაქიძე, 1975:57).

,,დიდი პიტიუნტის'' შიდა ციხის გეგმა ცხადს ხდის, რომ ორივე ნაწილი შემოზღუდულია საერთო გალავნით, რომელიც აღჭურვილია კოშკებით, ბურჯებითა და კონტრფორსებით. მცირე სხვაობა შეიმჩნევა კოშკების მოყვანილობაში, მათ ზომებსა და მათ შორის მონაკვეთთა სიგრძეშიც. სხვაობაა გალავნის სისქეშიც და, რა თქმა უნდა, თვით ციხე-ქალაქის ორ უმთავრეს ნაწილს შორის აღნაგობაში: დასავლეთი ნაწილის სწორკუთხოვან (თითქმის კვადრატულ) ზღუდეს და ოვალური გალავნით შემოსაზღვრულ აღმოსავლეთის ნაწილს შორის (აფაქიძე, 1975:61, სურ.3).

ციხე-ქალაქის დასავლეთ ნაწილში გამოვლენილი გალავნის სისქე 3,00-3,20 მეტრს აღწევს. აღმოსავლეთ ნაწილის კი 1,90 დან 2,60 მეტრამდე მერყეობს. აღსანიშნავია ისიც, რომ ციხე-ქალაქის აღმოსავლეთი ნაწილის კოშკები ოთხკუთხოვანია, მრავალწახნაგოვანი და ოდნავ კუთხეებმომრგვალებულიც, დასავლეთ ნაწილში კი არის ოთხკუთხოვანი და სექტორული, გარედან ხუთწახნაგოვანი, თანაც უფრო დიდი კოშკები. ზღუდე-კოშკების მასალა ერთნაირია: გალავანი, კოშკები და ბურჯები ქვითკირისაა. ციხე-ქალაქის დასავლეთი ნაწილის ზღუდეში ჩანს კირქვის პერანგი. აღმოსავლეთში თითქმის მთლიანად ზღვის კონგლომერატია შედუღაბებული. საინტერესოა ისიც, რომ კირქვა შესამჩნევად ხშირად არის გამოყენებული სწორედ დასავლეთი ნახევრის შიგა ნაგებობებშიაც, აღმოსავლეთში კი თითქმის არ ჩანს (აფაქიძე, 1975:78).

ციხე-ქალაქის ზღუდის საერთო პერიმეტრი დაახლოებით 1180 მეტრია. გამოვლენილია 27 კოშკი, (გათხრილია მხოლოდ ოთხი: 1,3,4,5). ამათგან 22 ოთხწახნაგოვანია მათ, შორის ერთს კუთხეები მომრგვალებული აქვს; 3-მრავალწახნაგოვანი და 2 - გარედან წახნაგოვანი.

მხარეების მიხედვით კოშკების განლაგება ასეთია: აღმოსავლეთით 3 კოშკია, დასავლეთით -5 კოშკი, ჩრდილოეთით -6 კოშკი, ხოლო სამხრეთით 13 კოშკი. როგორც ვხედავთ, კოშკების უმეტესი ნაწილი მოდის ციხე-ქალაქის სამხრეთ მხარეზე. ეს

გარემოება იმით აიხსნება, რომ ჩრდილოეთ მხარეზე, ე.წ. დაჭაობებულ ნაწილში, პირველ და მეორე კოშკს შორის, დაახლობით 160 მეტრ მანძილზე, ჯერჯერობით არ აღმოჩენილა კოშკები (აფაქიძე, 1975:79; სურ. 4).

განვიხილოთ რამოდენიმე მათგანი: ა) აღმოსავლეთი მხარის კოშკები. ამ ნაწილში სამი კოშკი ჩანს - 1, 26 და 27. პირველი კოშკის გათხრებმა ორი კულტტული ფენა გამოავლინა. ჩვენთვის საინტერესო ფენა, ძირითადად, წყალქვეშაა მოქცეული, მას გამოარჩევს ახ.წ. I საუკუნისთვის ფართოდ დამახასიათებელი წითლად ან ვადისფრად შეღებლი თხელკეციანი თიხის ჭურჭელი. ე.წ. წითელლაკიანი კერამიკა.

პირველი კოშკი ექვსწახნაგოვანი ნაგებობაა, რომელსაც კუთხეებში ბურჯები აქვს. იგი ქვითკირისაა, ზღვის კონგლომერატი ნაწყობი და უხვი დუღაბით - კირხსნარით. XXVII კოშკი I სამხრეთით მდებარეობს, 25 მეტრის მანძილზე. იგი უსწორო და სწორწახნაგოვანია. XXVI კოშკი დაშორებულია XXVII კოშკიდან 53 მეტრით. ისიც, სამხრეთითაა. XXVI ორწახნაგოვანი - წესიერი სწორკუთხედია.

ციხე-ქალაქის დასავლეთ ზღუდეს 5 კოშკი აქვს (5,6,12,13,14). მე-13 კოშკი დიდია, ის ზღუდის ცენტრში დგას და ივარაუდება, რომ ციხე-ქალაქში დასავლეთის მხრიდან შემოსასვლელ დიდ ჭიშკარს იცავდა. მე-5 და მე-13 კოშკებს შორის გალავნის მონაკვეთს შუაში ერთი შედარებით მცირე კოშკი უდგას (N 14), ასევე ერთი კოშკია ჩადგმული დასავლეთი ზღუდის ჩრდილოეთი ნაწილის ცეტრში, მე-13 და მე-16 კოშკს შორის (N 12). გენერალური გეგმის მიხედვით, ციხე-ქალაქის დასავლეთი ნაწილში საკმაოდ ძლიერი თავდაცვის სისტემა უნდა ყოფილიყო. ფაქტიურად, დასავლეთ გალავანს, რომლის სიგრძე 130 მეტრს აღწევს, იცავდა ხუთი კოშკი: ერთი - ცენტრალური (N 13), ორი კუთის (N 5, N 6) და ორიც მცირე (N 12, N 14). ე.ი საშუალოდ ყოველი 30 მეტრიან მონაკვეთს გალავნისას ერთი კოშკი იცავდა. VI კოშკი, როგორც ითქვა, ციხე-ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ კუთხისაა. ის გათხრილი არ არის, მხოლოდ გაიწმინდა კოშკის ზედაპირი. კონტურული მოყვანილობით დადგინდა მისი ურთიერთობა გალავნის ჩრდილოეთ და დასავლეთ კედლებთან.

ჩრდილოეთ მხარის კოშკები (2,7,8,9,10,11), სხვა მხარის კოშკებთან შედარებით, შეიძლება ითქვას, არქეოლოგიურად შეუსწავლელია. მსგავს მდგომარეობაშია ამ მხარის გალავანი. ზემოთ უკვე ვისუბრეთ, რომ მე-6 კოშკი ციხე-ქალაქის ჩრდილო-დასავლეთი კუთხისაა და ზუსტად სანახევროდ ჩრდილოეთ მხარეს უნდა მიეკუთვნოს. VII კოშკი აშენებულია მე-6-ის აღმოსავლეთით 37 მეტრის მანძილზე; ოთხწახნაგოვანია და შედარებით მცირე კოშკების ჯგუფს მიეკუთვნება. მე-8 კოშკი მოსდევს მე-7-ს, ისიც აღმოსავლეთით 31 მეტრის მანძილზე მდებარეობს, ეს კოშკი საბოლოოდ გათხრილ-გამოვლენილი არ არის. ზედა კონტურის გამოვლენილი ნაწილი კვადრატულის შთაბეჭდილებას ქმნის. მე-9 კოშკი უფრო მოზრდილია და მდებარეობს მე-8 კოშკის აღმოსავლეთით. მე-10 კოშკიც მე-9-სთან შედარებით მცირეა. მე-11 კოშკიც სწორკუთხა-ოთხწახნაგოვანია. მე-16 კოშკი ისეთივე მოყვანილობისაა, როგორც მე-15. მე-17 წესიერი სწორკუთხედის მოყვანილობისაა. მე-20 კოშკი ასრულებს სასიმაგრო ნაგებობათა სწორხაზოვან ნაწილს. იგი მე-17 კოშკის აღმოსავლეთითაა 31,40 მ მანძილზე. მე-18 კოშკით იწყება ციხე-სიმაგრის ნახევარწრიული სამხრეთი მონაკვეთი. მე-4 და მე-18 კოშკებს შორის გალავანი თითქმის კუთხეს ქმნის: მე-4 კოშკიდან გალავანი თითქოს განაგრძობს სწორკუთხოვან მიმართულებას აღმოსავლეთისაკენ: ასეა დაახლოებით 30 მეტრის მანზილზე. აქ კედელი ბლაგვი კუთხით უხვევს სამხრეთისაკენ და იწყებს გალავნის ნახევარწრიულ მონაკვეთს. ამ ადგილას შექმნილი გარე კუთხიდან დაახლოებით 25 მეტრზე იწყება მე-18 კოშკი. იგი გარედან ხუთკუთხოვანია. მე-3 კოშკიც გამოირჩევა მრავალწახნაგოვებით, ესაა ერთადერთი მრავალწახნაგოვანი კოშკი, დადგმული ნახევარწრიული გალავნის მომდევნო მუხლზე, მე-18 კოშკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ოციოდე მეტრის მანძილზე. მე-19 კოშკიც ოციოდე მეტრით არის დაშორებული მე-3 კოშკიდან - პრაქტიკულად მისგან აღმოსავლეთით, ესაა ე.წ. მცირე კოშკი, თითქოს კვადრატული გეგმით ნაგები. მე-20 კოშკიც ოთხწახნაგოვანია, მაგრამ შედარებით უფრო განიერია. 21-ე კოშკიც სწორკუთხა და ოთხწახნაგოვანი ჩანს, ზემოთკენ უხვევს-ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ იღებს მიმართულებას. ეს აღმავალი მიმართულება, ე.წ. ნახევარწრის სულ უფრო მკაფიო ნახაზი გრძელდება 26-ე კოშკამდე. 22-ე კოშკიც სწორკუთხოვანია. 23-ე კოშკიც ოთხწახნაგოვანი, ე.წ. მცირე კოშკების წყებას

ეკუთვნის. 24-ე კოშკი 25 მეტრითაა დაშორებული 23-ედან. ოთხწახნაგოვანია, მაგრამ შედარებით დიდი ჩანს. 25-ე კოშკი ოთხწახნაგოვანი და მცირეთა ჯგუფს მიეკუთვნება (აფაქიძე, 1975:80; სურ.3,4).

შიდა ციხის ტერიტორიაზე XVI თხრილში გამოვლენდა ერთი მთლიანი შენობის ნაგებობა და ასევე ციხი დასავლეთი ნახევრის ცენტრალურ ნაწილში 20 მეტრიანი ქუჩის მონაკვეთი. გამოვლენილი ნაგებობა ოთხკუთხაა, სამხრეთით მთლიან მონაკვეთზე აქვს მინაშენი, რომელიც ქუჩის პირზეა. ნაგებობის ფართობი მინაშენის გარეშე 240 კვადრატული მეტრია, მინაშენის კი - 60 კვადრატული მეტრი. შენობა ნაგებია ზღვური კონგლომერატით კირხსნარზე. მისი ძირითადი კედლები სქელია (0,90 მ), მინაშენისა კი უფრო თხელი (0, 50 მ). ნაგებობის კედლები სამი მხრიდან აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან გამაგრებულია ბურჯებით, რომლებიც ერთმანეთისგან 4,50 მ მანძილით არის დაშორებული. ნაგებობის შიგნით, მის შუა ხაზზე ერთმანეთისგან 5 მეტრის დაშორებით ორი პილონია გადარჩენილი. სავარაუდოა, რომ ამ პილონებს ეყრდნობოდა ნაგებობის გადახურვა. შენობის იატაკი წითლად გამომწვარი კერამიკის წვრილად დატეხილი ნატეხებისა და კირხსნარის ნარევით არის მოგებული. შეიმჩნევა ზოლები, რომლებიც, როგორც ჩანს, ხსნარის ზოლებად დასხმის შედეგია. იატაკის მოლესილობა კედელზეც ადის, რაც კარგად შეიმჩნევა შენობის დასავლეთ კედელზე. ნაგებობას შესასვლელი სამხრეთ კედელში აქვს, მისი სიგანეა 1,50 მ. მინაშენსა და ნაგებობის ცენტრალურ ნაწილსაც შესასვლელი ერთ მხარეს აქვთ. ნაგებობის ცენტრალური ნაწილის შესასვლელთან იატაკი კერამიკული ფილებით ყოფილა მოგებული, ამჟამად 6 ფილაა გადარჩენილი (ფუთურიძე, 1975:129; ტაბ.XVI).

მინაშენის დასავლეთ კუთხეში, იატაკზე 50 სმ მაღლა აღმოჩნდა მოზაიკის იატაკი, რომელიც მსხვილი ოთხკუთხა დატეხილი კენჭებით და ზოგჯერ სმალტის გამოყენებითც არის შედგენილი - ცენტრალურ ნაწილში ტრიტონი, რომელსაც ხელში ნიჟარა უპყრია და პირთან აქვს მიტანილი მის გარშემო თევზები დაცურავენ. გადარჩენილია დელფინის კუდიც. მოზაიკა დაზიანებულია, ტრიტონის ტანი მთლიანად დარღვეულია, მოზაიკისთვის გაოყენებულია თეთრი, ვარდისფერი, მონაცრისფრო, ცისფერი და სხვა ფერის ქვები. წითელი ფერისთვის კერამიკის

ნატეხებია გამოყენებული, სმალტა მწვანე ფერისაა. მოზაიკის დათარიღებისთვის, არქეოლოგები ეყრდნობიან მოზაიკის ზედაპირზე აღმოჩენილ ახ.წ IV საუკუნის მონეტას და მოზაიკის სტილს, რომლის მიხედვითც მოზაიკას ახ.წ. III საუკუნის მეორე ნახევრით ან IV საუკუნის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს. აღწერილი მოზაიკის მახლობლად, დასავლეთით ამავე სათავსოში აღმოჩნდა კიდევ ერთი ნაწყვეტი მოზაიკური იატაკისა, რომელზედაც ისეთივე კენჭებით (ცოტა უფრო მსხვილით) გეომეტრიული ორნამენტია გამოყვანილი და ერთი სუროს ფოთოლი. ცენტრალურ მოზაიკასაც აქვს თავისი ბორდული, რომელსაც არაწესიერი მრავალკუთხედის მოყვანილობა აქვს. აღნიშნული მოზაიკაც ახ.წ. III-IV საუკუნებით არის დათარიღებული. არქეოლოგები შენობის დანგრევის თარიღად ახ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევარს მიიჩნევენ, ხოლო აშენების თარიღად ახ.წ. II-III სს (ფუთურიძე, 1975:131, ტაბ. XVII).

მსგავსი ტიპის შენობა აუგიათ ქუჩის მეორე მხარესაც, მის პირდაპირ, ესაა XIII თხრილში გამოვლენილი ნაგებობა, რომელიც ისეთივე კონტრფორსებიანი კედლებითაა ნაგები, ისეთივე ფართობისაა და იმავე ფართობის მინაშენი აქვს როგორც XVI თხრილში აღმოჩენილ შენობას. შენობები თანადროულია და მინაშენების მიშენებაც ერთდროულად მოხდა, ერთისთვის სამხრეთით, ხოლო მეორესთვის ჩრდილოეთით. შემდგომ კი ერთის მინაშენი გადატიხრეს, მეორესი კი არა.

ამ ორ ნაგებობას შორის გამავალი ქუჩის სიგრძე 5,5, მ. იგი მოკირწყლულია, მოპირკეთებულია კერამიკის ნატეხებით და გამომწვარია თიხით, ნაწილი კი ნაგლეჯი ქვებით, მაგრამ არა მთელ ფართობზე, ქუჩის სამხრეთი ნაწილი არ ჩანს მოკირწყლული, შესაძლებელია იყო მაგრამ შემდეგ განადგურდა, ამ ნაწილში გადის საკანალიზაციო არხი, რომელიც ნაგლეჯი ქვებითაა ამოშენებული, იატაკი კი ჰიდლავლიკური ხსნარითაა მოგებული. ქუჩა წყდება ნაგებობის დასავლეთით, მისგან 2,70 მ დაშორებით, აქ უკვე მას კვეთს სხვა შენობის კედელი. ქუჩის დასავლეთ ნაწილში გაკეთდა თხრილი, რამაც საშუალება მისცა არქეოლოგებს გამოეკვლიათ ქვედა ფენები, ჭრილის ჩრდილოეთ ნაწილში გამოჩნდა იატაკის ორი ფენა, ჰიდრავლიკული ხსნარით მოგებული, ზოგიერთ ადგილას იატაკის ფენა დანგრეულია და მათ შორის კიდევ ერთი

კულტურული ფენა გამოიკვეთა. იატაკსა და მის ნანგრევებს მოსდევს ცეცხლის ნაკვალევი და ისევ კირხსნარის შემცველი იატაკის ფენა, მის ქვემოთ კი ხრეშია, რომელშიც შიგადაშიგ თიხანარევი ფენებიც არის. თიხას ურევია მსხვილი კენჭებიც, კიდევ უფრო ქვემოთ წვრილი კენჭებია და უფრო ქვემოთ კი ქვიშა. რომელიც სავარაუდდოო გრუნტულია, მის ქვეშ ამოვიდა წყალი. როგორც ჭრილის ფენებიდან ჩანს, ქუჩა ძალიანაა დაზიანებული. იგი რამდენჯერმე შეუკეთებიათ და სულ მცირე სამჯერ მაინც მოუგიათ მისი ზედაპირი (ფუთურიძე, 1975:133, სურ.13).

XVI თხრილის აღმოსავლეთით გათხრილ XVII თხრილში გამოვლინდა სამსათავსოიანი ნაგებობა. მკვლევართა ვარაუდით, სათავსოები არ უნდა იყოს ერთდროულად აგებული. ისინი პირობითად დაინომრა N 1, 2 და 3 - ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. აქედან ყველაზე ადრე 1 სათავსო უნდა იყოს აგებული.

პირველი ნაგებობა, რომლის ფართობია 7,5x12,5 მ, გაყოფილია ორად: აღმოსავლეთით მდებარე ოთახი მოლესილი ჰიდრავლიკული ხსნარით, როგორც იატაკი, ისე კედლები. ამ ოთახის ზომებია 4,00 x 7,50 მ. აქა-იქ არის შემორჩენილი თიხის ფილების ნატეხები და სათავსოს ჩრდილო -დასავლეთ კუთხეში, მოზაიკის მოზრდილი ნაწილი, არქეოლოგები ფიქრობენ, რომ ოთახის იატაკი ერთ დროს მოზაიკით ყოფილა მოპირკეთებული. სათავსოს კედლები ფართო, 1,00 მ სისქისაა. აგებულია ზღვური კონგლომერატით კირხსნარზე. სათავსოს დასავლეთ ნაწილში მოფენილია ზღვური კონგლომერატით და ბრტყელი აგურებით შედგენლი დაბალი სვეტებით. გამოვლინდა სამი მილი, ღარიანი კრამიტების ერთმანეთზე დაფარებით. მათი გაგრძელება (ისინი ქუჩაში მიემართებია) განადგურებულია. ნაგებობის იატაკქვეშ ფართობი მთლიანად არ გათხრილა, თუმცა არქეოლოგების ვარაუდით ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს იატაკქვეშა გათბობაზე. რაც შეეხება მილებს, ისინი კანალიზაციის უნდა იყო, მიმართულების მიხედვით უნდა უერთდებოდეს საკანალიზაციო სისტემას, რომელიც მდებარეობს ციხის ცენტრალურ უბანზე (ფუთურიძე, 1975:133; სურ.13).

მეორე სათავსო სამხრეთიდან ეკვრის პირველს, ისიც ნაგებია ზღვური კონგლომერატით, მაგრამ მისი კედლები (გარდა პირველ სათავსოსთან საერთო

კედლისა), გაცილებით უფრო თხელია. სათავსოს შიდა ფართობის სიგანე დაახლობით 4,50 მ აღწევს, ხოლო აღმოსავლეთით - 4,00 მ. მისი აღმოსავლეთი და დასავლეთი კედლები შედარებით გვიანაა აგებული, ვიდრე ის კედლები, რომლებიც მას პირველ და მესამე სათავსოსთან აქვს საერთო. როგორც ჩანს, შემდეგ ხანებში შეუერთებიათ სათავსოები. მეორე სათავსო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გადაკვეთილი აღმოჩნდა გვერდებაკეცილი კრამიტებისაგან შედგენილი სადინარით, რომლებიც კედლებში გამოყენებული კირხსნარისაგან განსხვავებული ხსნარით იყო ამოვსებული. მეორე სათავსო, როგორც ჩანს, ადრე ეზოს წარმოადგენდა და მასზე გადიოდა წყლის დასაწრეტი არხი. ამავე სათავსოში, სადინარის დონეზე დაზიანებული, ჰიდრავლიკური ხსნარით მოგებული იატაკი ამოჩნდა. მის ქვემოთ 0,40 მ სიღრმეზე მეორე ასეთივე იატაკი აღმოჩნდა, ხოლო მათ შორის მოთავსებული სივრცე ამოვსებული იყო გამომწვარი თიხის გუნდებით, რომლებსაც ბზეც ერია და ხის ანაბეჭდებიც ემჩნეოდა. სწორედ ამ ნატეხებს შორის იქნა ნაპოვნი სპილენძის მედალი ანტნიოს პიუსის (138-161 წწ) გამოსახულებით. ამ მედალიონმა მისცა არქეოლოგებს საფუძველი, რომ ფენა დაეთარიღებინათ ახ.წ. II საუკუნის შუა წლებით (ფუთურიძე,1975:137; ტაბ. XX-1,4).

მესამე სათავსოს კედლები უმთავრესათ ნაგლეჯი ქვებითაა ნაგები. მისი შიდა ფართობია - 5,5მx12მ. აქაც ორი იატაკის ფენაა გამოვლენილი - ზედა და ქვედა; მათ შორის გამომწვარი ბათქაშის ნატეხებია ჩაყრილი. როგორც ჩანს, ტიხრების მონგრევისა და მოსწორების შემდეგ დააგეს ზედა იატაკი და ასე წარმოიშვა მათ შორის ბათქაშიანი ფენა (ფუთურიძე,1975:138; სურ.15).

მესამე სათავსოს სამხრეთით ჰქონია შესასვლელი. ამაზე მიუთითებს, სამხრეთ კედელში გადარჩენილი სამი ბრტყელი ქვა, რომლებიც ზღურბლს უნდა წარმოადგენდეს.

XVII თხრილის აღმოსავლეთით გაიჭრა XVIII თხრილი, რომლის ჩრდილოეთ ნაწილში გამოვლინდა ნაგებობათა რთული კომპლექსი. მკლევარების ვარაუდით, იგი აბანო უნდა იყოს. ამაზე მიუთითებს ჰიდრავლიკური ხსნარით მოლესილი ორი აბაზანის ნაშთი, მათ ქვეშ იატაკქვეშა გათბობის ნაშთები, მოზაიკური იატაკის

ფრაგმენტი, წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის ნანგრევები (ფუთურიძე,1975:138, ტაბ.XXIII-1,2).

ეს ფართობი უშუალოდ გრძელდება XVII თხრილის პირველი სათავსოს აღმოსავლეთით, მათ ერთი კედელი (XVII თხრილისთვის აღმოსავლეთი, ხოლო ,,აბანოსთვის'' დასავლეთით) საერთო აქვთ. ამ კედლის სიგანე არის 1,12 მ; მას უშუალოდ მოსდევს აღმოსავლეთისაკენ აბაზანა N1 , რომლის სიგრძეა 2,80 მ, სიგანე კი - 1,20. აბაზანა მოლესილია ჰიდრავლიკური ხსნარით.

აბაზანას სამხრეთი კედლის ძირში აქვს ნახვრეტი - წყლისაგან დასაცლელი, რომელშიც დატანებულია ღარიანი კრამიტებისაგან შედგენილი და ფილით გადახურული ღარი, დაქანებული დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. კედლის სიგრძე სულ 2,00 მ-ია, იგი 2 საფეხურით ბოლოვდება, რომელიც აბაზანის ძირზე უფრო დაბლა არსებული იატაკამდე მიდის. დაუზიანებელია მოზაიკური იატაკი აბაზანების აღმოსავლეთით მდებარეობს, თითქმის მათ დონეზე. მოზაიკა მასზე 7-8 სმ-ით უფრო მაღლაა. მოზაიკა დაზიანებულია სხვადასხვა აგრარული სამუშაოების შედეგად (ფუთურიძე, 1975:139, ტაბ.XXII-2).

ნახევარწრიული სათავსოს, სამხრეთითა და ჩრდილოეთით საკანალიზაციო არხები ჩამოუდის. არხების ნაწილი გადახურულია ვერტიკალურად დადუღებული კერამიკული ფილებით.

ეს ე.წ. აბანოს კომპლექსი, ორი აბაზანა, მოზაიკური იატაკი და ნახევარწრიული სათავსო მოთავსებულია ორ კედელს შორის, რომლებიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიემართებიან. კედლები ზღვური კონგლომერატითა და კირხსნარით არის ნაგები. ამ ნაგებობის ჩრდილოეთი კედელი დევს ჰიდრავლიკური ხსნარით მოგებულ იატაკზე, რომელმიც გამჩნდა პირველი აბაზანის ჩრდილო-დასავლეთი კუთხის გარეთ და მეორე აბაზანის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხის გარეთაც. ამ იატაკსა და ნაგებობის ჩრდილოეთ კედელ შორის დევს კულტურული ფენა, რომელიც ცეცხლის კვალს შეიცავს და 20 სმ სისქისაა. აბანოს კომპლექსი ახ.წ. II საუკუნის შემდგომ, ან მის მეორე ნახევარშია აგებული, ხოლო მის ქვეშ უფრო ძველი ფენები

არსებობს, რაც არქეოლოგებს აძლევს შესაძლებლობას ივარაუდონ და გაამყარონ ადრე გამოთქმული მოსაზრება, რომ ბიჭვინტის შიდაციხის ძირითადი ნაგებობები აშენებული უნდა იყოს II ს ბოლოს ან III ს. დასაწყისში (ფუთურიძე,1975:140, ტაბ. XXIII-3).

ბიჭვინტის შიდაციხეს აღმოსავლეთით აქვს კარიბჭე, საიდანაც იწყება და დასავლეთისაკენ მიემართება შიდაციხის მთავარი ქუჩა.

კარიბჭესთან ახლოს, მთავარი ქუჩის ჩრდილოეთით, აღმოჩნდა ნაგებობა, რომელსაც იატაკქვეშა გათბობა ჰქონდა. ნაგებობას ეტყობა შემდგომი გადაკეთების კვალი, როცა ჰიპოკაუსტებს შორის არსებული სივრცე მიწით ამოუვსიათ და ისე დაუსხამთ იატაკის მოსაპირკეთებელი ხსნარით, რომელიც თავის მხრივ ეყრდნობოდა ბრტყელი, გვერდებაკეცილი კრამიტებისაგან შედგენილ ფენილს (ფუთურიძე,1975:141, ტაბ. XXIV-1).

ჰიპოკაუსტებიან ნაგებობაზე ადრე, აქ სხვა ნაგებობაც ყოფილა. იატაკი, რომელზედაც დაშენებულია ჰიპოკაუსტები და კალორიფერის მრგვალი აგურებისაგან შედგენილი სვეტები, კირხსნარით ყოფილა მოლესილი. როგორც ჩანს, მოლესვასთან ერთად მაშინვე ჩაუსვამთ კალორიფერის სვეტები, ერთ ადგილას მოლესილობაზე აღბეჭდილია მრგვალი აგურების ანაბეჭდები. ნაგებობის ზედა იატაკის ქვეშ, ჰიპოკაუსტებს შორის ჩაყრილ მიწაში ნაპოვნი იყო სპილენძის მონეტები, რომელიც ტრაპიზონული აღმოჩნდა ახ.წ. III საუკუნის პირველი ნახევრისა. აბანოს კომპლექსი ბიჭვინთის შიდაციხის ძველ შენობათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელსაც შემდეგში განუცდია გადაკეთება და ბოლოს გაუქმებულა აქ სხვა დანიშნულების ნაგებობათა გამართვის გამო, რაც საერთოდ შიდაციხის მთელ ფართობზე შეიმჩნევა და ახ.წ. IV-VI საუკუნეებთან არის დაკავშირებული (ფუთურიძე,1975:141, ტაბ.XXIV-3).

შიდაციხის მთელი ფართობი დასერილი ყოფილა საკანალიზაციო არხებით და წვიმის წყლის საწრეტი ღარებით.

1966-1967 წლებში ბიჭვინთის შიდაციხის ცენტრალური ქუჩის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გაითხარა კარგად დაცული, ახ.წ. III საუკუნის შუა წლებში დანგრეული ფენა. არქეოლოგების აზრით, მისი დაწვა და დანგრევა დაკავშირებული

უნდა იყოს გოთების შემოსევასთან, რომელიც, როგორც ცნობილია, უნდა მომხდარიყო 252 წლის ახლო ხანებში. ამ შენობების შესახებ დაწვრილებით მოგვითხრობს V საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი ზოსიმე, რომელიც გოთებს სკვითებად მოიხსენიებს (ფუთურიძე,1975:141).

ზოსიმეს ,,ახალ ისტორიაში'' ვკითხულობთ: ,,როდესაც სკვითებმა დაიწყეს მოოხრება ყველაფრისა, რაც გზაში ხვდებოდათ, პონტოს სანაპიროს მცხოვრებლები გაიქცნენ შიდა ხმელეთში და გამაგრებულ ადგილებში, ხოლო ბარბაროსები პირველ ყოვლისა თავს დაესხნენ ბიჭვინთას, რომელიც შემოზღუდული იყო უზარმაზარი კედლით და რომელსაც ჰქონდა კარგად მოწყობილი ნავსადგური. ადგილობრივი ჯარის სათავეში იდგა სუკესიანუსი, მან მთელი თავისი ჯარებით შეუტია ბარბაროსებს და გარეკა ისინი. ხოლო სკვითებმა იმის შიშით, რომ სხვა სიმაგრეების მცველებმაც არ გაიგონ და შეურთდნენ ბიჭვინტის ჯარებს და საბოლოოდ არ გაგვანადგურონო, აი ამის შიშით ხელთ იგდეს ხომალდები რაც კი შეეძლოთ და ძალიან შეშინებულმა მოჰკურცხლეს, ისე, რომ ბიჭვინთასთან ბრძოლებში ბევრი თავისი მეომარი დაჰკარგეს. ევქსინის პონტის სანაპიროს მცხოვრებლები, რომლებიც, როგორც ვთქვით, გადარჩნენ სუკესიანუსის სტრატეგოსობის წყალობით, იმედოვნებდნენ, რომ სკვითები, რომლებიც ამნაირად უკუქცეულ იქნენ, ვერასდროს ვერ გაბედავდნენ გადმოსვლას. მაგრამ, როდესაც იმპერატორმა ვალერიანემ საუკესიანუსი გაიწვია და სამეფო კარზე მისცა თანამდებობა, და მიჰყო ხელი ანტიოქიის საქმეების მოგვარებას და მის დასახლებას, მაშინ სკვითები კვლავ გამოჩნდნენ, ბოსფორელებს აღარ დაუბრუნეს ხომალდები, როგორც წინათ, და არც შინ გაუშვეს, არამედ ამ ხომალდებით მიადგნენ ფაზისს, სადაც, როგორც ამბობენ, აშენებული იყო ფაზისის არტემიდეს საკურთხეველი და აიეტის სასახლე. მათ სცადეს ამ საკურთხევლის აღება, მაგრამ უნაყოფოდ; ამის შემდეგ პირდაპირ წავიდნენ ბიჭვინთისკენ. ეს ციხე აიღეს მათ დაუბრკოლებლივ, მთელი მისი მცველი ჯარი გაწყვიტეს და განაგრძეს გზა. იშოვეს დიდი რაოდენობა ხომალდებისა და ცურვისათვის გამოიყენეს ტყვეები, რომლებმაც იცოდნენ ნიჩბების ხმარება'' (გეორგიკა, 1961:266).

ამ ცნობის დადასტურებად შეიძლება მივიჩნიოთ არქეოლოგიური გათხრების შედეგები, რომელიც ჩატარდა ბიჭვინტის ციხეში 1966-1967 წლებში (ფუთურიძე, 1975:140).

შიდაციხის ცენტრალური ქუჩის სამხრეთით აგებული ნაგებობა შიდაციხის სხვა შენობებთამ ერთად ახ.წ. II ს მეორე ნახევარში ან III ს დასაწყისში უნდა აეგოთ, მაგრამ შემდეგ ხანებში მას რამდენჯერმე განუცდია გადაკეთება და, როგორც ჩანს, სულ სხვა დანიშნულების სათავსოდ ქცეულა, ვიდრე თავდაპირველად იყო. თავდაპირველ ნაგებობაში გადარჩენილია მოზაიკური იატაკის ფრაგმენტები, ხოლო ნაგებობის არსებობის უკანასკნელ ხანაში კერამიკული ფილებითა და ფიქალი ქვით მოგებულ იატაკზე დიდი რაოდენობით დამწვარი ხორბალია დაყრილი. ნაგებობის შიდა ფართობზე, მის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ხშირია მარმარილოს სვეტების, მათი კაპიტელებისა და ამავე მასალისაგან დამზადებული კრამიტის მოყვანილობის მქონე ფილების ნატეხები. მოზაიკურ იატაკიან შენობას უნდა უკავშირდებოდეს ჰიდროვლიკურ ხსნარით მოლესილი აბაზანები, რომლებსაც შემდეგში განუცდიათ გადაკეთება. აბაზანა, მოლესილია ჰიდრავლიკური ხსნარით. დასავლეთი კედელი მომრგვალებული აქვს, იგი სამხრეთით გრძელდება, ეტყობა შემდგომი გადაკეთების კვალი.

ნაგებობის ბოლომდე კვლევა არ დასრულებულა, რაც ნაგებობის დანიშნულების შესახებ სრულ ინფორმაციას არ იძლევა. ცხადია მხოლოდ ის, რომ სხვადასხვა სამშენებლო პერიოდი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობას ეკუთვნის.

მოზაიკა ამჟამად ნაგებობის იატაკს მთლიანად არ ფარავს, აღმოსავლეთ ნაწილში მას ქვის ფილები ცვლის, რაც სავარაუდოდ შენობის მერმინდელი გადაკეთების შედეგია. მოზაიკა შედგენილია წვრილი, ოთხკუთხა კენჭებისაგან და მხოლოდ გეომეტრიული მოტივებია გამოსახული. მოზაიკური იატაკი შეიცავდა კრამიტის მცირე ზომის ნატეხებს და თითქმის არ შეიცავდა სხვა ნივთებს, გარდა ორიოდე მინის ჭურჭლის ნატეხისა, რომელთაგანაც ერთი ადრეული ხანას ეკუთვნის (ახ.წ. III ს.) დანარჩენი კი უსახო ნატეხია. თარიღის დასადგენად მხოლოდ ეს გარემოება რჩებათ

არქეოლოგებს, რომ მოზაიკური იატაკი ეკუთვნის თავდაპირველ შენობას ეს უკანასკნელი კი ბიჭვინთის აშენების ხანას უნდა ეკუთვნოდეს - ე.ი. ახ.წ. II ს ბოლოს ან III ს დასაწყისს. რაც შეეხება ამ ფართობზე არსებული შენობის საბოლოოდ დაღუპვის თარიღს, არქეოლოგები მას ბიზანტილების მიერ შიდაციხის დანგრევას, ე.ი. VI საუკუნეს უკავშირებენ (ფუთურიძე, 1975:157).

XIX თხრილში, რომელიც მდებარეობს ციხე-ქალაქის დასავლეთ ნაწილის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთზე, თხრილის აღმოსავლეთი მხრიდან, უდიდესი ნაწილი აბანოს კომპლექსი აღმოჩნდა. ყველაზე კარგად შემორჩენილია აბანოს ქვედა, იტაკქვეშა განყოფილება - ჰიპოკაუსტი. შედგება ორი განყოფილებისაგან. გაითხარა აბანოს ცივი განყოფილება (frigidarium), შემორჩენილია ამ განყოფილების სამი კედელი (N. 1,15,19). N 11 კედელი წარმოადგენს აბანოს ცივი განყოფილების გამომყოფს თბილისაგან. იგი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ არის მიმართული და გადის N 11 კვადრატში. კედელზე ზედაპირიდან მიშენებულია საფეხურები. მთლიანად აბანოს ცივი განყოფილება დაზიანებულია, განსაკუთრებით მისი ჩრდილოეთი მხარე. ამ მხრივ სავარაუდოა აგრეთვე აბანოს გასახდელის (apoditerium) არსებობაც.

აბანოს ცივ განყოფილებას აღმოსავლეთ მხარეს ესაზღვრება თბილი განყოფილება. შემორჩენილია მხოლოდ იატაქვეშ განყოფილება - ჰიპოკაუსტი. მისი იატაკი ვარდისფერი ჰიდრავლიკური ხსნარის სქელი ფენითაა მოკირწყლული, რომელზედაც მრგვალი და ბრტყელი აგურების კალორიფერის სვეტებისაგან შემდგარი მწკრივები გადის. სულ 4 ასეთი მწკრივია შემორჩენილი. დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ სვეტების სიმაღლე 0,50 მეტრამდე აღწევს. ისინი 0,37-0,40 მ არიან დაშორებული ერთმანეთს. სათავსოს გაწმენდისას კალორიფერის სვეტებს შორის ჩნდებოდა აგურებისა და ბათქაშის სქელი ნატეხები. იგი აბანოს თბილი განყოფილების იატაკისა (ჰიპოკაუსტის ჭერის) და მისი შელესილობის ნაშთებს წარმოადგენდა. აღნიშნული სათავსოს კედლები (N 9,1 და 15) შემორჩენილია 0,5 მ სიმაღლეზე. ნაგებია ზღვრული კონგლომერატით - კირხსნარზე. წყობაში ზოგან ურევია ბრტყელი აგურები და კირქვის უსწორმასწორო კვადრები.

სათავსოს აღმოსავლეთ მხარეს ნაწილობრივ დაზიანებულია კალორიფერის სვეტები. შემორჩენილია აგურის დიდი ფილებით მოკირწლული იატაკის ნაწილი. დანგრეული ნაწილის აღმოსავლეთით არის მრგვალი აგურის კალორიფერის სვეტების მწკრივი. აბანოს თბილი განყოფილების ფართობი 26,52 კვ. მეტრია. იგი აღმოსავლეთით ესაზღვრება ცხელი განყოფილების (caldarium) იატაქვედა ნაწილს. კალდარიუმის ჰიპოკაუსტი აბანოს თბილი განყოფილებისაგან (tepidarium) გამოყოფილია კედლით, რომელშიც სამგან დატოვებულია 0,50 მ სიგანის ღიობი. კედლები ნაგებია კირხსნით მოგებულ ამაღლებულ იატაკზე. ერთ-ერთი ღიობი შევსებული ყოფილა კირხსნარით და აგურის ფილებით (ეტყობა შემდეგი ჩაშენების კვალი). კედლები ნაგებია ზღვური კონგლომერატით, რომლეშიაც ბევრგან ურევია აგურის ფილები. უხვადაა გამოყენებული კირხსნარი. კედლის სისქე საშუალოდ არის 0,85 მ. კალდარიუმში (caldarium) გრძელდება აგურის ფილებითა და კალორიფერით ნაგები სვეტების მწკრივი. აგურებს შორის სიმაგრედ კირხსნარია გამოყენებული. ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს გრძლედება ტეპიდარიუმში გამავალი კედლები (N 9 და N 15). ნაგებობის აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკიდან 0,20 მეტრის სიმაღლეზე თიხის დიდრონი ფილებით მოგებული მოედანია. ამაღლებული მოედნის შუა ნაწილში შეინიშნება ფილებით ნაგები ნახევარწრე, რომელსაც ეტყობა ცეცხლის ხანგრძლივად ანთების კვალი. როგორც ჩანს, აქ აბანოს საცეცხლე განყოფილება უნდა ყოფილიყო. საცეცხლე განყოფილების აღმოსავლეთ მხარეს გადის N 18 კედელი, რომელიც ზღუდავს კალდარიუმს. იგი გვიან ჩანს ჩაშენებული. N 18 კედლის N 9-სთან შეერთების ადგილზე შეინიშნება ნაკერი. კედლის სიქე 0,90 მეტრია. ნაგებია ზღვრული კონგლომერატებით. აღმოსავლეთი მიმართულებით გრეძლდება კალდარიუმის კედლები და ჩრდილოეთიდან სამხრეთის ხაზზე იკვრება N 17 კედლით. აღნიშნული მონაკვეთი აბანოს თანადროული ჩანს.

აბანოს ჰიპოკაუსტის კედლები შემორჩენილია 0,50-0,60 მ სიმაღლეზე. სწორედ ეს დონე შეიძლება მივიჩნიოთ აბანოს ზედა იატაკად. ჰიპოკაუსტის კედლის პირზე გადადის მეზობელი სათავსოს იატაკის დონე. აღნიშნული სათავსო წარმოადგენს აბანოს სამხრეთ მინაშენს. მინაშენის ჩრდილოეთი კედელი უშუალოდ მიდგმულია აბანოს სამხრეთ კედელზე. ამ მონაკვეთზე დუღაბი ისე ყოფილა დასხმული, რომ ერთიანი

კედლის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მინაშენის ჩრდილო კუთხესთან მოწყობილია სათავსო, რომლის იატაკი ფილებითაა მოფენილი. ეს ფენილი ორმხრივ შემოზღუდულია და შესასვლელი მხოლოდ სამხრეთი მხრიდან აქვს (სიგანე-0,75). მინაშენის დანარჩენი ნაწილი მოზაიკით ყოფილა მოგებული. შემორჩენილია მხოლოდ მოზაიკის შემზადება. თვით მოზაიკა თითქმის მთლიანად აყრილია. მინაშენის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ჩადგმულია აგურისგან შედგენილი მცირე სათავსო - ნიშა. აღნიშნული ნიშა შესაძლოა ტანით დასაზელი ზეთების შესანახი ადგილი ყოფილიყო, ხოლო სათავსო, სადაც ნიშაა გამართული, უნკტუარიუმი (unctuarium).

ზემოთ აღნიშნული ნაგებობები, რომლებიც აბანოს კომპლექსს მიაკუთვნეს, ძალიან დანგრეულია და როგორც ჩანს, მათ ხშირად განუცდიათ გადაკეთება, ამიტომ არქეოლოგებს უძნელდებათ სხვადასხვა დანიშნულების სათავსოების მკაფიოდ გამოყოფა, გარდა ჰიპოკაუსტისა.

XIX თხრილში აღმოჩენილი აბანო ყოველთვის არ ემორჩილება სათავსოების განლაგების ტრადიციულ წესს (თითქმის დარღვეულია ანფილადური სისტემა), თუმცა ბევრი ნიშნით იგი ჰგავს საქართველოს ტერიტროაზე აღმოჩენილ გვიანანტიკური ხანის აბანოებს. გასახდელი (apoditerium) და ცივი განყოფილება (frigidarium) ერთ სათავსოში ჩანს გაერთიანებული.

აბანოს კომპლექს დასავლეთიდან ეკვრის ,,აბსიდიანი'' ნაგებობა, აბსიდას აღმოსავლეთის მხრიდან ირგვლივ ღარი ჩაუდის. ღარის იატაკი აგურის ფილებითაა მოგებული და შელესილია ვარდისფერი დუღაბის ხსნარით. ღარის საშუალო სიგანე 15-16 სმ. აბსიდა მხრებთან გადაჭრილია სამეურნეო დანიშნულების თხრილებით, მას დასავლეთით ეკვრის ოთხკუთხა ნაგებობა, რომელსაც ჩაჭრილი აქვს აგურის ფილაფენილი იატაკი. აღნიშნული იატაკი, სავარაუდოდ, აბსიდასთან დაკავშირებული პირველი ნაგებობისა უნდა იყოს. იგი გრძელდება აბსიდის შიდა ფართობზეც. ოთხკუთხა ნაგებობაზე დასავლეთ მხრიდან ორსაფეხურიანი ექვსი კიბეა მიდგმული. საფეხურების სიმაღლე 0,2 მ აღწევს. სათავსოს კედლები შემორჩენილია 0,5 მ სიმაღლეზე. იგი ნაგებია რიყის ქვისა და კონგლომერატების ნარევის სწორი წყობით.

სათავსოს ცენტრალურ ნაწილში აბაზანაა აშენებული. აბაზანის იატაკი და კედლები ვარდისფერი ჰიდრავლიკური ხსნარითაა შელესილი. აბაზანას ეტყობა მეორედ ჩაშენების კვალი, პირველად იგი უფრო ფართო და ღრმა იქნებოდა. აბაზანას გარშემოუყვება ბორდიური.

აბსიდიანი ნაგებობის დასავლეთ მხარეს აღმოჩნდა აუზი, რომლის ზედაპირი დაახლოებით ნაგებობის იატაკის დონეზე გადის. აუზის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ვერტიკალურად ჩადის 0,05 მ-ის დიამეტრის ხვრელი, ხოლო სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში გაკეთებულია აგურის ორი საფეხური (აუზში ჩასასვლელად). აუზის გარშემო აგურით მოკირწლული იატაკი გადის. მისი კედლები აღნიშნული იატაკის დონიდან 0,01 მეტრითაა ამაღლებული. აბსიდიანი ნაგებობა და აუზიც აბანოს კომპლექსთან ჩანს დაკავშირებული. ზემოთ აღწერილი ნაგებობების დიდი ნაწილი ძლიერ არის დანგრეული, ამიტომ არქეოლოგებს უჭირთ მათი ფუნქციის განსაზღვრა.

აბანოს კომპლექს ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება არხებით გარშემორტყმული ნაგებობა. ნაგებობის ცენტრალური ნაწილი წარმოადგენს შემაღლებას, რომლის ზედაპირი მოფენილია ოთხკუთხა აგურის ფილებით. შემაღლებას ნაწილობრივ ჰიდრავლიკური ხსნარის ბორდური შემოუყვება. ნაგებობა მოთავსებულია ოთხკუთხა სათავსოში, რომლისგანაც გამოყოფილია 0,4 მ სიგანის არხებით. არხის კედლები შელესილია ჰიდრავლიკური ხსნარით, ხოლო იატაკი აგურის ფილებითაა მოგებული.

არხებიანი ნაგებობის დასავლეთ მხარეს უფრო გვიან აუგიათ აბაზანა. აბაზანის კედლები ნაგებია კონგლომერატისა და რიყის ქვით დუღაბზე. იატაკი აგურ-კრამიტის ჰქონია. აბაზანის სამხრეთით კვადრატში მდებარეობს აუზი. აუზის კედლები და იატაკი ჰიდრავლიკური ხსნარით ყოფილა შელესილი, ნაგებია კონგლომერატისა და რიყის ქვისაგან. აუზის ფსკერზე აღმოჩნდა რიყის დამუშვებული სიპი ქვა. აღნიშნულ აუზს დამარილებული თევზის შესანახ სათავსოდ მიიჩნევენ არქეოლოგები (ნიკოლეიშვილი, 1975: 160, სურ.18).

აბანოს კომპლექსის დასავლეთით და ჩრდილოეთით გამოიკვეთა დერეფნების სისტემა. გამოვლინდა რამდენიმე სამშენებლო დონე. ყველაზე გვიანი იატაკი ქვაფენილისაა. იგი მთელ სიგრძეზე გასდევს თხრილს. აღნიშნული სამშნებლო ჰორიზონტი იფარგლებოდა კედლებით და სვეტის ძირებით. სვეტები თანაბარი მანძილითაა დაცილებული ერთმანეთს. კედელი მოზაიკიან იატაკზე დევს. კედლის მშენებლებს სცოდნიათ მოზაიკის არსებობა. ამ მონაკვეთზე უხვად ჩნდებოდა კრამიტის ნატეხები, რაც ნაქალაქარის ცხოვრების ბოლო ეტაპზე გამართული ნაგებობის გადახურვაზე უნდა მიუთითებდეს.

ზემოთ აღწერილი სამშენებლო დონე გრძლედება აგრეთვე XIX თხრილის დასავლეთ მონაკვეთში ჩრდილოეთ და სამხრეთ ზოლზე. აქ გვიანი ტერასა იქმნება სვეტისძირებით და კედლით. ანალოგიური სურათი გვაქვს XIX თხრილის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ამ გალერეას ქმნის ისევ კედელი და სვეტისძირები და ამ სვეტისძირების გამაერთიანებელი კედელი.

XIX თხრილის ჩრდილოეთ ზოლზე თითქმის ყველაგან შეინიშნება ქვაფენილიანი იატაკის ნაშთები. თხრილის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ქვაფენილი უშუალოდ ადევს მოზაიკიან იატაკს. ეს მონაკვეთი შემაღლებული ჩანს გალერიის დასავლთ ნაწილთან შედარებით. როგორც ჩანს, აქ მდებარე კედელი წარმოადგენდა გალერიის ტიხარს, ნაქალაქარის ცხოვრების ბოლო პერიოდში(ნიკოლეიშვილი, 1975:161, სურ.18).

შემდეგი ფენა (II) დაკავშირებულია ჰიდრავლიკური ხსნარით მოპირწყლულ იატაკთან. იგი ქვაფენილიანი იატაკის ქვეშ გადის და კარგად შეინიშნება XIX თხრილის ჩრდილოეთ ზოლზე. ამ ფენის შესატყვისია აგურით მოფენილი იატაკი, რომელიც ქვაფენილი შემდეგ ჩნდება XIX თხრილის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. აღნიშნული ფენა ქრონოლოგიურად დიდად არ არის დაცილებული პირველ სამშენებლო დონეს. როგორც ჩანს, არ შეცვლილა აგრეთვე ნაგეგობათა ფუნქციაც.

XIX თხრილში ჩრდილოეთ ნაწილში მოზაიკიანი იატაკის ჩაჭრის შემდეგ გამოჩნდა კედლების სისტემა, რომელიც II სამშენებლო პერიოდს უკავშირდება. კედლები, რომელიც ნაგებია კონგლომერატის კვადრებით. იატაკი ორფეროვანია. ქვედა

ფენა ჰყოფს ნახევარწრიული კედლის მიერ შექმნილ ექსედრის მსგავს სათავსოს აღმოსავლეთ მხარეს მდებარე ოთხკუთხა ნაგებობისაგან. ექსედრისებური ნაგებობის იატაკი საგანგებოდაა მოლესილი ჰიდრავლიკური ხსნარით. იატაკი ორჯერ ჩანს განახლებული. ექსედრაში კედლის გასწვრივ სკამია მოწყობილი. N 6 კედლის გაგრძელება ჩრდილოეთ მხარეს უკავშირდება აბაზანას, აბაზანა კარგადაა შელესილი ჰიდრავლიკური ხსნარით. იგი დაკავშირებული ჩანს მოზაიკიანი იატაკის მქონე ნაგებობასთან (ნიკოლეიშვილი, 1975:164).

III სამშენებლო ეტაპი XIX თხრილის ჩრდილოეთ ზოლზე წარმოიქმენაბა ერთი კომპლექსი, რომელიც სამი სათვსოსაგან შედგება. აღწერილი სათავსოების კედლები ნაგებია კირქვის ნატეხი ქვებით დუღაბზე. სრულიად არ გვხვდება აგურ-კრამიტისა და კონგლომერატების გამოყენების შემთხვევები. ამ ნიშნით იგი თვისობრივად განსხვავდება გვიანი სამშენებლო ჰორიზონტის ნაგებობებისაგან.

ზემოთ აღნიშნულის ანალოგიურ სათავსოებს ქმნიან N 70 და N 72 კედლები XIX თხრილის ჩრდილოეთისა და სამხრეთის ზოლზე. ამ უბანზე კედლებს შორის ფართობი დატიხრულია. ეს კედლები ცოცხლობენ სხვადსახვა სამშენებლო პერიოდში. აღსანიშნავია, რომ ქვედა კედლები ქმნიდნენ დიდი სათავსოს, რომლის იატაკი მოლესილი ყოფილა ჰიდრავლიკური ხნარით. უფრო გვიან სათავსოს ტერიტორიაზე აუგიათ გალერეის საყრდენი სვეტისძირები.

ყველაზე ადრეული სამშენებლო (IV) პერიოდის მოქმედ ნაგებობებს მიეკუთვნება ზემოაღნიშნული კედლების ნაწილი.

XIX თხრილის ტერიტორიაზე აღმოჩნდა აგრეთვე რამდენიმე კოლექტორი. არქეოლოგებს უძნელდებათ მათი დაკავშირება რომელიმე ნაგებობასთნ. XI კვადრატში კიბესთან იწყება ნახევარწრისებული კოლექტორი, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მიემართება და VIa კვადრატის ფარგლებში შედის ქვაფენილიანი იატაკის ქვეშ. კოლექტორის ძირი და ნაპირები ოთხკუთხა აგურის ფილებითაა მოგებული. მეორე კოლექტორი I კვადრატში აღმოჩნდა. იგი N 50 კედელს მოჰყვება და გადის N 6 კედლის ქვეშ. ეს კოლექტორი კონსტურქციით განსხვავდება პირველისგან.

იგი ნაგებია ორი ერთმანეთზე დაფარებული ღარისებური კრამიტისაგან. შეერთების ადგილები კირხსნარითაა შემტკიცებული. VI კვადრატში გამოვლინდა კოლექტორის ფრაგმენტი, რომელიც ნაგებია კონგლომერატისა და აგურ-კრამიტის შერეული წყობით. იგი III სამშენებლო პერიოდთან დაკავშირებული ნაგებობის იატაკზე გადის და მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. XIII კვადრატში აღმოჩნდა ჭა, რომელიც აბანოს კომპლექსთან ჩანს დაკავშირებული (ნიკოლეიშვილი, 1964:170).

ამრიგად, XIX თხრილში არქეოლოგების მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგად, ძირითადად, გამოვლიდა აბანო და მასთან დაკავშირებული სათავსოთა კომპლექსი. როგორც ავღნიშნეთ, თხრილში აღმოჩენილი ცალკეული ნაგებობების ფუნქციის განსაზღვრა ძლიერ გაუჭირდათ მკვლევარებს მათი ხშირი დანგრევა-გადაკეთების გამო.

ქვაფენილიანი იატაკის დონეზე (I ფენა) აღმოჩნდა ბრინჯაოს სამაჯური. ანალოგიურ სამაჯურებს ბ.კუფტინი ადრებიზანტირუი ხანით ათარიღებს (Куфтин, 1949:94). ახ.წ. IV საუკუნეს მიეკუთვნება ე.წ. წითელლაკიანი თეფშის ფრაგმენტი, რომელიც გვიან პერიოდის სამშენებლო ჰორიზონტზე აღმოჩნდა.

II სამშენებლო დონეს ეკუთვნის აბანოს კომპლექსი. აღსანიშნავია აბანოს ჰიპოკაუსტის იატაკზე აღმოჩენილი მასალა. XIX კვადრატში აღმოჩნდა IV საუკუნის სპილენძის მონეტა. აღმოჩნდა ასევე წითელლაკიანი თეფშის ნატეხი. მსგავსი თეფშები თარიღდება IV საუკუნით. როგორც ჩანს აბანოც ამ პერიოდში ფუნქციონირებდა.

ადრეული (III და IV) სამშენებლო დონეების დასათარიღებლად საყურადღებო მასალა აღმოჩნდა 26c კვადრატში. აქ ტრაპეზუნტში მოჭრილ კარაკალას მონეტასთან (211-217 წწ) ერთად აღმოჩნდა წითელლაკიანი ჯამიც, რომელიც აგრეთვე ახ.წ. III საუკუნით უნდა დათარიღდეს. აქვე აღმოჩნდა ახ.წ. II ს დასასრულისა და III ს დასაწყისით დათარიღბული მონეტები. ახ.წ. III საუკუნით შეიძლება დათარიღდეს 26-ე კვადრატში აღმოჩენილი ჯამის ფრაგმენტი.

XIX თხრილში აღმოჩენილი უძველესი სამშენებლო დონის დასათარიღებლად მიჩნეულია აქ აღმოჩენილი წითელელაკიანი ჯამის ფრაგმენტი, მსგავსი კეცის და ფორმის ჯამებს ახ.წ. I ს მიწურულითა და II ს დასაწყისით ათარიღებენ.

ამრიგად, XIX თხრილში გამოვლენილი არქეოლოგური მასალა, ძირითადად, ორ ქრონოლოგიურ ჯგუფად დაიყო: პირველი ჯგუფი, რომელიც ადრეულ სამშენებლო დონეებს (III და IV) უკავშირდება, II-III საუკუნეებით თარღდება, ხოლო გვიანდელ სამშენებლო პერიოდში IV – VI სს მასალები დადასტურდა.

ძველი ნაქალაქარის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია ის არქიტექტურული კომპლექსი, რომელიც 1961-1964 წწ გაითხარა XIII ნაკვეთზე.

ცენტრალური ნაგებობა ოთხკუთხაა. იგი შემოზღუდულია 90 სმ სისქის კედლით, რომელიც ნაგებია კონგლომერატის ბლოკებით, რიყის (ზღვური) ქვის მცირე მინარევებით.

შემოსაზღვრული კედელი ნაგებია კირის დუღაბზე, ეს უკანასკენლი თეთრი ფერისაა, მსხვილმარცვლოვანი. კედელი დამაგრებულია კონტრფორსებით. კონტრფორსების სიგანე სასუალოდ 0,90-1 მეტრია, შვერილის სიგანე კი - 40 სმ. კონტრფორსები გარედან არაა შელესილი, მხოლოდ ნაგებობის დასავლეთითაა შელესილი.

აღნიშნული ნაგებობის შიდა ფართობი 12x20x240 მ. ნაგებობის დასავლეთ ნაწილში ჩადგმულია საკმაოდ რთული აღნაგობის შენობა, რომელიც, არსებითად, მთელ ნაგებობას 2, თითქმის თანატოლ ნაწილად ჰყოფს. აღმოსავლეთ ნახევარში, რომელსაც თითქმის 120 კვ.მ (10x212) ფართობი უჭირავს, დარჩენილია მხოლოდ ერთი პილონი, ნაგებობას რამდენიმე სათავსოდ ყოფს. პირველი სათავსოს გეგმა ოთხკუთხა მოყვანილობისაა (7x 3,20 მ-ზე). მის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მოთავსებულია ჭა (მისი დიამეტრი 0,85 მ), რომელიც ამოყვანილია კონგლომერატისა და რიყის ქვებით. ამ სათავსოს აღმოსავლეთით ფარგლავს ცენტრალური ნაგებობის გამყოფი კედელი (N20), ხოლო დასავლეთით კედელი, რომელიც საერთოა ორივე სათავსოსათვის.

მეორე სათავსოს გეგმა, პირობითათ, სამკლავიან ჯვარს გავს. ამ ორივე სათავსოს საერთო აქვს სამხრეთი კედელი, რომელიც მიდგმულია ძირითადი ნაგებობის შესაბამის კედელთან. საერთო აქვთ მათ აგრეთვე ჩრდილოეთი კედელი; ეს უკანასკენლი გამოყოფს პირველ ორ სათავსოს მესამესგან, რომელიც მდებარეობს პირველი ორი

სათავსოს ჩრდილოეთით და ნაწილობრივ მეორე სათავსოს დასავლეთითაც. ე.წ. ჩადგმული ნაგებობის სამხრეთ-დასავალეთ კუთხეში მდებარეობს ჰიდრავლიკური ხსნარით შელესილი მოედანი, რომელიც ერთგვარად აუზის შთაბეჭდილებას ტოვებს, მისი აღოსავლეთი კიდე ჩამოჭრილია, ამიტომ მისი აღმოსავლეთი ნაპირის დადგენა არქეოლოგებს გაუძნელდათ (ლორთქიფაქნიძე, 1975:188; სურ.28).

ძირითადი ნაგებობის შიგნით ტიხრების შედეგად შექმნილ სათავსოებს, ისევე როგორც ძირითად ნაგებობებს, აღმოსავლეთ ნახევარს ჰიდრავლიკური ხსნარით მოლესილი იატაკი აქვს. შეინიშნება იატაკის ორი ფენა.

პირველი ფენა 4 სმ სისქისაა. იგი ამოყვანილია სუფთა კირის ხსნარზე, რომელზედაც დამატებულია კერამიკული ფხვნილი, რაც იატაკს ოდნავ ვარდისფერ იერს აძლევს. ამ ფენის ქვეშ დევს ზღვის ღორღი 4-6 სმ სისქისა. ღორღის ქვეშ შეიმჩნევა უფრო ძველი იატაკი 2-3 სმ სისქისა, ასევე ჰიდრავლიკური დამატებით, მაგრამ თითქოს უფრო მდარე ხარისხის დუღაბზეა ამოყვანილი. შენობის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში გაკეთებულ იქნა ჭრილი, რომელმაც აჩვენა, რომ ქვედა იატაკის (II ფენა) ქვეშ არის კირის დუღაბის 2-3 სმ სისქის უხეში ხსნარი ქვიშის დანამატებით. ამ უკანასკნელს მოსდევს დაახლოებით 10 სმ სისქის დამწვარი თიხის ფენა, რომლის ქვეშაა მძლავრი მომზადება ღორღის სახით (50-60 სმ სისქისა). ღორღი თიხნარზე დევს, რომლის ქვეშ უკვე სტერილური ფენაა. იატაკი ყველგან ებჯინება კედელს, ზოგან იგი კედელზეც იყო ნაწილობრივ ამოყვანილი. სულ სხვა მდგომარეობაა ნაგებობის ჩრდილო მხარეს, სადაც იატაკი ორ ადგილას გადადის კედლის სისქეში. არქეოლოგთა ვარაუდით ეს გარემოება შესაძლოა მიუთითებდეს აქ შესასვლელების ან ტერასის არსებობას.

როგორც ჩანს, არქეოლოგიური გათხრის შედეგად გამოვლენილი კომპლექსი არაა თანადროულად ნაგები. შესაძლოა, მშენებლობის შედარებით გვინდელ საფეხურს განეკუთვნებოდეს ტიხრები, რომელთა საშუალებითაც ნაგებობის დასავლეთ ნაწილში იქმნება ზემოაღნიშნული სათავსოები. ეს კარგად ჩანს ნაგებობის სამხრეთ ნაწილში, სადაც ძირითადად კედელს ედგმის I და II სათავსოების საერთო სამხრეთი კედელი. ნაგებობას, შედარებით გვიან ხანაში გადაკეთება განუცდია, ეს სხვა მონაცემებითაც

დასტურდება. ნაგებობის დაახლოებით შუა ღერძზე განლაგებული ყოფილა პილონები, რომლებიც, როგორც ჩანს წარმოადგენდა საყრდენს სახურავის კონსტრუქციისათვის. ერთი ასეთი პილონი, შემორჩენილია შენობის აღმოსავლეთ ნახევარში, ნაგებობის აღმოსავლეთი კედლიდან 5,5 მეტრის დაცილებით.

ცენტრალური ნაგებობის აშენების დროის განსაზღვრისთვის საინტერესო მასალაა აღმოჩენილი დასავლეთი მხრიდან არსებული მინაშენების შესწავლისას. დადასტურდა, რომ ცენტრალურ ნაგებობებს დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი მხრიდან აქვს სხვადასხვა დროის მინაშენები. გამოვლინდა ორი სხვადასხვა დროის ნაგებობის ნაშთები. უფრო გვიანდელი ნაგებობა აგებულია, ძირითადად, კონგლომერატის შედარებით მცირე ზომის ბლოკებით (20x30 მ და 25x35 მ). კედლები ამოყვანილია კირის ხსნარზე. აქა-იქ ბლოკების შეერთების ადგილები შევსებულია აგურის ნატეხებით. ამ ნაგებობის ჩრდილო კედელი მიშენებულია ცენტრალური ნაგებობის დასავლეთ კედელზე, უფრო სწორად, მის გარე შელესილობაზე. აღწერილი ნაგებობის კედლები კვეთენ უფრო ძველ ნაგებობას, მაგ. N 11 კედელს გაჭრილი აქვს უფრო ძველი ნაგებობის დასავლეთი (N7) კედელი და ნაწილობრივ მასზეა ამოშენებული. ისინი პარალელურად არიან. ამ შედარებით ძველი (უფრო სწორედ ქვედა) ნაგებობის შიდა ნაწილი შელესია თეთრი კირის ნალესით. კედლის წყობაში ვხვდებით კონგლომერატთან ერთად კირქვასაც. აღსანიშნავია, რომ ამ ნაგებობის გრძივი კედელი (N 7) გადის IX თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩენილი მოზაიკური ფენილის ქვეშ. აღსანიშნავია, რომ ეს ნაგებობა თავის მხრივ ცენტრალურ ნაგებობაზე უფრო გვიანდელია. როგორც ჩანს, მისი კედელი ედგმის ცენტრალური ნაგებობის დასავლეთ კედელს. სამხრეთი კედელი ცენტრალური ნაგებობის დასავლეთი კედლის კონტრფორსზეა მიშენებული. მასთან აშკარად შეიმჩნევა, რომ ჯერ N 13 კედელია შელესილი და ამ შელესილობაზეა მიშენებული აღნიშნული ნაგებობის 3 კედელი.

ცენტრალური ნაგებობის დასავლეთი კედლის გარეთა კონტრფორსი აღნიშნულ ნაგებობაში შიდაკუთხით პილასტრადაა გამოყენებული, ხოლო ახლად აგებული პილასტრები როგორც ცენტრალური, ისე სამხრეთ-დასავლეთი კუთხისა, შესამჩნევად

განსხვავდება სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხის პილასტრისაგან; მას შემდეგ, რაც ცენტრალური ნაგებობის კონტრფორსს 60 სმ სისქის კედელი მიუერთეს კუთხესთან, მისი შვერილი მხოლოდ 22 სმ-ია, სისქე კი 40 სმ, ცენტრალური პილატრის შვერილი 45 სმ-ია, ხოლო სიგანე 35-სმ, სამხრეთ-დასავლეთი კუთხის პილასტრის შვერილი 50 სმ-ია, სიგანე 55 სმ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ცენტრალური ნაგებობის კონტრფორსების შვერილი, როგორც წესი, 40 სმ-ია. განსხვავება შეიმჩნევა წყობაშიც: ნაგებობის პილასტრებში ჭარბადაა გამოყენებული აგური, რომელიც საკმაოდ მსხვილიმარცვლოვანი კირხსნარითა შევსებული. ცენტრალური ნაგებობების პილასტრებში კი აგური სრულებით არ ჩანს და ისინი კონგლომერატის ბლოკებითაა ამოყვანილი.

N 13 კედლის, ე.ი. ცენტრალური ნაგებობის დასავლეთი კედლის საძირკველი გაცილებით ღრმაა, ვიდრე აღწერილი ნაგებობის დარჩენილი სამი კედლის. ამრიგად, საფიქრებელია, რომ თხრილის დასავლეთ ნაწილში (11, 16 და 17 კვ-ში) აღმოჩენილი ნაგებობანი უფრო გვიანდელია, ვიდრე ცენტრალური ნაგებობა. ნაგებობათა დასათარიღებლად განვიხილოთ ამ ნაგებობათა შიგნით არსებული კულტურული ფენის მასალები.

ამ ნაწილში ჰუმუსურ ფენას მოსდევდა ,,თიხნარი'' ფენა, რომლის სულ ზედა ნაწილში დიდი რაოდენობთ არის შენობის მთელი სიგრძეზე ჩაქცეული კრამიტი ნატეხები. ამ ორი (ე.ი. ჰუმუსური და ,, თიხნარი'') ფენის საზღვარზე აღმოჩენილია მონეტა და აგრეთვე ხალიანი მინის ფრამგენტი. ეს გარემოება კარგად განსაზღვრავს ამ ფენის ზედა ქრონოლოგიურ საზღვარს - ახ. წ. IV ს მეორე ნახევარი.

არქეოლოგების აზრით, ეს კულტურული ფენა განეკუთვნება ცენტრალური ნაგებობის ცხოვრების ადრინდელ ეტაპს. ნაგებობა აშენებულია ახ. წ. II –III სს მიჯნაზე, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს ახ.წ. III ს. პირველი ნახევრისა (ლორთქიფაქნიძე, 1975:192, სურ.28).

ჩრდილოეთის მიმართულებით თხრილის შემდგომმა გაფართოებამ გამოავლინა ცენტრალური ნაგებობის მინაშენების მთელი წყება, რომლებიც, როგორც ჩანს, არ არიან

თანადროული. ჩრდილოეთის მხრიდან გამოვლინებული მინაშენებიდან უძველესი უნდა იყოს ის კედელი, რომელიც ედგმის ცენტრალური ნაგებობის ჩრდილო კედლის აღმოსავლეთ კუთხეს და მის კონტრფორსს, ერთი მხრივ, ხოლო მერე მხრივ, ცენტრალური ნაგებობის ჩრდილო კედელის პარალელურ N 26 კედელს. ეს უნაკასკნელი უერთდება X თხრილში გამოვლენილ ნაგებობას. მესამე ჩამკეტი კედელი (N 25 კედლის პარალელური) არაა გამოვლენილი, სავარაუდოდ ამ ადგილას მოზაიკის იატაკის ფენაა.

ზემოთ აღნიშნულიდან დაკავშირებით არქეოლოგები აღინიშნავენ შემდეგ გარემოებას, რომ თვდაპირველად ცენტრალური ნაგებობაა აგებული და შესაბამისად მისი ჩრდილო კედელიც. სავარაუდოა, რომ ცენტრალურ ნაგებობას მშენებლობის თავდაპირველ ეტაპზე ჩრდილოეთის მხრიდან არ ქონდა მინაშენი - იგი ,,ღია'' იყო.

ნაგებობის ცხოვრების ეს ხანა, როგორც ჩანს, ახ.წ. II-III სს კულუტრული ფენა შეიცავდა ახ.წ. II-III სს დამახასიათებელ ვიწრო და მაღალყელიანი ამფორებისა და წითელლაკიანი კერამიკის ფრაგმენტებს.

არქეოლოგები მიიჩნევენ, რომ ნაგებობის ცხოვრების ერთ-ერთი ეტაპის დასრულება რაღაც უეცარ კატასტროფასთან - ხანძართანაა დაკავშირებული. ამის მაუწყებელი უნდა იყოს ნახშირის და ხანძრის კვალი, რომლიც შეიმჩნეოდა კედლებზე იატაკის დონეზე მაღლა. შემდგომი ეტაპი ცენტრალური ნაგებობის ცხოვრებაში (ვგულისხმობთ მის გარეთა ნაწილებს) აღინიშნება ჩრდილოეთის მხრიდან მინაშენების მოწყობაში. აღნიშნული მინაშენი ა.ხ. წ. II-III სს. კულტურულ ფენაზეა დაშენებული (ლორთქიფაქნიძე, 1975:196).

ამ დროს ხდება თეთრი კირხსნარით იატაკის მოგება, ე.წ. გამოსასვლელების ანუ ,,კიბისებური'' შვერილების მიშენება. ეს უკანასკნელი გვიანდელია. ,,კიბისებური'' შვერილი და მინაშენი ერთდროულადაა ნაგები.

ამ მინაშენის გამო ცენტრალური ნაგებობის ჩრდილოეთის მხრით ხდება ახალი იატაკის დაგება. ამ დროს იატაკი თეთრი ფერის კირხსნარისაა, სილისა და რიყის წვრილი ქვების მძლავრი მინარევებით.

,,თეთრ'' იატაკზე ცხოვრება, როგორც ჩანს, ახ.წ. IV ს მეორე ნახევარში სრულდება. ამაზე მიუთითებს ,,თეთრი'' და მისი მომდევნო იატაკის ფენებს შორის აღმოჩენილი ახ.წ. IV ს წითელლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტები და აგრეთვე ფრაგმენტები ე.წ. ,,ხალიანი'' მინისა, რომელიც, როგორც ცნობილია თარიღდება ახ.წ. IV ს მეორე ნახევარით. ,,თეთრ იატაკზე'' ცხოვრება, როგორც ჩანს, ახ.წ. IV ს მეორე ნახევარში წყდება.

ცენტრალური ნაგებობის შიდა ნაწილში, ,,თეთრ იატაკზე'' ცხოვრების დასაწყისს უნდა შეესაბამებოდეს ძველი იატაკის ღორღით ამოვსება და ახალი ჰიდრავლიკური ხსნარით მოგებული იატაკის დაგება, ჭის ამოყვანა და ძირითადი პილონები (ლორთქიფანიძე, 1975:196).

IV უბანი მდებარეობს შიდაქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ გალავნის გარეთ. გაითხარა ანტიკური ხანის აბანოს ნაშთები, აკროპოლისში შესასვლელი ჭიშკარი, ორმხრივ გამაგრებული კოშკებითა და საკანალიზაციო სისტემის ქსელი (თოლორდავა, 1976:145, სურ.195,196,198,200,201).

აბანოს ნაშთები მდებარეობს, შიდაციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ გალავნის გარეთ და მიდგმულია უშუალოდ შიდაქალაქის გალავანს. აბანო ორიენტირებულია ფასადით ჩრდილო-დასავლეთისაკენ. შენობის საერთო სიგრძეა 26,5 მ, უდიდესი სიგანე - 10 მ, საერთოდ ფართობი 260 კვ.მ, ხოლო განყოფილებათა შიდა ფართობი, საცეცხლე განყოფილების გამოკლებით, 197 კვადრატულ მეტრს აღწევს.

აბანო ნაგებია ე.წ. ზღვური კონგლომერატითა და აგურით. წყობა წესიერია. ამ ნაგებობის თვისებურად შეიძლება ჩაითვალოს კუთხეებში აგურის გამოყენება.

აბანო დამხრობილია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ. აბანო შედგება ხუთი განყოფილებისაგან. არის გასახდელი ოთახიც - აპოდიტერიუმი. აბანოს ძირითად შენობაზე მიდგმულია ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან. მისი სიგრძეა 13 მ, სიგანე 9,5 მ, ე.ი. აბანოს ამ განყოფილების შიდა ფართობი 123,5 კვადრატული მეტრია. აბანოს გამოსაყენებელი ფართობის ნახევარზე მეტი გასახდელ ოთახზე მოდის. ოთახის კედლები ძალიან დაზიანებულია და ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ცოკოლია

შემორჩენილი. შემოსასვლელი, არქეოლგოების ვარაუდით, ჩრდილო-დასავლეთ კედელში უნდა ჰქონდა დატანებული.

ოთახის სამხრეთ-დასავლეთ კედელად გამოყენებულია შიდაციხის გალავნის კედელი. ამ კედლის სიგანე 3,35 მეტრია, ხოლო ბურჯთან, რომელიც აპოდიტერიუმის ფარგლებში ხვდება 4,5 მ. ჩრდილო-დასავლეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან ოთახს 0,8 მ-ის სიგანის კედელი გასდევს. სამხრეთ-აღმოსავლეთითაც ოთახი ასეთივე კედლით არის შეკრული. ეს უკანასკნელი კედელი საერთოა N 1 და N 2 ოთახებისთვის. აპოდიტერიუმის კედლები ვიწროა აბანოს დანარჩენ კედლებთან შედარებით.

აპოდიტეიუმის მთელი იატაკი მოფენილია კერამიკული ფილებით, ფილები წითლად გამომწვარი თიხისაა. ოთახის კუთხეში ფილები რომბული წესით ეწყობა, ხოლო ოთახის შუაგულში ერთმანეთის პარალელურად. იატაკზე ჯერ კირხსნარი ჩანს მოსხმული, ხოლო ზემოდან ქვისა და თიხის ფილებია დაწყობილი - ფილები თითქმის კვადრატულია.

ოთახის ცენტრში ბრტყელი აგურებისაგან შეკრული გაურკვეველი დანიშნულების კვარცხლბეკისმაგვარი ნაგებობა დგას. ნაგებობის სიგრზე 1,50 მ-ია, სიგანე 0,95 მ, სიმაღლე 0,4 მ. ეს არ არის ამ ნაგებობის პირველი სიმაღლე, როგორც ჩანს, ნაგებობის ზედა ნაწილი გადანგრეულია.

აბანოს ეს განყოფილება კონტრექციულად განცალკავებულად გამოიყუება აბანოს დანარჩენი განყოფილებისაგან. აბანოს დანარჩენი კედლები მოდგმულია აპოდიტერიუმის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელზე.

ოთახის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელში დატანებულია 1 მეტრის სიგანის გასასვლელი, რომელიც მას მეორე ოთახთან აკავშირებს.

აბანოს მეორე განყოფილება, წარმოადგენს ე.წ. ცივ აბანოს, ანუ ფრიგიდარიუმს. ამ განყოფილების იატაკი ისევე, როგორც მოსაცდელი, მოპირკეთებულია კერამიკული ფილებით, ჯერ მოსხმულია კირხსნარი, ხოლო შემდეგ დაწყობილია კერამიკული ფილები. განსხვავებულია დუღაბი. იგი ე.წ. ჰიდრავლიკული ხსნარს წარმოადგენს:

მოვარდისფროა, ურევია კერამიკული ნაწარმის ნაფხვენი. ასეთი ნარევი როგორც ცნობილია, ცეცხლგამძლე და წყალგაუმტარია.

ოთახის სამხრეთ-დასავლეთ კედელში ნახევარწრისებური შეღრმავება - ექსედრა არის დატანებული. მისი დიამ. 1,4 მ-ია. ეს ექსედრა ზუსტად კედლის შუაშია შეჭრილი. ნიშის ნაპირებიდან ოთახის კუთხეებამდე 0,70 მ-ია. ნიშაში, რომელიც, ჩანს, აბაზანის დანიშნულებას ასრულებდა, იატაკი 0,25 მ-ით დაბალია ოთახის ფილაქვებიან იატაკთან შედარებით. აბაზანის იატაკს ოთახის იატაკთან ერთი საფეხური აკავშირებს, საფეხურის სიგანე 0,21 მ-ია.

აბაზანა მთლიანად მოპირკეთბულია კერამიკული ფილებით. აბაზანის კედელში იატაკის დონეზე დატანებულია კერამიკული მილი, რომელიც კოლექტორისკენ არის დაქანებული; მილის დიამეტრი 0,06 მეტრია. ამ აბაზანის მოპირდაპირე მხარეს კედელში ნახივარწრიულად შემოჭრილი სათავსო თუ ჭურჭლის ძირი გაიწმინდა. იგი შელესილი ყოფილა წყალგამძლე ხსნარით. ჭურჭელი ჩაკირულია იატაკში და, შესაძლოა წყლისთვის იყო განკუთვნილი. მისი დიამეტრი 1,0 მეტრს აღწევს.

არქეოლოგები მიიჩნევენ, რომ ეს რეზერვუარი, თავისი მცირე ზომის გამო, აბაზანად ვერ გამოდგებოდა. სავარაუდოდ, ის წყლის მარაგის შესანახად გამოიყენებოდა.

ოთახის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელში, კედლის ცენტრში, დატანებულია 0,8 მ-ის სიგანის გასასვლელი, რომელიც ამ ე.წ. ცივ აბანოს აერთებს მეზობელ ოთახთან. გასასვლელში კედლებს შუა დიდი ბრტყელი ქვა დევს. ქვას ორივე მხარეს, კედლის გაყოლებით ღარები ჩაუყვება. ეს ღარები და ბრტყელი ქვა ზევიდან გადალესილი ყოფილა ჰიდრავლიკული ხსნარით. ღარები, როგორც ჩანს, ჰიპოკაუსტს უერთდებოდა და თბილი ჰაერის სადინარ არხს წარმოადგენდა. სითბო ოთახებში ვრცელდებოდა საგანგებო მილების საშუალებით, რომლებიც შეეთებული იყო იატაქვეშა ღუმელის ჭერთან.

ცივი აბანოდან თბილი აბანოს (tepidarium) გავყავართ 0,8 მ-ის სიგანის გასასვლელს. იგი გაცილებით დიდია, ვიდრე ცივი განყოფილება. ტეპიდარიუმის

იატაკი 0,50 -0,60 მეტრით უფრო დაბლაა, ვიდრე ცივი აბანოსა და გასახდელის. როგორც ჩანს, ჩვეულებრივ კალორიფერთან გვაქვს საქმე და შემონახული იატაკი ჰიპოკაუსტისაა და არა თვით სააბაზანო-საბანაო განყოფილებისა. ზოგან შემორჩენილია კალორიფერების სვეტების ნაშთებიც. კალორიფერის სვეტები მრგვალი და ბრტყელი აგურებით არის ამოყვანილი. შემაკავშირებელად იგივე წყალგაუმტარი და ცეცხლგამძლე ხსნარია გამოყენებული, რომელსაც ასევე იყენებდნენ იატაკის მოპირკეთებისთვისაც.

კალორიფერის არცერთი სვეტის პირვანდელი სიმაღლე არ შემონახულა, მაგრამ, როგორც იატაკის დონეების შეფარდებიდან ჩანს, მისი სიმაღლე 0,50-0,60 მ უნდა ყოფილიყო. სვეტებს შორის მანძილი დაახლოებით 0,35 -0,40 მეტრია. მრგვალი აგურის დიამეტრი - 17,5 სმ-ია, სისქე - 6-7 სმ. ბრტყელი აგურის ზომებია 27x27x5,5 სმ. ჰიპოკაუსტის ჭერის ფრაგმენტი არ შემოჩენილა, რომლის მიხედვითაც გაირკვეოდა ეს ჭერი დაქანებული იყო ღუმელისკენ თუ არა.

თბილი აბანოს სამხრეთ-დასავლეთ კედელში ამოშენებულია ოთხკუთხა ნიში. ნიშის სიგანე 1,40 მ-ია, სიღრმე-0,40 მ. ნიშის გარეთა კიდეებიდან ოთახის კუთხეებამდე 1,4 მ-ია ორივე მხარეს. ნიშს მილი არ აქვს დატანებული. წყალგამტარი ამ ოთახში საერთოდ არ ჩანს.

თბილი აბანოს აღმოსავლეთ კედელთან მიშენებულია საცეცლე განყოფილება. საცეცხლე ძალიან დაზიანებულია, ამ მიდამოებში მიწას მოყვებოდა უამრავი ნახშირი და ნაცარი.

ცხელ აბანოში ანუ კალდარიუმში, თბილი აბანოსაგან გამოყოფილია 0,80 მ-ის სისქე კედლით. მათ შორის ორი განსხვავებულია: დიდი და მცირე. კალდარიუმისთვის განკუთვნილი ოთახის სიგანე 7,5 მეტრისა, სიგანე-4 მ; შიდა ფართობი დაახლოებით 30 კვადრატული მეტრს შეადგენს.

ისე როგროც თბილ აბანოში, იატაკი კალორიფერის სვეტებით იყო ამაღლებული, მაგრამ არც გადახურვა და არც იატაკი არ შემონახულა. იატაკის დონე ცივ აბანოსთან

შედარებით 0,50-0,60 მ დაბალია. სამხრეთ-დასავლეთ კედელში დატანებულია თიხის მილი (აბაზანაში), რომელიც განათხარ ფართობის დონიდან 0,30 მ-ით მაღლაა.

ცხელ აბანოში ისე, როგორც ცივ აბანოში, სამხრეთ-დასავლეთ კედლის კუთხეში ექსედრაა ამოშენებული, რომელიც აბაზანის დანიშნულების ასრულებდა. ეს ნიში კედლის შუაში კი არ არის ამოშენებული, როგორც ცივ აბანოში, არამედ ოთახის სამხრეთ კუთხეში. ექსედრის დიამ. 1,6 მეტრია, მის კედელს თიხის მილია დატანებული, რომელიც კოლექტორისაკენ არის დაქანებული. მოპირდაპირე კუთხეში ოთხკუთხა ნიშა ჭრილი, იატაკის დონეზე თიხის მილია დატანებული, რომელიც უერთდება ბრტყელი აგურებით აგებულ კოლექტორს. ეს კოლექტორი მიემართება აბანოდან აღმოსავლეთისაკენ, შემდეგ უხვევს სამხრეთისაკენ და უერთდება აბანოდან გამომავალ მთავარ არხს, შემდეგ კი-დიდ კოლექტორს. ასე რომ ცხელი აბანოდან ნახმარი წყლის გამოყვანა ორმხრივ ხდებოდა.

აბანოს სახურავი გადახურული იყო კრამიტით. უბანზე მოგროვილი კრამიტების უამრავი ნატეხი ამ ვარაუდს ასაბუთებს.

ამ უბანზე წყალგაყვანილობის სისტემის მთავარ ნაწილს წარმოადგენს მცირე კოლექტორი, რომელიც აბანოს სამხრეთ-დასავლეთ კედელს მთელ სიგრძეზე გასდევს. აბანოს კოლექტორს ერთი მხრივ გალავნის კედელი ესაზღვრება, ხოლო მეორე მხრივ აბანოს სამხრეთ-დასავლეთ კედელი. ამ კოლექტორის ძირი თიხის თანაბარი ფილებით არის მოპირკეთებული; ზევიდან გადახურულია ბრტყელი ქვებით. გადახურვა მეტწილად ჩანგრეულია. აბანოს კოლექტორი მიემართება დასავლეთიდან სამხრეთისაკენ, აქ აბანოს კოლექტორი გადახურულია ბრტყელი ქვებით და ერთ მონაკვეთზე ალაგალაგ ჩადგმული ბრტყელი აგურებით. აბანოს კოლექტორი, რომელიც ამოშენებულია და გადახურულია ბრტყელი აგურებით უერთდება მთავარ კოლექტორ-შიდაციხიდან მომდინარე საკანალიზაციო არხს. არხი ამოშენებულია და გადახურულია ბრტყელი რიყის ქვებით.

აბანოს ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან მომდინარე წყალგამყვან არხს ერთვის წელშეზნექილი ამფორების თუ თიხის მილებისაგან შედგენილი წყალგაყვანილი მილი.

ამ მილის პატარა მონაკვეთია შემორჩენილი. არქეოლოგები აბანოს ახ.წ. II საუკუნეზე ცოტა უფრო გვიანი პერიოდით ათარიღებენ (თოლორდავა, 1976:151).

ბიჭვინთის ნაქალაქარზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის მიხედვით, აქ ინტენსიური ცხოვრება ახ.წ. I საუკუნეში თითქოს შენელებულია, ხოლო II საუკუნიდან, განსაკუთრებით კი III-IV საუკუნეებში, პირიქით - აქტიურია. საქალაქო ცხოვრების ასეთი აღორძინება, როგორც ჩანს, აქ რომაელთა ძლიერი ციხე-სიმაგრის გაჩენით უნდა აიხსნა. ბიჭვინთაში აბანოს მშენებლობასაც სწორედ ამ პერიოდშია საგულისხმებელი (თოლორდავა, 1976:152).

როგორც არქეოლგიური მასალებიდან ჩანს, აბანო მოქმედებაში იყო ძირითადად მაშინ, როდესაც აქ რომალებმა შექმნეს ძლიერი სიმაგრე და ჩააყენეს გარნიზონი და არსებობას წყვეტს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაელთა პოზიციების შესუსტებასთან ერთად. ე.ი. აბანო, ძირითადად, გვიანანტიკურ ხანაში ფუნქციონირებდა (თოლორდავა, 1975:155).

2009 წელს ბიჭვინტაში ინფრასტრუქტურული სამუშოების შედეგად შემთხვევით აღმოჩნდა წყალგაყვანილობის სისტემა, ,,აკვედუკი'', თითქმის 10 მეტრის სიგრძის. ამავე ტერიტორიაზე განლაგებული იყო ჭა წყლის ჩამკეტით, რომელიც ქალაქისკენ მიედინებოდა. კერამიკული მილების სიგრძე შეადგენს 2 მ, დიამეტრი 5-20 სმ. მასალები გადატანილი იქნა ბიჭვინთის არქეოლოგიურ მუზეუმში. შესაბამისი გაწმენდითი სამუშაოების და კონსერვაციული სამუშაოების შემდეგ აქ მუშაობა აღარ გარძელებულა.

2009 წლის პირველი აღმოჩენებიდან ერთი თვის შემდეგ კიდევ შემთხვევით აღმოჩენილ იქნა ისევ ძველი წყალგაყვანილობის სისტემა. აღსანიშნავია, რომ ძველი და ახალი სისტემა თითქმის გევერდი-გვერდ იყო განლაგებული, მათ შორის დაშორება ერთი მეტრი იყო. ამ შემთხვევაში წყალგაყვანილობის სისტემა წარმოადგენდა ქვის ჟოლუბს. შელესილია თიხით და ასევე ზემოდან დახურულია ქვის ფილებით (Барциц, 2013: 20).

პირველი მინიშნება წყალგაყვანილობის - ,,აკვედუკის'' შესახებ გვხვდება ა. ბაშკიროვასთან (Башкирова, 1926:36). წყალგაყვანილობის სისტემაზე განლაგებული იყო

კოშკები. გათხრების დროს ასევე აღმოჩენილი იქნა სამი კოშკი. ერთ-ერთი კოშკი დაზიანებულია სამშენებლო სამუშაოების შედეგად. მეორე განლაგებულია სატაძრო კომპლექსის შიგნით თანამედროვე ქალაქ ბიჭვინთის ცენტრში. მესამე ძაალის მიმდიბარე ტერიტორიაზეა, რომელიც იყო არქეოლოგების შესწვლის ობიექტი.

დაზვერვითი სამუშაოების დროს, 500 მეტრის მოშორებით მითითებული ადგილიდან, აღმოჩენილი იყო არც ისე დიდი ხელოვნური ბორცვი. შექმნილი ქვიშაქვებისგან, შეკრული კირხსნარისგან. ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს გააჩნია კვადრატული ხვრელები, რომლის დანიშნულებაც იყო წყლის შენახვა და გადანაწილება. აი, რას წერს ა. ბაშკიროვა: ,,წყალმომარაგების სისტემა (აკვედუკი) მიემართება ზედაპირზე ზემოთ 2,34 მეტრზე, აქ არის შემორჩენილი/გადარჩენილი კვადრატული ფორმის კოშკი, სიმაღლით ორი მეტრი, სიფართით 1,62 სმ, კვადრატული გვერდითი ხვრელებით, რისი საშუალებითაც შესაძლებელი იყო წყლის განწილება'' (Башкирова, 1926:37).

ჩრდილოეთით კოშკიდან ათი მეტრის დაშორებით პირდაპირ თანამედროვე ზედაპირზე გრძელდება წყალგაყვანილობის ხაზი. ადგილზე გამოვლენილია ორი კვადრატული სივრცე, ერთი განლაგებულია კოშკთან ახლოს (25მ), ხოლო მეორე - ხუთი მეტრის მოშორებით.

ძველი ქალაქის გათხრების დროს, ასევე აღოჩნდა ხელოვნური სადრენაჟე და კანალიზაციის სისტემა. წყალგაყვანილობის სისტემა, სავარაუდოდ, სათავეს იღებს ცისფერი ტბიდან, რომელიც მდებარეობს 10 კილომეტრის დაშორებით ბიჭვინთიდან. მეორე ვერსიით - ცისტერნა, რომლისაგანაც სათავებს იღებს წყალგაყვანილობის სისტემა, ნახეს მთა ამჟარას ძირას (Барциц, 2013:24).

რ. ბარციცი მიიჩნევს, რომ ყველაზე დამაჯერებელი ვერსია არის მ. როსტოვცევის ვერსია, რომელიც ამბობს, რომ: ,,მის დასაწყისად ეჩვენება მდ. სემარხა ... იმ ადგილას სადაც მდინარე ამ პერიოდში წარმოადგენს ბიჭვინტის დაჭაობებულ ადგილს''. ეს მდინარე სემარხა მდებარეობს სოფელ ძაალში (Барциц, 2013:25).

არქეოლოგების კველივის ობიექტს წარმოადგენდა წყლის შემნახველი კოშკი, რომელიც მდებაროებს სოფელ ძაალში. სამუშაოების დაწყებამდე კოშკი მდებარეობდა მიწიდან 160 სმ. ჰქონდა მომრგვალებული ფორმა და მთავრდება გუმბათით. კოშკი აშენებულია ქვიშაქვითა და ცემენტით. კოშკის შიდა გარშემოწერილობა აღწევს 0-დან 11,4 მეტრამდე, შიდა-6,3 მეტრს. შიდა დიამეტრი შეადგენს 2 მეტრს. ჩრდილო-დასავლეთან ახლოს კოშკს გააჩნია კვადრატული ფორმის ხვრელები. ეს ხვრელები წარმოადგენდა მოწყობილობას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იყო წყლის შეგროვება ადგილობრივი მოსახლეობისთვის. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ასევე მდებარეობს ხვრელი, რომელიც განლაგებულია 1 მეტრის სიმაღლეზე. არქეოლოგები ვარაუდობენ, რომ ეს უნდა ყოფილიყო გაკეთებული კოშკის გასანიავებლად. წყლის შესაგროვებლად კოშკი შიგნიდან მოპირკეთბული იყო კირქვით, ხოლო ქვედა ნაწილი, სადაც ხდებოდა წყლის დაგროვება, კედლები და იატაკი შელესილი იყო ცემენტით და გაპრიალებული იყო. ზემოთ, ქვები ისე იყო განაგებული, რომ მიეღოთ გუმბათის ფორმა, შეკრული კირქვის ცემენტით (Барциц, 2013: 26).

კოშკი შედგებოდა სამი იარუსისაგან: პირველი იარუსი მთავრდება ჩრდილო-დასავლეთის შვერილის დონეზე, აწყობილი ქვიშაქვის ხსნარით, მეორე - შუა, რომელიც ვიწროვდება, და მესამე - გუმბათის დამაგვირგვინებელი. ორივე ბოლო იარუსი შემდგარია ზღვის წვრილი კენჭებით, შემავალი კირქვის ცემენტით. გათხრები სამხრეთით დაყვანილია ფუნდამენტამდე.

გრუნტი შედგება მუქი თიხისაგან ჭუჭყიანი სილისაგან და მცირე რაოდენობის ნიჟარებისგან, რაც უფრო ღრმავდება ფუნდამენტი, მით უფრო ნაკლებია თიხა, სილა უფრო ღიაა და ნიჟარები ნაკლებია.

კოშკის სამხრეთ-დასავლეთით აღმოჩნდა შვერილი, ის წარმოადგენდა კედლის სივრცეს/ხვრელს, რომელიც უნდა ყოფილიყო განკუთვნილი მილისთვის, რომელიც მიდიოდა ძველი ქალაქისკენ. ის შედგება გამომწვარი თიხის ფილებისგან. ასევე კვარცის ცემენტით. ზომები: სისქე-60 სმ, სიმაღლე-40 სმ. კედლიდან შვერილის ზომა-44 სმ. მაგრამ გადაკეთების პროცესში წყალგაყვანილობამ მიმართულება შეიცვალა და

გადაადგილდა 40 გრადუსით სამხრეთით. გათხრების დროს გამოვლენილი იქნა 150 მეტრის სიგრძის წყალგაყვანილობის სისტემა, რომელიც მიწის ზედაპირზე იყო.

ადგილობრივი მცხოვრებლების დახმარებით, აღმოჩენილი იქნა კიდევ ერთი კოშკი. სამწუხაროდ 80-იან წლებში კოშკი მთლიანად იქნა განადგურებული მძიმე ტექნიკით და ჩაყრილი ხელოვნურად შექმნილ ორმოში. აღმოჩენილი მასალები ინახება ბიჭვინთის მუზეუმში. მილები დამზადებულია ფიქალის ფილებით და აქვთ კვადრატული ფორმა (Барциц, 2013:27).

წყალმომარაგების სისტემის გამოსავლენად არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა იმ მონაკვეთში, საიდანაც სათავეს იღებდა წყლალმომარაგების სისტემა, ჩრდილო-დასავლეთიდან. 112 სმ სიღრმეზე უკვე ვხვდებით წყალგაყვანილობის მილებს. 2012 წლის გათხრების დროს გახსნილი და აღმოჩენილი იქნა თითქმის ას მეტრამდე წყალგაყვანილობის სისტემა. წყალგაყვანილობის სისტემა ამ ნაწილში წარმოადგენს კვადრატულ ჟოლუბს ფიქალით, შიგნით თიხით შელესილი კარგი გამოწვით.

კოშკის სამხრეთ-დასავლეთით ასევე აღმოჩნდა 50 მეტრიანი წყალგაყვანილობის სისტემა. აქ ჩანს სისტემის მიმართულების ცვლას, ძველი ქალაქის მიართულებით. კურსი იცლება 40 გრადუსით პირდაპირი მიმართულებისდან. სამწუხაროდ, ამ მიმართულების 10-მეტრიანი მანძილის შემდეგ 2,2 მეტრის სიგრძის სისტემა განადგურებულია, სავარაუდოდ, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შედეგად. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით, წყალმომარაგების სისტემა შესამჩნევად ვიწროვდება. ეს შეიძლება იმან განაპირობა, რომ მშენებლებს უნდოდათ უფრო კარგი წყლის დაწოლა მიეღოთ და ამიტომაც შეავიწროვეს მილები.

25,5 მეტრის მოშორებთ, კოშკისგან აღმოჩნდა ჭა, ეს არის მომრგვალებული სტრუქტურა, რომელსაც აქვს კვადრატული ხვრელი, ღარებიანი საფარით. გათხრებამდე ორი წლით ადრე, როდესაც ძეგლი აღმოაჩინეს, ადგილზე იყო ჭის სახურავიც. ეს იყო კვადრატული კერამიკული ფილა, რომელის სისქეც სამი სანტიმეტრია და წაგრძელებული ფორმისაა. ამ სახურავით იკეტებოდა ხვრელი, რომელიც წარმოადგენდა ჭარბი წყლის განტვირთვის საშუალებას, რომელიც იქმნებოდა

ავზში წყლის დონის აწევის დროს, ძლიერი წვიმების დროს ან თოვლის დნობის დროს, როდესაც მდინარე სმერხაში წყლის მოცულობა იზრდებოდა. წყლის წნევის დროს, ჭის სახურავი იხსნებოდა და ზედმეტი წყალი გადმოდიოდა, რითაც მილსადენი იყო დაცული ძლიერი წყლის გამო შესაძლო დაზიანებისგან (Барциц 2013:28).

ნაგებობა, რომელიც შიგნიდან მჭიდროდ იყო ჩაკეტილი დამწვარი თიხით, ხოლო თავზე ქვის გარსი იყო დაფარული. ასევე არსებობს ვარაუდი, რომ ქვის (ფიქალის) ჟოლუბის შეგროვება მოხდა ფრაგმენტების საშუალებით. შედეგი იყო საკმაოდ შთამბეჭდავი და სტაბილური სტრუქტურა, ერთზე მეტრზე მაღალი სიმაღლე, ქვედა ბალიში 1,4 მეტრი სიგანე, რომელიც უწყვეტად უზრუნველყოფდა ძველ ქალაქსა და ადგილობრივ მოსახლეობას სუფთა წყლით.

რაც შეეხება ძეგლის ასაკს, საკითხი უფრო რთულია, რადგან არ გაკეთებულა სპეციალური ანალიზები. ძეგლს თითქოს ახ.წ. X საუკუნით ათარიღებენ, მაგრამ უკვე XIX საუკუნეში, როდესაც ძეგლის ასაკის დადგენის პირველი მცდელობები დაიწყო, აკვედუკი უკვე კომპლექსის შიგნით იყო, რომელიც ადრე მკველვარებმა X საუკუნით დაათარიღეს.

არქოლოგებმა, რომლებმაც გათხრები ჩაატარეს ბოლო პერიოდში ამ ვერსიას არ ეთანხმებიან შემდეგი მიზეზების გამო: 1. ტაძრის კომპლექსის ტერიტორიაზე, სადაც დღეს მდებარეობს აკვატორიის კოშკი, XX საუკუნის მეორე ნახევარში აღმოჩენილი მასალები, ახ.წ. IV-VI სს თარიღდება; 2. კერამიკული კომუნიკაციების კვალი, რომელიც აღმოაჩინეს უძველესი დასახლების ტერიტორიაზე, ახ.წ. II-VI სს თარიღდება (Барциц, 2013:29).

როგორც ჩანს, უძველესი პიტიუნტის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობის ზუსტი თარიღი შეიძლება მხოლოდ დათარიღების თანამედროვე მეთოდებისა და სერიოზული არქეოლოგიური კვლევების შედეგად იქნეს მიღებული.

დასკვნა

რომაელთა გარნიზონები, ძირითადად, კოლხეთის სანაპიროზე განლაგდა, ზღვასთან ახლოს, ამისთანავე ეს ციხეები მდებარეობდნენ მდინარის სიახლოვეს, რომელიც, რა თქმა უნდა, საუკეთესო საშუალება იყო კომუნიკაციისთვის, როგორც ქვეყნის შიგნით მდინარეებით, ასევე რომის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე - ზღვით. რომისთვის კავკასია მიმიზიდველი იყო თავისი სავაჭრო გზებით. განსაკუთრებით საყურადღებო იყო შუა აზიიდან მომავალი გზა: კასპიის ზღვიდან მდ.მტკვარზე, ლიხის ქედის გადასვლით, მდ. ფაზისის გავლით შავ ზღვამდე. ამ გზამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მას შემდეგ რაც პართიამ თავის კონტროლს დაიქვემდებარა ჩინეთიდან და ინდოეთიდან მომავალი სახმელეთო მაგისტრალები. ამასთანავე, კავკასიონის ქედი კარგი ბარიერი იყო ჩრდილოეთიდან მომდინარე ტომების შემოჭრის დასარეგულირებლად (გამრყელიძე, თოდუა, 2006:25-57).

ძირითად მიმოსვლის საშუალება იყო ნაოსნობა, მაგრამ გამართული იყო სახმელეთო გზები და ხიდებიც. რომაელთა მმართველობის დროს კოლხეთში მცხოვრები ტომების ნაწილი არასტუმართმოყვარე და აგრესიული იყო, ამიტომაც რომაელებისათვის მნიშვნელოვანი იყო გზების დაცვა ,,ბარბოროსებისგან'' (Mitford, 2018:442). კოლხეთის სანაპირო ცნობილი იყო მეკობრეობით, რის აღსაკვეთათაც რომს გარკვეული ღონისძიებების ჩატარება მოუხდა.

რომაული გარნიზონების განლაგებამ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეში, რა თქმა უნდა, გამოიწვია შედარებით აქტიური და მშვიდი სავაჭრო კავშირი რომსა და მის პროვინციებთან, ყველაზე მოსახერხებელ გზას ზღვა წარმოადგენდა. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში განლაგებული ციხეებისთვის შემოდიოდა სხვადასხვა რომაული ნაწარმი: კერამიკა, მინა, სამკაულები, რომელთა შორის მცირეაზიული ნაწარმი სჭარბობს.

როგორც ავღნიშნეთ, რომაელებისათვის კოლხეთში კომუნიკაციის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა ზღვა და მდინარეები, სწორედ აქედან გამომოდინარეა, რომ

იმპორტული საქონელი მოქცეულია კოლხეთის ზღვისპირა რეგიონებში, რომლის მომხარებლებიც, ძირითადად, სანაპირო ზოლზე მცხოვრები მოსახლეობა წარმოადგენდა (ინაძე, 1962:120; ჯაფარიძე, 1989:20).

აფსაროსში ახ.წ. I საუკუნიდან ჩანს პერგამული ნაწარმი, რასაც შემდგომ უკვე მოსდევს II-III საუკუნეში მათი ფართო გავრცელება. მნიშვნელოვანი იყო სირია-პალესტინის საწარმოო ცენტრებიდან შემოტანილი სხვადასხვა დანიშნულების ნივთები და მათ შორის აღმოჩენილი სირიული და იუდეული მონეტები (ვარშალომიძე, 1999:88-101). ახ.წ. I-III საუკუნეებით თარიღდება სინოპური იმპორტული მასალა (ებრალიძე, 2004:83). თუკი ნუმიზმატიკური ძეგლებს მივაქცევთ ყურადღებას, დავინახავთ, რომ მასალებში გვხვდება ქ. ანტიოქიისა (სირია) და კაპადოკიის ქ, კესარიაში მოჭრილი ვერცხლისა და სპილენძის მონეტები, ასევე ქ. ტრაპეზუნტის მონეტები (ვარშლომიძე, 1999:100). შესაბამისად, აღმოჩენილი მონეტები ამ ცენტრებიდან მიუთითებენ მათ სავაჭრო ურთიერთობებს კოლხეთთან. ბიჭვინთაში აღმოჩენილი არქელოგიური აღმოჩენები და ნუმიზმატიკური მასალა იმეორებს აფსაროსის იმპორტულ მასალებს, მხოლოდ აქ ყურადღება უნდა მიექცეს იმ საკითხს, რომ ბიჭვინთაში აღმოჩენილი მასალები თანადროულია ბიჭვინთის ციხის ანუ ახ.წ. II-IV საუკუნეებისა, რაც ქრონოლოგიურად არ ემთხევა აფსაროსის კულტურულ ფენებს: ახ.წ. I-III სს.

სამწუხაროდ, კოლხეთში ჭირს რომაული და ადგილობრივი მოსახლეობის სავაჭრო ურთიერთობის განსაზღვრა. ამ პერიოდის მკვლევართა მოსაზრებით, არ მომხდარა ადგილობრივი მოსახლეობის რომანიზაცია, ისე როგორც სხვა ექსპასნირებულ მიწებზე (თოდუა, 1989:723; კახიძე, 2002:211-213).

რაც შეეხება კოლხურ ექპორტს, ძირითადად გადიოდა ხე-ტყე, რომელიც საუკეთესო მასალა ოყო გემთმშენებლობისათვის (Strabo 11,2,17). მკვლევარები ასევე ვარაუდობენ, რომ კოლხეთიდან რომაელები ეწეოდნენ ნავთობის ექსპორტს, რომელიც სელთან, ფისთან, თაფლთან, ღვინოსთან, ხე-ტყესთან ერთად გაჰქონდათ (გამყელიძე 2001:29-30; ებრალიძე 2004:89).

რომაული გარნიზონების მომარაგება კოლხეთში ახ.წ. II-III საუკუნის ტრაპეზუნტიდან ხდებოდა, ხოლო IV საუკუნეში ანტიოქიიდან (გამყრელიძე, 2010 : 203).

და ბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ რომაული ინფილტრაცია კოლხეთში ჯერ კიდევ პომპეუსის შემოსვლით დაიწყო, როდესაც ძვ. წ. 65 წელს ის შეიჭრა კოლხეთში. ამის შემოდგომ უკვე რომაელებმა მათი გარნოზონების დაარსება დაიწყეს, რომელიც ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება. პირველ რიგში ეს პერიოდი აფსაროსის ციხის აშენებას უკავშირდება. არქეოლოგიური მასალებითა და წერილობითი წყაროებით ეს სავარაუდოდ ახ.წ. 77 წლებამდე უნდა მომხდარიყო, მაგრამ მნიშნველოვანი ბოლო წლებში ციხის გარეთ და შიდა ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები, რომლის დროსაც გამოვლინდა კედლის ფრაგმენტები, რაც მიანიშნებს, გონიო-აფსაროსის ციხის უფრო ადრეულ პერიოდს და, შესაძლოა, ახ.წ. 77 წლამდე დათარიღდეს (Plontke-luning, Fellmuz, Geyer, 2002:72; Karasiewicz-Szczypiorski, 2018:491), კერძოდ კი ახ.წ. I საუკუნის ადრეული პერიოდით.

რომაული გარნიზონი აფსაროსში ახ.წ. IV საუკუნის ბოლომდე არსებობდა, იმავე პერიოდიდთ თარიღდება რომაელების სახმედრო გარნიზონი სებატოპოლისის ციხეშიც.

ფაზისში, რომელიც, სავარაუდოდ, არიანეს მოგზაურობამდე (ახ.წ. 132 წ) აშენდა, თავდაპირველად ხის კონსტრუქცია უნდა ყოფილიყო. არიანეს მოგზაურობის დროს კი ის გაამაგრეს და გამომწვარი აგურით ააგეს. სავარაუდოა, რომ ეს უნდა მომხდარიყო ახ.წ. 77 წლიდან არიანეს მოგზაურობამდე ანუ ახ.წ. 132 წლამდე. რომაულ გარნოზონს ფაზისიც როგორც აფსაროსი ახ.წ. IV საუკუნეში უნდა დაეტოვებინათ.

პონტოს ლიმესის უნაკასკნელი ციხე, რომელიც არიანეს დროს არ ფუნქციონირებდა, რომაული გავლენის სფეროში, სავარაუდოდ, II საუკუნის ბოლო ან III საუკუნის პირველი ნახევრით უნდა დათრიღდეს, ხოლო რომაელების მიერ ეს ციხე IV საუკუნის ბოლოს დაცარიელდა.

ბიბლიოგრაფია

1. **ასათიანი 1977,** ასათიანი ლ., ბიჭვინთის წითლლაკიანი კერამიკა, დიდი პიტიუნტი II, თბილისი
2. **აფაქიძე, ლორთქიფანიძე 1965:** აფაქიძე ა., ლორთქიფანიძე ოთ., მასალები დიოსკურია-სებასტოპოლის არქეოლოგიისათვის, სმამ ისტორიის სერია. თბილისი
3. **აფაქიძე 1975:** აფაქიძე ა., ,,დიდი პიტიუნტი''-არქეოლგიური გათხრები პიტიუნტში, დიდი პიტიუნტი I. თბილისი
4. **ახვლედიანი... 2017:** ახვლედიანი დ., ელაშვილი მ., კირკიტაძე გ., ხარაბაძე ს., ასათიანი გ., მასალები ძვ.წ. V-I სს-ის კოლხეთის არქეოლოგიური რუკისათვის (ნამოსახლარები, სამაროვნები), თბილისი
5. **ბერძენიშვილი 1942:** ბერძნიშვილი მ., ქალაქ ფაზისის ლოკალიზაციისათვის, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, XXIII, თბილისი
6. **ბერძენიშვილი 1969:** ბერძნიშვილი მ., ქალაქ ფაზისის ისტორისათვის, თბილისი
7. **ბერძენიშვილი, ფუთურიძე 1975:** ბერძენიშვილი ქ., ფუთურიძე რ., ბიჭვინთაში მოპოვებული ამფორები, დიდი პიტიუნტი I. თბილისი
8. **გამყრელიძე 1971:** გამყრელიძე გ., ფაზისის ეტიმოლოგიისათვის, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, B 2(140). თბილისი
9. **გამყრელიძე 1987:** გამყრელიძე გ., ,,წყალქვეშა არქეოლოგიის კვლევა-ძიება, ქალაქ ფოთის მიდამოებში'', ,,საქართველოს მეცნიერებათა აკადემია'', ,,მაცნე'' I. თბილისი
10. **გამყრელიძე 1998:** გამყრელიძე გ., ფოთი-ფასისის ტოპოარქეოლოგიისათვის. თბილისი
11. **გამყრელიძე 2010:** გამყრელიძე გ., კოლხეთში რომანიზაციის გლობალისტური პროცესის მიმდინარეობის შესახებ, ,,კოლხოლოგიური ნარკვევები'' II. თბილისი
12. **გამყრელიძე 2014:** გამყრელიძე გ., საქართველოს რომაული ხანის არქეოლოგია, თბილისი

13. **გეორგიკა 1934:** გეორგიკა II. თბილისი

14. **გეორგიკა 1961:** გეორგკიკა I. თბილისი

15. **გრიგოლია 1973:** გრიგოლია გ., ფასისის ლოკალიზაციისათვის, ფასისისადმი მიძღვნილი სესიის მოხსენებები. თბილისი

16. **დიღმელაშვილი 2019:** დიღმელაშვილი ქ., კაბანდიდის ბალთების შესწავლის საკითხისათვის. შრომები VIII. ბათუმი

17. **დუნდუა 1975:** დუნდუა გ., სამონატო მიმოქცევა და სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობანი ბიჭვინთაში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ძვ.წ. II ახ.წ. IV სს. ,,დიდი პიტიუნტი'' I. თბილისი

18. **ებრალიძე 2005:** ებრალიძე ტ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი გვიანელინისტურსა და რომაულ ხანაში, გონიო-აფსაროსი VI. ბათუმი

19. **ებრალიძე 2009:** ებრალიძე ტ., აფსაროსი ახ.წ. I საუკუნეში, გონიო-აფსაროსი VIII, ბათუმი

20. **ვარშალომიძე 2009:** ვარშალომიძე ი., მონეტები გონიო-აფსაროსიდან, გონიო-აფსაროსი VII. ბათუმი

21. **თოლორდავა 1976:** თოლორდავა ვ., ,,ბიჭვინთის ნაქალაქარის IV უბანი'', ,,დიდი პიტიუნტი'' II. თბილისი

22. **კახიძე... 2002:** კახიძე ა., მამულაძე შ., ებრალიძე ტ., 2000 წელს გონიო-აფსაროსის ციხის სამხრეთი კარიბჭის გარეთ წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების ანგარიში, ,,გონიო-აფსაროსი'' III. ბათუმი

23. **კახიძე, ვიკერსი 2004:** კახიძე ა., ვიკერსი მ. ფიჭვნარი VI – კოლხები და ბერძნები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. საქართველო-ბრიტანეთის ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობის შედეგები (2003-2007წწ), ბათუმი-ოქსფორდი.

24. **კახიძე, მამულაძე 2004:** კახიძე ა., მამულაძე შ., სამხრეთ კარიბჭისა და აბანოთუბანის ტერიტორიაზე 1995-199 წლებში წარმოებული კვლევა-ძიების უმთავრესი შედეგები, ,,გონიო-აფსაროსი'' IV. ბათუმი

25. **კახიძე 2007:** კახიძე ა. ფიჭვნარი II - ანტიკური სამყარო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (ფიჭვნარის ძვ.წ. V ს ბერძნული ნეკროპოლი), ბათუმის ნ.ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები (1967-1987), ბათუმი-ოქსფორდი.
26. **კახიძე, კახიძე 2014:** კახიძე ა., კახიძე ე. ფიჭვნარი V – აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის შედეგები (ფიჭვნარის ძვ.წ. IV საუკუნის ბერძნული ნეკროპოლი). ნიკო ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო–კვლე-ვითი ინსტიტუტის, საქართველო-ბრიტანეთისა და ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობის შედეგები (1967-2012 წწ), ბათუმი–ოქსფორდი.
27. **კახიძე... 2015:** კახიძე ა., შალიკაძე თ., ფარტენაძე თ., ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის საგანძური.კატალოგი. თბილისი
28. **კახიძე, შალიკაძე 2015**: კახიძე ა., შალიკაძე თ., ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სოფ. მახოს 2013 წლის არქეოლოგიური გათხრების ანგარიში. აჭარა წარსული და თანამედროვეობა, II. ბათუმი
29. **კახიძე 2002:** კახიძე ე., ,,რომის იმპერია და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი ახ.წ. I-V სს'', ისტ.მეცნ.კანდიდატის სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი
30. **კეკელია 1981:** კეკელიძე ჯ., ფასისის ლოკალიზაციის გეოგრაფიული ასპექტების შესახებ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. თბილისი
31. **ლომოური 1958:** ლომოური ნ., ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV. თბილისი
32. **ლომოური 1968:** ლომოური ნ., ეგრისის სამეფოს ისტორია. თბილისი
33. **ლომოური 2007:** ლომოური ნ., ,,რომაელთა ლაშქრობა იბერიასა და კოლხეთში. რომაელები სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში'', სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნარკვევები. ბათუმი.

34. ლორთქიფანიძე 1991: ლორთქიფანიძე გ., ,,ბიჭვინთის ნაქალაქარი''. თბილისი

35. ლორთქიფანიძე, ნონეშვილი 2002: ლორთქიფანიძე გ., ნონეშვილი ა., გონიო-აფსაროსის კასტელის N2 კოშკის გათხრების ძირითადი შედეგები, ,,გონიო-აფსაროსი'' III, ბათუმი

36. ლორთქიფანიძე 1975: ლორთქიფანიძე ოთ., ბიჭვინთის შიდაციხის XIII ნაკვეთის არქეოლოგიური გათხრები და იქ აღმოჩენილი არქიტექტურული კომპლექსი, ,,დიდი პიტიუნტი'' I. თბილისი

37. ლორთქიფანიძე.. 1980: ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე თ., ხახუტაიშვილი დ., გონიოს განძი/ თბილისი

38. მელიქიშვილი 1966: მელიქიშვილი გ., შავი ზღვა ძვ. წ. XIII-XII სს–ის ასურულ ლურსმულ წარწერებში, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, ნიკო ბერძენიშვილისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბილისი

39. ნიკოლეიშვილი 1975: ნიკოლეიშვილი ვ., ბიჭვინთის ნაქალაქარის XIX ნაკვეთზე 1967-70 წწ. ჩატარებული მუშაობის ანგარიში, ,,დიდი პიტიუნტი'' I. თბილისი

40. რამიშვილი 1965: რამიშვილი რ., არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში, მსცა, VI. თბილისი

41. საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1970: საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. I, თბილისი

42. ფიფია 2000: ფიფია კ., რომის მიერ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ეთნოპოლიტიკური გაერთიანებათა მმართველთათვის ,,სამეფო ხელისუფლების'' გადაცემის დროის საკითხისთვის.- საისტორიო ძიებანი, III. თბილისი

43. ფიფია 2005: ფიფია კ., ტრაიანეს აღმოსავლური პოლიტიკა და საქართველო, თბილისი

44. ფიფია, კიკნაძე 2008: ფიფია თ., კიკნაძე ვ., რომაული სამხედრო შენაერთები კოლხეთსა და იბერიაში, თბილისი

45. ფუთურიძე 1975: ფუთურიძე რ., ბიჭვინტის შიდაციხის ცენტრალური ნაწილის არქეოლოგიური გათხრების შედეგები, ,,დიდი პიტიუნტი'' I. თბილისი

46. **ხალვაში 2002:** ხალვაში მ., გონიო-აფსაროსის შიდა ციხის ცენტრალური ნაწილის არქეოლოგიური გათხრები შედეგები, ,,გონიო-აფსაროსი'' III. ბათუმი

47. **ხოშტარია 1953:** ხოშტარია ნ., პალიასტომის ტბის ისტორიისათვის, ჟურნალი მეცნიერება და ტექნიკა, 9. თბილისი

48. **ხოშტარია 1962:** ხოშტარია ნ., ციხისძირი, თბილისი

49. **ცუხიშვილი 1977**: ცუხიშვილი ი., გვიანრომაული მონეტების ბიჭვინთის გაძი, ,,დიდი პიტიუნტი'' I. თბილის.

50. **შარდენი 1975:** შარდენი ჟ., მოგზაურობა სპარსეთისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. თბილისი

51. **შპაიდელი 1985:** შპაიდელი მ., კავკასიის საზღვარი, II ს. გარნიზონები აფსაროსში, პეტრასა და ფასისში, მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ისტ. ...) 1. თბილისი

52. **ჯანაშია 1952:** ჯანაშია ს., ფასიდი, შრომები, II. თბილისი

53. **ჯანელიძე 1973:** ჯანელიძე ჭ., ფასისის ლოკალიზაციის გეოგრაფიული ასპექტები, ფასისისადმი მიძღვნილი სესიის თეზისები. თბილისი

54. **ჭუმბურიძე 2009:** ჭუბურიძე მ., დიერტაცია: ეგრისის სამეფოს თავდაცვის სისტემა ახ.წ. I-VIII სს. ქუთაისი

55. **Braund 1994:** Braund D**.,** Georgia in Antiquity, Clarendon press, Oxford

56. **Bottger 1982:** Bottger B., Die Gefaskeramik aus dem Kastell Latrus, Berlin

57. **Callender 1965:** Callender MN., Roman Amphorae, with index of stamps, London

58. **Gamkrelidze 1992:** Gamkrelidze G., Hydroarchaeology in the Georgien Republic (the Colchian littoral), The International Journal of Nautical Archaeology, vol. 21, London, New York

59. **Dubois de Montpereux 1943:** Dubois de Montpereux Fr**.,** Voyage autour du Caucase chez les Tcherkesses et les Abkhases, en Colshide, en Georgie en Armenie et Crimee. Paris

60. **Grace 1961:** Grace V., Amphoras and the ancient wine trade.-Excavations of the Athenian Agora. Athens

61. **Higgins 1980:** Higgins R.A., Greek and Roman Jewelry, Excavation of Gorlu Kure Tarsus I, London

62. **Hind 2008:** Hind Joh N. G. F., Mithridates, The Cambridge Ancient History, IX, Cambridge
63. **Kacharava 1991:** Kacharava D., The town of Phasis as described in Graeco-Roman and Byzantine literary sources. Tbilisi
64. **Kakhidze 2008**: Kakhidze E., A Roman Fort in Southwestern Georgia, Meetings of Cultures in the Black Sea Region: Between Conflict and Coexistence, Black Sea Studies 8, Aarhus
65. **Karaszewicz-Szczypiorski 2016:** Karaszewicz-Szczypiorski R., Apsaros. Early headquarters buildings (principia). New localization?, Pro-Georgia N26. Warszawa
66. **Karaszewicz-Szczypiorski.. 2016:** Karasiewicz-Szcyporski R., Mamuladze S., Jiaworski P., Wagner, M., Gonio (Apsaros) in Adjaria: excavation of a Roman fort interim report on the first seasion on the Polish-Georgian archaeological expedition. Polish archaeology in the Mediterranena. V 25. Warsaw
67. **Karaszewicz-Szczypiorski 2018:** Karaszewicz-Szczypiorski R., with contribution by Sulkhan Mamuladze, before there were thermae. A Few words of the remains of the earliest building of the Apsaros fort (Gonio, Georgia), Pro-Georgia N28. Warszawa
68. **Karaszewicz-Szczypiorski**.. **2018:** Karasiewicz-Szczypiorski R., Mamuladze S., Aslanischvili L, Daszkiewicz M., Ceramic building material from the Roman forts on the Cholchis coast: archaeology and archaeoceramological analysis. Polish archaeology in the Mediterian ,27. Warszawa
69. **Lordkipanidze 1991:** Lortkipanidze G., Pitiunt and Pontus Limes. Tbilisi
70. **Lordkipanidze 2000:** Lordkipanidze O., Phasis, The river and City in Colchis, Stuttgart
71. **Mamuladze.. 2014;** Mamuladze S., Karaszewicz-Sczypiorski R., Shalikadze T., Surmanidze N., Kakhidze E. Georgian Excavation of a Roman fort in Gonio-Apsaros in 2014. PAM. 25, Warszawa
72. **Mitford 2018:** Mitford T.B., East of Asia Minor, Oxford
73. **Robinson 1959:** Robinson H.S., Pottery of the roman period. The Athenian Agora, volume V. Princeton

74. **Speidel 1986:** Speidel M.P. The Caucasus frontier: second century garrisons at Apsarus, Petra and Phasis, in studien zu den Militargrenzen Roms, iii, 13, internationaler Limesgongres, Aelen. Stuttgart

75. **Барцыц 2013**: Барцыц Р. М.**,** Акведук – древняя система водоснабжения Пицунды, АбхазОве, VIII-IX Выпуск. Сухуми

76. **Башкирова 1926:** Башкирова, А.С., «Археологические изыскания в Абхазии летом 1925 года» Известия АбНО, вып. 4

77. **Болтунова 1979:** Болтунова А., Эллинские апоикии и местное население Колхиды. Материалы I симпозиума по древней истории Причерноморья, Цхалтубо 1979. Тбилиси

78. **Брашинский 1980**: Брашинский. И. Б. основные черты греко-варварской торговли в античном Причерноморье и ее особенности в Колхиде. Тбилиси: Издательство Тбилисского университета. Тбилиси. 1980

79. **Ветроградова 2002:** Ветроградова В.В., Новая греческая из раскопках сухумской крепости, в журнале Проблемы истории, филологии, культуры. Москва

80. **Воронов 1980:** Воронов, Ю.Н.**,** Диоскуриада-Себастополис-Цхум. Москва

81. **Габелия 2014:** Габелия А. Н.**,** Абхазия в предатичную и античную эпохи. Сухум

82. **Гайдукевич 1952:** Гайдукевич В.Ф., Раскопки Тиритаки в 1935-1940 гг, МИА 25. Москва

83. **Гамкрелидзе 1990:** Гамкрелидзе, Г., Гидроархеологические работы в зоне предпологаемого расположения древнего Фасиса, Материалы V симпозиума по древней истории Причерноморья, Тбилиси

84. **Гамкрелидзе 1992:** Гамкрелидзе, Г., археологии долины Фасиса. Тбилиси

85. **Дюбуа 1937:** Монперэ Дюбуа., Путешествие вокруг Кавказа. Сухуми

86. **Зеест 1960:** Зеест И.Б., Керамическая тара Боспора ,МИА, 83. Москва

87. **Ельницкий 1964:** Ельницкий Л.А., О малоизвестных или утраченных греческих и латинских надписях Закавказья, ВДИ, 2. Москва

88. **Каменеский 1969:** Каменеский И.С. Светлоглинание амфоры с Нижне-Гниловского городиша-КСИА 116. Москва

89. **Книпович 1949:** Книпович, Т.Н., Танаис. Москва

90. **Кругликова 1966:** Кругликова И.Т., Боспор позднеантичное время. Москва

91. **Кигурадзе... 1987:** Кигурадзе, Н.Ш, Лордкипанидзе Г.А, Тодуа Т.Т, Клейма XV легиона из Пицундского городиша, ВДИ,2,

92. **Краснов 1915:** Краснов, А. Н., Южная Колхида. Знание для всех, № 8

93. **Кунина 1997:** Кунина И.З., Античное стекло в собрании Эрмитажа. Санкт-петербург

94. **Куфтин 1949:** Куфтин, Б., Материалы к археологии Колхиды. Тбилиси

95. **Куфтин 1950:** Куфтин Б., Материалы к археологии Колхиды, т. I., Тбилиси

96. **Леквинадзе 1969:** Леквинадзе В.А., Понтийский Лимес, ВДИ,2. Тбилиси

97. **Ломоури 1957:** Ломоури Н., Из исторической географии древней Колхиды. – ВДИ, № 4. Москва

98. **Мамуладзе.. 2002:** Мамуладзе ш., Халваши м., Асланишвили л., Римские гарнизоны Апсара, вестник древней истории.

99. **Ростовцев 1916:** Ростовцев А.А., Пицундская сосновая роща, Зкорго, XXIX, 4. Тбилиси

100. **Ростовцев 1907:** Ростовцев М.И., Надпись из Сухума. записки Одесского общества истории и древностей. Москва

101. **Самойлова 1978:** Самойлова, Т.Л., Археологические исследования северо-западной причерноморья. Киев

102. **Стржелецкий 1953:** Стржелецкий С.ф. Квартал XVIII- МИА 34. Москва

103. **Трапш 1969:** Трапш М.М., Древний Сухуми. Сухуми

104. **Трапш 1969:** Трапш, М.М., Труды т. II. Сухуми

105. **Шамба 2005:** Шамба, Г.К., Древний Сухум, Сухум

106. **Шервашидзе, Соловьев 1960:** Шервашидзе Л.А., Соловьев Л.Н., Исследование Древнего Себастополиса, Советская Археология.

კატალოგი

I-გონიო-აფსაროსის ციხის გეგმა;

II-გონიო-აფსაროსის ციხის ხედი;

III-,,აბანოთუბნის'' გეგმა და ხედი'

IV-სამხედრო ბანაკის გეგმა და ხედი;

V-პრინციპიას და მის გვერდით მდებარე შენობის გეგემა;

VI-პრინციპიას და მის გვერდით მდებარე შენობის ხედები;

VII-სამხრეთ-დასავლეთ კარიბჭიდან შემომავალი წყალგაყვანილობის მილების გეგმა;

VIII-სამხრეთ-დასავლეთ კარიბჭიდან შემომავალი წყალგაყვანილობის მილების ხედი;

IX-გონიო-აფსაროსის ადრეული და გვიანდელი ფორტიფიკაციის გეგმა;

X-NO სექტორში აღმოჩენილი ნაგებობის გეგმა;

XI-მოზაიკიანი ნაგებობის გეგმა;

XII-მოზაიკისა და მოზაიკისთვსი გამოყენებული კენჭების ხედი;

XIII-ციხის გარეთ აღმოჩენილი ადრეული პერიოდის (თავდაცვითი) კედლის ხედი;

XIV-ციხის გარეთ აღმოჩენილი ადრეული პერიოდის (თავდაცვითი) კედელი ხედი;

XV-ფაზისის სავარაუდო ადგილმდებარეობა და მისი შემოგარენი;

XVI- ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს მიერ აღდგენილი ფაზისის გეგმა;

XVII-სებასტოპოლისის ციხის დასავლეთ კედლის გეგმა და ხედი;

XVIII-სებასტოპოლისის ციხის დასავლეთ კედლის ხედი;

XIX- პიტიუნტის ციხის გეგმა;

XX-პიტიუნტის ციხის გარე და შიდა ხედი;

XXI-ეპიგრაფიული მასალა გონიო-აფსაროსის ციხიდან;

XXII-ეპიგრაფიული მასალა გონიო-აფსაროსის ციხიდან;

XXIII-ეპიგრაფიული მასალა გონიო-აფსაროსის ციხიდან;

XXIV/1,2-ეპიგრაფიული მასალა გონიო-აფსაროსის ციხიდან;

XXIV/3-ეპიგრაფიული მასალა ბიჭვინთიდან;

XXV-ეპიგრაფიული მასალა სოხუმის ციხიდან;

ტაბ. I



ტაბ.II

ტაბ. III


A
A
16
17
18
19
20
26
27
29
30
31
36
37
38
39
46
47
48
49
50
55
57
58
59
60
66
67
68
69
70
II
IV

1

ტაბ. IV



ᲩᲐᲑ.V



ტაბ.VI

ტაბ. VII



ტაბ. VIII

ტაბ.IX



ტაბ.X


N
0 1 2 3 4m
R 12
R 13a
R 17
R 4
R 6
Frigidarium
R 2
R 3
R 11
R 9
R 8
R 13b
R 16
R 7
R 10
R 1
Mosaic floor
R 15
R 14
R 5

ტაბ.XI

ტაბ. XII

ტაბ. XIII

ტაბ. XIV

ტაბ. XV


N
მდ. ცხა
მდ. ფასისი - რიონი
ჭალადიდი
პატარა ფოთი
საქორქეო
(სიმაგრე)
ნაჯიხური
რაჭის ქ.
მდ. ფიჩორი
პალიასტომი
ნატეხები
ზღვა
მდ. თხნორინა
ნაეკლესიარი
მდ. სუფსა

ტან.XVI


Portequi est tournée vers la mer
PHASIS
50
100 pas
PLAN DU PORT ANTIQUE
placé à l'ancienne embouchure du Phase, près de Poti.
R. Nabada
Poste détruit de Nabada
Ft. Rion ou Phase
Fortin Rionska
PHASIS
Forteresse de Poti
Fortin de Poti
Lac Paliastome
POTI (PHASIS)
et
ses environs
R. Moltavka
Poste de Moltavka
0
1
2
3
4

ტაბ. XVII



ტაბ. XVIII

ტაბ. XIX



ტაბ. XX

ტაბ. XXI



COH II [---]



ტაბ. XXII





ტაბ. XXIII





COH ∞ [-]

ტაბ. XXIV



1

2



3

ტაბ. XXV